რატომ "მოტეხეს" დავით ბერძენიშვილი A2

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ათი წლისაა A8

აქტუალური ისტორია B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 29 ოქტომბერი, 2004 წელი. №257 (806)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## „რევოლუციური მუხტი ჩაქრა"



"ძალიან სამწუხაროა, რომ ერთი წელი არც არის გასული და რევოლუციური მუხტი პრაქტიკულად ჩამქრალია," – შეახსენეს გუშინ ხელისუფლებას "თავისუფლების ინსტიტუტში".

A2

### უცხოეთი

## რუსეთში პუტინის საწინააღმდეგო გამოსვლების ტალღა გორდება




რუსი დემოკრატ-ნაციონალისტ-კომუნისტ-პაციფისტები ერთობლივი ძალით შეეცდებიან პუტინის დამარცხებას.

A5

### ნომრის სტუმარი

## დღეს ჩვენი კულტურა სიამოვნებისადმია განწყობილი

B1



იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

### ამინდი

| | 29/10 | 30/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | 21 |
| ქუთაისი | 27 | 27 |
| ბათუმი | 28 | 27 |
| სოხუმი | 24 | 24 |
| ფოთი | 27 | 27 |
| თელავი | 21 | 21 |
| ზუგდიდი | 27 | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.3290 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3520 |
| რუბლი | 0.0636 |

# სოხუმში უმართავი ვითარებაა

### უზენაესმა სასამართლომ ბაღაფში გამარჯვებულად ცნო



*სოხუმში უზენაესი სასამართლოს შენობასთან დილიდანვე ხალხმრავლობა იყო.*

წუხელ, 21 საათსა 30 წუთზე, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ გამოაცხადა საპრეზიდენტო არჩევნების ხმის გადამთვლელი სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგები. კომისიამ დაადგინა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 87 442-მა ამომრჩეველმა. სერგეი ბაღაფშს ხმა მისცა 44 002-მა ადამიანმა, ხოლო რაულ ხაჯიმბას – 30 815-მა. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი აკაბამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტად სერგეი ბაღაფში გამოაცხადა.

მანამდე სასამართლომ მოისმინა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შს მინისტრის აბესალომ ბეის და უშიშროების სამსახურის უფროსის მიხელ თარბას ჩვენება. ორივე ამტკიცებდა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება ზეწოლის ქვეშ მიიღო. მათი სიტყვები დაადასტურა ცესკო-ს თავმჯდომარემ სერგეი სმირმა. რაც შეეხება თავად კანდიდატებს, რაულ ხაჯიმბა საჯარო გამოსვლებში მუდმივად იმეორებდა, რომ იგი გამორიცხავდა სამოქალაქო დაპირისპირებას აფხაზეთში და დაემორჩილებოდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. თავის მხრივ, ბაღაფშიც ადასტურებდა, რომ არ აპირებდა პრეზიდენტის კაბინეტის დაკავებას ძალადობის გამოყენებით.

თითქოს ყველაფერი ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებას წერტილი უნდა დაესვა სამკვირიანი დაპირისპირებისთვის, მაგრამ სწორედ ამ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ დაძაბულობა უკიდურესად გამწვავდა და შეტაკებაში გადაიზარდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ორკოდექსიანობა

### ანუ პარალელები რევოლუციამდელ პარლამენტთან

გიორგი ასანიშვილი

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ არჩეული პარლამენტი გუშინ ძალიან ჰგავდა თავის წინამორბედს: თითქოს წარსული დაბრუნდაო, საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარეობდა ე.წ "საპროცედურო ომი", გადამწყვეტი კენჭისყრის წინ ფრაქციები შესვენებებს ითხოვდნენ, ყოველ წუთს იქმნებოდა აბსურდული სიტუაცია... სხდომის ბოლოც ისეთივე კეთილი იყო, როგორც ეს "შევარდნაძისეულ პარლამენტში" ხდებოდა - უმრავლესობამ იყოჩაღა და აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკური დაკვეთა "ფრიადზე" შეასრულა: პარლამენტმა, 124 ხმით 19-ის წინააღმდეგ, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით მოიწონა.*

როდესაც "აბსურდულ სიტუაციას" ვახსენებთ, პირველ რიგში, ის მდგომარეობა გვაქვს მხედველობაში, რომელიც გუშინდელი სხდომის შემდეგ შეიქმნა: წინა მოწვევის პარლამენტში "მრეწველების" ინიციატივით მიღებული საგადასახადო კოდექსი (ასევე პირველი მოსმენით მიღებული) არავის გაუუქმებია, რითაც ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში "ორკოდექსიანობის" პრეცედენტი შეიქმნა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველოს რეგიონებში ადამიანის უფლებები კვლავ იგნორირებულია



*პოლიციის მიერ ნაცემი და ნაწამები ეჭვმიტანილები ხშირად, შიშის გამო, უარყოფენ ფიზიკური ზემოქმედების ფაქტს. ასე მოხდა ომბუდსმენის წარმომადგენლის შეხვედრაზე გლდანის პოლიციაში დაკავებულ ეჭვმიტანილთან.*

*საქართველოს სახალხო დამცველისა და სამართალდამცველ უწყებათა პირველი პირების ინიციატივამ, უკვე ათი დღის თავზე, გარკვეული შედეგი მოიტანა. გუშინწინ გლდანი-ნაძალადევის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში მოულოდნელი სტუმრობისას, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სასტიკად ნაცემი დაკავებული აღმოაჩინეს. როგორ განვითარდება მოვლენები ამ ფაქტთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში შევიტყობთ. ჩვეულებრივ კი, ანუ, როცა დაკავებულზე ფიზიკური ზემოქმედების შემთხვევები უშუალოდ ფაქტის მოხდენისთანავე კი არა, ოდნავ მოგვიანებით ხმაურდება ან საერთოდ არ ხდება ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, სამართალდამცველები ძველებურ, საქმის მიჩქმალვის ხერხს მიმართავენ.*

ინგა ალავიძე

ადამიანის წამება დაუშვებელია – საქართველოს სამართალდამცველი უწყებების სათავეში არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მოსულ ხელმძღვანელებზე უკეთ ეს არავინ იცის. მათ ისიც შესანიშნავად იციან, რას ელის მათგან საზოგადოება და ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით თავიანთ ქვეშევრდომებს ადამიანის უფლებათა დაცვა მკაცრად მოუწოდეს. მიუხედავად დეკლარირებული სიმკაცრისა, შედარებით დაბალი რგოლების ხელმძღვანელობა რომ ამ მოთხოვნას დიდი გულისყურით არ მოკიდებია, ამას ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილი მონაცემებიც მოწმობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ორ კვირაში, შესაძლოა, ენერგოდეფიციტი გაღრმავდეს

### "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე "ფრთხილად" იტყობინება

მაია ურუშაძე

*გუშინ სემეკ-ის თავმჯდომარემ გია თავაძემ და ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორის დინ უაითისგან შემაშფოთებელი ინფორმაციის შემცველი წერილი მიიღეს. როგორც გაირკვა, საქართველოს რეგიონების უმსხვილესი ელექტროდისტრიბუტორი სომხეთიდან ელექტროენერგიის ნაკადის შეწყვეტის საფრთხის წინაშეა.*

სომხეთის კომპანია "არმროსგაზპრომის" პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" დენის იმპორტის გაზრდის თაობაზე სომხეთთან მოლაპარაკებას საერთოდ არ აწარმოებს. ამ ინფორმაციამ ქართული სადისტრიბუციო ენერგოგიგანტის ამერიკელ მენეჯერთა აღშფოთება და უსწრაფესი რეაგირება გამოიწვია. სომხური სააგენტო "რეგნუმის" მიერ ამ ინფორმაციის გახმოვანებისთანავე, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალურ დირექტორს დინ უაითს პრესისთვის ახსნა-განმარტების მიცემა სასწრაფო რეჟიმში მოუხდა.

**"სომხური კომპანიის "არმენროსგაზპრომის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ქართულ მხარესთან მოლაპარაკებები დენის იმპორტის გაზრდის შესახებ არ მიმდინარეობს, სიმართლეს არ შეესაბამება.**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 აქტუალური ისტორია | B7 TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

## სოხუმში უმართავი ვითარებაა

პირველი გვერდიდან

სააგენტო "იტარ-ტასის" ცნობით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან რამდენიმე წუთში, რაულ ხაჯიმბას მომხრეები შეიჭრნენ სასამართლოს შენობაში და ბაღაფშის მოზეიმე მომხრეებს დაერივნენ.

მოგვიანებით, შექმნილი ვითარების განმუხტვის მიზნით, ხაჯიმბამ თავის მომხრეებს სოხუმის ფილარმონიაში შეკრებისკენ მოუწოდა, მაგრამ მის მოწოდებას არავინ დაემორჩილა და შეტაკებები სასამართლოს შენობასთან გაგრძელდა. 23 საათისთვის მილიციამ უკვე დაიწყო საკაცეებით დაშავებულების გამოყვანა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ სასამართლოს შენობიდან გამოვიდნენ ხაჯიმბას მომხრეები და ფილარმონიის შენობისკენ გაეშურნენ. ისინი სწორედ იმ დროშას აფრიალებდნენ, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კაბინეტში ეკიდა.

ამასობაში სოხუმის ცენტრში ბაღაფშის 2000-მდე მომხრე შეიკრიბა და მიტინგი დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ, რამდენიმე ათეულ მეტრში მიტინგზე შეიკრიბა ხაჯიმბას 500-მდე მომხრე. მიტინგების მონაწილეთა განცხადებების მიხედვით, ეს აქციები მთელი ღამე უნდა გაგრძელებულიყო...

როგორც ჩანს, სოხუმში ვითარება უმართავი ხდება.

*24 საათი*

## რატომ "მოტეხეს" დავით ბერძენიშვილი

დღეს საქართველოს პარლამენტის 45-კაციანი დელეგაცია, დამკვირვებლების რანგში, უკრაინაში გაემგზავრება. არადა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინის რადას თავმჯდომარემ თავის ქართველ კოლეგას ნინო ბურჯანაძეს დამკვირვებლად არა 45 დეპუტატის, არამედ 60 დეპუტატის გაგზავნა სთხოვა. ამავე ინფორმაციით, მგავზრობის ხარჯებს უკრაინის მხარე დააფინანსებდა.

თუმცა, გუშინ გაირკვა, რომ უკრაინის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აკრედიტაცია მხოლოდ იმ 45-მა დეპუტატმა გაიარა, რომელიც უმრავლესობის რამდენიმე აქტივისტმა პარლამენტარებს შორის საგულდაგულოდ შეირჩია. თანაც, საგულსხმოა, რომ სადამკვირვებლო მისიის შესასრულებლად თანხებს არა უკრაინული, არამედ ქართული მხარე გამოყოფს.

არსებობს რამდენიმე ვერსია, თუ როგორ მოხდა უკრაინაში წამსვლელ ქართველ დეპუტატთა სიის შედგენა. თავდაპირველად, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, დელეგაციაში ოპოზიციონერი პარალმენტარებიც უნდა შესულიყვნენ. მათ შორის იყო "რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი. მოგვიანებით (უფრო ზუსტად კი მაშინ, როდესაც ნინო ბურჯანაძე საქართველოში არ იმყოფებოდა), გაირკვა, რომ ოპოციონერთა "კვოტა" აღარ არსებობდა, ანუ ორი ოპოზიციონერი დეპუტატი, მათ შორის დავით ბერძენიშვილი, სიიდან ამოიღეს.

ამის თაობაზე დავით ბერძენიშვილმა მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც ნინო ბურჯანაძე საქართველოში დაბრუნდა. მართალია, პარლამეტის თავმჯდომარემ ამ "გაუგებრობის" მოგვარება სცადა, მაგრამ უშედეგოდ - უკრაინის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აკრედიტაციების გაცემა დასრულებული იყო. შესაბამისად, დამკვირვებელთა სტატუსი მხოლოდ იმ დეპუტატებს მიენიჭათ, ვისი გვარებიც უკვე გადაცემული იყო.

დავით ბერძენიშვილი ეჭვობს, რომ დელეგაციის შემადგენლობიდან მისი ამოღება უშუალოდ ე.წ. "დესიატნიკების" (ანუ, ოსიაურის რეზერვისტთა ბატალიონის ჯარისკაც-დეპუტატების) თავკაცის დავით კირკიტაძის სურვილით მოხდა, რომლისთვისაც დავით ბერძენიშვილის უკრაინაში გამგზავრება სასურველი არ იყო, რადგან, როგორც თავად ბერძენიშვილი აცხადებს, იგი (ანუ ბერძენიშვილი), **"თავისდაუნებურად, უკრაინაში ქართული დელეგაციის სახედ იქნებოდა აღქმული"** - მას უკრაინული პოლიტიკური სპექტრი კარგად იცნობს და მის კონკრეტულ დასკვნას გარკვეული რეაქცია მოჰყვებოდა. **"რამდენად მისაღებია ეს ამ საპარლამენტო უმრავლესობისთვის, თავად განსაჯეთ",** - ამბობს დავით ბერძენიშვილი, თუმცა იქვე აღიარებს, რომ არანაირი პრეტენზია არ აქვს დელეგაციის ხელმძღვანელთან ალექსანდრე შალამბერიძესთან. **"მან შესანიშნავად იცის პოლიტიკური ნიუანსები და უკრაინაში მიმდინარე პროცესების დაკვირვების შემდეგ, სწორ პოლიტიკურ დასკვნებსაც გამოიტანს,"** – ამბობს დავით ბერძენიშვილი.

თავად დავით კირკიტაძე კატეგორიულად უარყოფს დავით ბერძენიშვილის ამ ბრალდებას და აცხადებს, რომ სიების შედგენასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა.

მოკლედ, ოპოზიციონერთაგან თავისუფალი, საპარლამენტო უმრავლესობის 45-კაციანი დელეგაცია უკრაინაში მიემგზავრება. ისინი საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობას კიევში, ოდესასა და ყირიმში დააკვირდებიან.

*24 საათი*

## ხელისუფლებამ ინვესტორის "კაცური სიტყვა" მიიღო

*რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს 798 ტრავმირებული პენსიონერიდან 550-ღა დარჩა. ბოლო ერთ წელში 118 მათგანი გარდაიცვალა და 105 პენსიის ასაღებად აღარ ცხადდება. უკვე ოთხი თვეა, კომბინატის ინვესტორმა ცოცხლად დარჩენილებს კუთვნილი პენსიის გადახდაზე უარი უთხრა. დასახმარებლად მათ ხელისუფლებას მიმართეს.*

სახელმწიფო მინისტრი ჯამბულ ბაკურაძე გუშინ რუსთავში ჩავიდა, რათა გაერკვია - ვინაა ვალდებული გადაუხადოს კუთვნილი პენსია მეტალურგიული კომბინატის 550 ტრავმირებულ პენსიონერს. მერიის სააქტო დარბაზში მიწვეულ პენსიონერებს, სახელმწიფო მინისტრთან ერთად, ქალაქის მერი ტყეშელაშვილი, ქვემო ქართლის გუბერნატორი მაზმიშვილი და პარლამენტარი ხევიაშვილი შეხვდნენ. მათივე თხოვნით, შეხვედრაზე მივიდა ქარხნის რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი.

**"იტალიელმა ინვესტორმა ხელი მოაწერა დავალიანებების დაფარვის ყოველწლიურ გრაფიკს და ვალდებულება აიღო, რომ პირველ რიგში დაფარავდა საპენსიო და სახელფასო დავალიანებებს. გადახდის ვალდებულება ერთმნიშვნელოვნად ინვესტორ კომპანიას ეკისრება,"** - ასეთი იყო რეაბილიტაციის მმართველის პასუხი.

**"მაგრამ თუ თაღლითია, მოგვატყვილა და არ გვიხდის, ამ ადამიანებმა რა დააშავეს, სახელმწიფომ რა უნდა გააკეთოს ასეთ შემთხვევაში?! ფაქტია, რომ ინვესტორი არ იხდის ამ თანხას, სანამ სასამართლოები დასრულდება, რა ვქნათ? ამათ ეს პენსია ეკუთვნით რეალურად?"** – ასეთ, ცოტა არ იყოს, გასაკვირ კითხვებს სვამდა სახელმწიფო მინისტრი.

**"ამ ადამიანების პენსიების გადახდა თავის თავზე სახელმწიფომ უნდა აიღოს. ეს არის ერთადერთი გამოსავალი,"** - რუსთავის მერის მიერ მოძიებული გამოსავალი პენსიონერ მეტალურგებს არ მოეწონათ და ახმაურდნენ. ვერაფერი გარკვევით ვერ თქვეს, მაგრამ იმდენი კი მოახერხეს, რომ პრეზიდიუმში მსხდომთათვის ეგრძნობინებინათ - ასე ადვილად ვერ მოგვიცილებთ თავიდანო. ამის შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა მათ განუცხადა, ახლა იტალიელების წარმომადგენელს სერიოგინს დაველაპარაკები და საბოლოო პასუხს მერე გეტყვითო.

ბაკურაძისა და სერიოგინის ერთიერთზე შეხვედრა რუსთავის მერის კაბინეტში ნახევარ საათს გაგრძელდა. სერიოგინმა უკომენტაროდ დატოვა იქაურობა, ბაკურაძე კი კვლავ ხალხს შეხვდა და თითქმის დაუჯერებელი სიახლე აუწყა.

**"მან მომცა კაცური სიტყვა და გარანტია, რომ ყოველი თვის 10 რიცხვში ტრავმირებული პენსიონერები იტალიელი ინვესტორისაგან მიიღებენ კუთვნილ თანხებს. ხვალ საღამოს სერიოგინი ჩამოვა თბილისში და ეს ყველაფერი გაფორმდება დოკუმენტურად. მე მას განვუცხადე - მე არ ვარ ჩამოსული მათხოვრად, არც არაფერს გთხოვთ და ვერც გაიძულებთ. თუ გაქვთ ეს ნება, გადაუხადეთ, თუ არა და კარგად იყავით. სერიოგინი ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. მისი თქმით, თუ ინვესტორი დაპირებას არ შეასრულებს, ხელისუფლება მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ვინაიდან **"ამჟამინდელ ხელისუფლებას მატყუარა ინვესტორი არ აწყობს".**

**"ასეთი ძალიან ბევრი მომისმენია სერიოგინისგან. არანაირი გარანტია არ არსებობს და მე ვეჭვობ, რომ ეს ასე მოხდება,"** - ეს უკვე მხარის გუბერნატორის მაზმიშვილის კომენტარია, რომელმაც სახელმწიფო მინისტრის ნათქვამი ეჭვქვეშ დააყენა.

პენსიონერმა მეტალურგებმა ტაშით გააცილეს მათ საშველად თბილისიდან პრემიერ-მინისტრის მიერ მივლენილი კაცი. ბაკურაძემ მათ ისიც კი უამბო, როგორ დაიბარა ჟვანიამ ის ღამის ორ საათზე და კატეგორიულად მოსთხოვა, ამ ხალხს რამე უშველეო.

იტალიელი ინვესტორის წარმომადგენელი სერიოგინი გუშინ ეკონომიკის მინისტრს შეხვდა, ქარხნის მომავალზე სასაუბროდ. წინასწარი ინფორმაციით, მეტალურგიული კომბინატის ბედი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს. ცნობილია, რომ ქარხნით, იტალიელების გარდა, დაინტერესებულნი არიან ინდოელი და უკრაინელი ინვესტორები, თუმცა დღემდე უცნობია ეკონომიკის სამინისტროს პოზიცია - რომელ მათგანს ანიჭებს სახელმწიფო უპირატესობას და რატომ.

*მაია მოსიაშვილი*

# ორკოდექსიანობა



ოპოზიცია ახალ საგადასახადო კოდექსს ეწინააღმდეგება. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს მხოლოდ 19 საწინააღმდეგო ხმით გამოიხატა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

ამ "უნიკალურ" ფაქტს საპარლამენტო უმრავლესობა გამართლებას მაინც უძებნის: დეპუტატ ნიკა გვარამიას მტკიცებით, **"რეგლამენტი იძლევა შესაძლებლობას, რომ მოხდეს წინა პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მოწონებული კანონპროექტის იგნორირება".** შედარებით მოზომილ შეფასებას აკეთებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელიც მხოლოდ "საკანონმდებლო ხარვეზებზე" საუბრით კმაყოფილდება.

ეს არგუმენტები ოპოზიციას, ცხადია, არ აკმაყოფილებს. დავით გამყრელიძე პარლამენტის სპიკერს იმასაც შეახსენებს, რომ "მრეწველების" ინიციატივით შემუშავებული საგადასახადო კოდექსის პარლამენტში გასატანად, თავის დროზე, ისინი ერთად იბრძოდნენ.

**"მომავალში თქვენც ზუსტად ისე მოგექცევიან, როგორც დღეს თქვენ ეპყრობით წინა პარლამენტის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს,"** - იმუქრებოდა გამყრელიძე. ამ მუქარიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, იგი, სხვა ოპოზიციონერ დეპუტატებთან ერთად, აქტიურად ჩაება ზურაბ ნოღაიდელის მიერ პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტის გარშემო გაჩაღებულ დისკუსიაში.

რაც შეეხება თავად საგადასახადო კოდექსის პროექტს, მის მიმართ შენიშვნები და პრეტენზიები გააჩნიათ როგორც ოპოზიციის, ისე სახელისუფლებო ძალების წარმომადგენლებს. მთავარი ბრალმდებლის როლს კობა დავითაშვილი კისრულობს. იგი პარლამენტარებს შეახსენებს, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" მოსახლეობასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ორი წლის განმავლობაში მცირე ბიზნესს გადასახადებისგან გაათავისუფლებდა.

**"ამ ხელშეკრულებას ორი ხელმომწერი ჰყავდა: მე და მიხეილ სააკაშვილი. ზურაბ ჟვანიასა და ზურაბ ნოღაიდელს აღნიშნული ხელშეკრულება არ ამძიმებთ. მისი შეუსრულებლობა, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილის ავტორიტეტს დაარტყამს,"** - "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" გაერთიანებულ გუნდში განხეთქილების შეტანას დავითაშვილი გუშინ გულმოდგინედ ცდილობდა.

იგივე მეთოდი აირჩია ზურაბ ტყემალაძემაც. იგი დაინტერესდა, **"რა როლი ითამაშეს ზურაბ ნოღაიდელმა და მთავრობის სხვა წევრებმა 1997 წელს მიღებული და ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის შემუშავებაში, რომლის დამღუპველობასაც ყველა კარგად ხედავს".**

**"1997 წლის საგადასახადო კოდექსით ზოგი გამდიდრდა, ზოგი გაღარიბდა. თქვენ რომელ კატეგორიაში შედიხართ?"** - "ცნობისმოყვარეობას" "ცნობისმოყვარეობით" უპასუხა ნოღაიდელმა. მინისტრთან "დისპუტის" ბოლოს ტყემალაძემ აღიარა, რომ პირველ "კატეგორიაში" შედის, თუმცა, იქვე დასძინა, რომ მოქმედმა საგადასახადო კოდექსმა ბევრი ჩინოვნიკი გაამდიდრა, თავად კი ჩინოვნიკი არასდროს ყოფილა.

სარკაზმი და ირონია არც ზვიად ძიძიგურის გამოსვლას აკლდა. ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი მას საარჩევნო ბუკლეტს აგონებს, რომელშიც მხოლოდ კარგი რამეები წერია და პატიოსან კაცს შერცხვება კიდეც, მხარი რომ არ დაუჭიროს.

როგორც აღვნიშნეთ, საგადასახადო კოდექსის პროექტის მიმართ უკმაყოფილებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრებიც გამოთქვამდნენ. მაგალითად, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ხევიაშვილი ფინანსთა მინისტრს დიდხანს ეკამათა და კენჭისყრამდე დიდი ხნით ადრე სხდომათა დარბაზი დატოვა, რადგან მიიჩნევს, რომ **"ახალი კოდექსი სოფლის მეურნეობას სიკეთეს არ მოუტანს".**

ოპონენტთა კრიტიკას ზურაბ ნოღაიდელი კატეგორიულად არ ეთანხმება. იგი პირობას იძლევა, რომ **"საგადასახადო კოდექსის მიღება ქვეყნის ეკონომიკაში ნამდვილ რევოლუციას მოახდენს".** მინისტრის თქმით, გადასახადების რაოდენობის სიმცირის მხრივ, ეს დოკუმენტი რეგიონში პირველ, მსოფლიოში კი, ერთ-ერთ პირველ ადგილზე იქნება. ნოღაიდელი ახალი კოდექსის დადებით მხარედ იმასაც მიიჩნევს, რომ **"ის გასაგები ენით არის დაწერილი და მასში გარკვევა საშუალო დონის ბუღალტერსაც კი არ გაუჭირდება".**

მთავრობასთან "შეთანხმებული ვარიანტის" მიმართ ქება არც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს დაუშურებიათ და საქმე უღრუბლო დასასრულისკენ მიდიოდა, მაგრამ სახელისუფლებო ფრაქციამ პრობლემა თვითონ შეიქმნა (კიდევ ერთი პარალელი რევოლუციამდელ პარლამენტთან!): უმრავლესობამ მოინდომა, მაღალი კვორუმით ესარგებლა და საგადასახადო კოდექსთან ერთად, პირველი მოსმენით, "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროეტიც მიეღო. ამით კი ლამის ის დაემართა, რაც ორი კურდღლის მადევარს: ნალოლიავები საგადასახადო კოდექსიც საფრთხის ქვეშ დადგა, რადგან 21 საათი მოახლოვდა, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ სხდომა უნდა შეწყვეტილიყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ დეპუტატთა 45-კაციანი გუნდი დღეს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლებად მიემგზავრება და ამის გამო, პლენარული სხდომა არ იმართება, გამოდიოდა, რომ საგადასახდო კოდექსის პირველი მოსმენით მიღება დაახლოებით 10 დღით გადაიდებოდა. უმრავლესობამ ცაიტნოტის საფრთხე დროულად შენიშნა და "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტს შეელია.

ფინანსურ-საგადასახადო "დღეები" გუშინდელი ფათერაკით აღსავსე თავგადასავლებით არ დასრულებულა: უკვე დღეიდან პარლამენტში "ფინანსური ამნისტიის" შესახებ კანონპროექტზე მსჯელობა დაიწყება, ორშაბათიდან კი დეპუტატები საგადასახადო კოდექსის მეორე მოსმენით განხილვას შეუდგებიან.

# „რევოლუციური მუხტი ჩაქრა"

სოფო ბუკია



"თავისუფლების ინსტიტუტი" კორუმპირებული ჩინოვნიკების ამნისტირების წინააღმდეგია.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ვინ დაადგინა, რომ კორუმპირებული მოსამართლე უფრო ნაკლები დამნაშავეა, ვიდრე იარაღით მოვაჭრე? – ეს კითხვა გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტში" ფინანსური ამნისტიის შესახებ ახალი კანონპროექტის თემაზე მოწყობილ პრესკონფერენციაზე დაისვა. "ვარდების რევოლუციის" აქტიური ფლაგმანის – "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისში გუშინ "რევოლუციური მუხტის" ნაადრევად ჩაქრობაზე ალაპარაკდნენ.*

**"კანონის თანახმად, ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს ეძლევა საშუალება, ერთი წლის განმავლობაში დამალული ქონების ლეგალიზება მოახდინოს. გამონაკლისს წარმოადგენენ ნარკოტიკებით, იარაღით და ადამიანებით მოვაჭრეები. პრობლემა სწორედ ისაა, რომ გამონაკლისების სიაში არ მოხვდნენ თანამდებობის პირები. დაბალი რანგის ჩინოვნიკებისათვის გამონაკლისი უნდა გაკეთდეს, მაგრამ კანონში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს, რომ იგი არ ვრცელდება "საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონის" მეორე მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირებზე, მათ ნათესავებსა და მათთან დაკავშირებულ პირებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს კანონი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სახელმწიფო კორუფციას გაურიგდა. ჩვენ ამნისტიის კი არა, ამნეზიის შესახებ კანონს ვღებულობთ, რამეთუ უნდა დავივიწყოთ ის, თუ რა ხდებოდა ამ ქვეყანაში,"** – აღნიშნა ლევან რამიშვილმა.

მისი თქმით, ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონპროექტის დამტკიცება იმ სახით, რა სახითაც იგი დღეს არის წარმოდგენილი, პრაქტიკულად აუქმებს სულ ახლახანს მიღებულ კანონმდებლობას "დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ".

**"სწორედაც კორუფციასთან ბრძოლა იყო მთავარი თემა "ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო პროგრამაში და ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რამაც ქართველი ხალხი "ვარდების რევოლუციაზე" გამოიყვანა. ძალიან სამწუხაროა, რომ ერთი წელი არც არის გასული და რევოლუციური მუხტი პრაქტიკულად ჩამქრალია,"** – შეახსენეს გუშინ ხელისუფლებას.

**"კორუმპირებულ ჩინოვნიკებს თავისუფლად შეუძლიათ, ამ კანონის მეშვეობით, არაკანონიერი გზით ნაშოვნი ქონების ლეგალიზირება ისე, რომ მათ ვერავინ მოედავება. შემდეგ კი, როცა სახელმწიფოს ამ ხალხის გამო პრობლემები შეექმნება, მათი დაპატიმრება ასე მოხდება: მათ სახლებში შევლენ, აკვანში იარაღის საწყობს აღმოაჩენენ, ხოლო წიგნების კარადაში ნარკოტიკების დიდ რაოდენობას,"** – აცხადებს თეა თუთბერიძე, რომელიც ვერ პატიობს ხელისუფლებას როინ მეტრეველის, კახა თარგამაძის, თემურ მღებრიშვილის, ვანო ჩხარტიშვილის და სხვა მისთანათა დაუსჯელობას.

როგორც "თავისუფლების ინსტიტუტში" აცხადებენ, ჩინოსანთა საქმეების გამოძიება არაკომპეტენტურად ხდება. **"მე პირადად აღშფოთებული ვარ იმ ფაქტით, რომ, ჯერჯერობით, პოლიციის არც ერთ მაღალჩინოსანს თუ დაბალჩინოსანს ბრალი არა აქვს წაყენებული ადამიანის უფლებების დარღვევის, ადამიანის წამების, მიტინგების უკანონო დაშლის, პოლიტიკური ნიშნით ადამიანის დევნის გამო,"** – აღნიშნა ლევან რამიშვილმა და რევოლუციამდე რამდენიმე თვით ადრე კობა ნარჩემაშვილის მიერ ათამდე კმარელის დაკავების ფაქტი გაიხსენა: **"აი, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. დღეს ამ ფაქტის გამო ნარჩემაშვილს არავინ საყვედურობს, ამის ნაცვლად რაღაც გაუგებარი ბრალი აქვს წაყენებული. რა თქმა უნდა, იმ დანაშაულებისთვის, რასაც ნარჩემაშვილს ედავებიან, თუ ისინი მან მართლა ჩაიდინა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ არ შეიძლება ასეთი შერჩევითი მიდგომა – თუ სახელმწიფოს მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა დაისაჯო, ადამიანის მიმართ ჩადენილი დანაშაული უნდა გეპატიოს?"** – იკითხა რამიშვილმა.

## მოკლედ

### გაყინული კონფლიქტების შემსწავლელი საერთაშორისო ჯგუფის ვიზიტი

გუშინ საქართველოს გაყინული კონფლიქტების შემსწავლელი საერთაშორისო ჯგუფი ეწვია. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დელეგაციის შემადგენლობაში შედიან დასავლეთის ქვეყნების ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები, წამყვანი ევროპული და ამერიკული გაზეთების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო წრეების წარმომადგენლები. სტუმრებს შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატების "მარშალის ფონდის" პრეზიდენტი კრეიგ კენედი, "გარდამავალი დემოკრატიის პროექტის" პრეზიდენტი ბრიუს ჯექსონი, "ფაინენშელ თაიმსის" მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი ენდრიუ ჯეკი, გაზეთ "ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიცუნგის" საგარეო პოლიტიკური მიმომხილველი კლაუს დიტერ ფრანფერბურგერი.

ვითარების უკეთ გაცნობის მიზნით, დელეგაცია ცხინვალის რეგიონსა და პანკისის ხეობას ეწვევა. ასევე, უცხოელი სტუმრები რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ეუთო-ს მონიტორინგის ჯგუფის ბაზებს დაათვალიერებენ. **ინტერ-პრესი**

### საქართველოს ნატო-ს გენერალური მდივანი ეწვევა

4 ნოემბერს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ნატო-ს გენერალური მდივანი იაპ დე ჰუპ სხეფერი ეწვევა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან და თავდაცვის მინისტრთან გიორგი ბარამიძესთან.

საქართველოდან იაპ დე ჰუპ სხეფერი აზერბაიჯანსა და სომხეთში გაემგზავრება. **ინტერ-პრესი**

### ბაღაფში უარყოფს "პროქართულ ორიენტაციას"

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი სერგეი ბაღაფში კატეგორიულად უარყოფს მტკიცებას მისი "პროქართული ორიენტაციის" თაობაზე და აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ის და მისი გუნდი აფხაზეთის რუსეთთან დაახლოების პოლიტიკურ კურს გააგრძელებენ.

მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ გაერთიანებული ოპოზიცია "აფხაზეთის რეალური უსაფრთხოების გარანტიას რუსეთს უკავშირებს, არჩევნების ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, აფხაზეთის დამოკიდებულება რუსეთთან მიმართებაში უცვლელი დარჩება და აფხაზეთის რუსეთთან შემდგომ დაახლოებაზე იქნება ორიენტირებული". **ინტერ-პრესი**

### რუსულმა ვერტმფრენებმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვიეს

რუსულმა ავიაციამ გუშინ საქართველოს საჰაერო სივრცე კიდევ ერთხელ დაარღვია. საჰაერო საზღვრის დარღვევის ფაქტი დაახლოებით 12.05 საათზე დაფიქსირდა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, სასაზღვრო საგუშაგო "გირევის" მონაკვეთზე, ქერიგოსა და იუქერიგოს უღელტეხილების რაიონში, სასაზღვრო პატრულმა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების კუთვნილი მი-8 და კა-52 ტიპის ორი ვერტმფრენი დააფიქსირა, რომლებმაც საქართველოს საჰაერო სივრცეში, დაახლოებით, 20 წუთი დაჰყვეს.

საქართველოს სასაზღვრო უწყების განცხადებით, რუსული ვერტმფრენები აღნიშნული ტერიტორიების დაზვერვას ახორციელებდნენ, რის შემდეგაც უკან გაფრინდნენ. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი, საქართველოს ლობი ევროპარლამენტში ვიტაუტას ლანდსბერგისი მონაწილეობას მიიღებს "ფრიდრიხ ებერტის ფონდის" და "რეგიონული უსაფრთხოების სამხრეთ კავკასიის ინსტიტუტის" მიერ თბილისში ორგანიზებულ ორდღიან კონფერენციაში - "ევროკავშირი: სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები", რომელიც შაბათს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაეროს უშიშროების საბჭო შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთის კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეთა შორის დიალოგის არარსებობის გამო.

უშიშროების საბჭო ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია ძალისხმევის გააქტიურება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით. უშიშროების საბჭოს მორიგე თავმჯდომარე ქვეყნის, ბრიტანეთის, წარმომადგენელმა ადამ ტომსონმა განაცხადა, სამშვიდობო პროცესი ჩიხში შეიყვანა აფხაზეთის მოუგვარებელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ. ტომსონის აზრით, ამჟამად სამშვიდობო პროცესი თითქმის გაყინულია და ამის მიზეზი მნიშვნელოვანწილად აფხაზთა სახით თანამოსაუბრის არარსებობაა.

ადამ ტომსონმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება, ე.წ. "მეგობარი ქვეყნების" წარმომადგენელთა მაღალი დონის შეხვედრა, რომლის მიზანი სამშვიდობო პროცესის გამოცოცხლება იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. [illegible]

# საქართველოს რეგიონებში ადამიანის უფლებები კვლავ იგნორირებულია

პირველი გვერდიდან

სამართალდამცველთა მხრიდან ადამიანის უფლებათა შელახვის პრობლემა საქართველოს რეგიონებში ყოველთვის გაცილებით მწვავედ იდგა, ვიდრე დედაქალაქში, მაგრამ იმ ფაქტს, რომ პერიფერიებში მსგავს შემთხვევებს მკაცრი რეაქცია არ მოჰყვება ხოლმე, თავისი განსაკუთრებული მიზეზები აქვს.

ხშირ შემთხვევაში, ახალი ხელმძღვანელობის განკარგულებაში დარჩენილი ძველი კადრები მაინც ფიქრობენ, რომ ამა თუ იმ დანაშაულის გახსნა "უფროსობის თვალში" წინანდებურად უფრო მეტად ფასობს, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ადამიანის უფლებების დაცვა. გარდა ამისა, რეგიონებში კვლავაც პრობლემად რჩება სამართალდამცველთა, განსაკუთრებით კი პოლიციის თანამშრომელთა სამართლებრივი განათლების დაბალი დონე. ერთია არცოდნა, რომ დაკავებულზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენა თითქმის ისეთივე დანაშაულია, როგორიც მისი ელექტროშოკის აპარატზე მიერთება, მაგრამ დანაშაულში ეჭვმიტანილისგან აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად, რაც არ უნდა სიმართლეს შეეფერებოდეს ის, ფიზიკური იძულება კანონით დასჯადი რომ არის და იმავე ჩვენებას მტკიცებულების სახეს უკარგავს, ამის ახსნა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მომუშავე პოლიციელისთვის პრობლემად არ უნდა რჩებოდეს.

მეორეა თავად დაზარალებულთა მიდგომა მათი უფლებების შელახვისადმი. გარდა იმისა, რომ რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი კიდევ უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე დედაქალაქში, პერიფერიებში, ცენტრთან შედარებით, კიდევ უფრო აქტიურად მოქმედებს საქმეზე ნაცნობ-მეგობრობის გავლენა.

მოსახლეობისა და სამართალდამცველების სამართლებრივი განათლების პარალელურად კი, ნამდვილად ქმედითი იქნება სახალხო დამცველის წარმომადგენლების აქტივობის რეგიონებზე გადატანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დედაქალაქის წინასწარი დაკავების საკნებში მათი პერიოდული სტუმრობა და დროდადრო ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტების გამოვლენა მხოლოდ საჩვენებელი რეიდების სახის მატარებელი იქნება და რეალურ შედეგს ვერ მოიტანს.

## სამეგრელო-ზემო სვანეთი და შიდა ქართლი ყველაზე მძიმე რეგიონებია

"თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ შეკრებილი მონაცემებით, დაკავებულთა ცემა-წამების მხრივ ლიდერობს გორის, გარდაბნისა და ზუგდიდის წინასწარი დაკავების საკნები. მონაცემები, რომელიც "თავისუფლების ინსტიტუტმა" მოაგროვა, მართალია, არასრული, მაგრამ მაინც შთამბეჭდავია. ამ მონაცემების მიხედვით, სამეგრელოს წინასწარი დაკავების საკნებში ბოლო ცხრა თვის მანძილზე დაკავებულის ცემისა და წამების 30 შემთხვევაა გამოვლენილი, ხოლო შიდა ქართლში - 35.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" მიერ მოგროვებულია კონკრეტული ფაქტები ადამიანის უფლებების დარღვევაზე.

24 იანვარს - სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების საკანში სცემეს დაკავებულ ირაკლი გოგიას.

4 თებერვალს – ჩხოროწყუს შს რაიონულ განყოფილებაში სხეულის დაზიანებები მიაყენეს დაკავებულ კობა ნადარაიას.

4 თებერვალს – ჩხოროწყუს შს რაიონულ განყოფილებაში სხეულის დაზიანებები მიაყენეს დაკავებულ რამაზ ქარდავას.

4 თებერვალს – ჩხოროწყუს შს რაიონულ განყოფილებაში სხეულის დაზიანებები მიაყენეს დაკავებულ დავით ბერიშვილს.

10 მარტს - მარტვილის რაიონის პოლიციის მიერ დაკავებისას სასტიკად იქნა ნაცემი მამუკა ძაგანია.

15 აპრილს - არჩილ ფულარიანს გორის საფინანსო პოლიციამ იარაღის მუქარით ჯერ ჩამოართვა ტვირთი, ხოლო შემდეგ იგი სასტიკად სცემეს (ფულარიანის სხეულის დაზიანების ფაქტი დაფიქსირებულია გორის საავადმყოფოს მიერ).

16 აპრილს - ფოთის პოლიციის განყოფილებაში სასტიკად აწამეს დაკავებული ივანე კურლოჩოვი.

23 აპრილს - გორის შსს სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში სასტიკად სცემეს დაკავებულ რევაზ მეცხვარიშვილს.

1 სექტემბერს - აბაშის რაიონისა და თბილისის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა საკუთარ სახლში დააკავეს 26 წლის ზურაბ ფირცხალავა (თვითონვე მუშაობდა სამეგრელოს სამხარეოს სპეცრაზმის უფროსის მოადგილედ). სამართალდამცველებმა თვითონ მიიყვანეს საკუთარი დამსწრეები და მათივე დამოწმებით ბინიდან ამოიღეს "ლიმონკა". დაკავებული არის ნაწამები – სხეულზე ემჩნევა სიგარეტით ამომწვარი ადგილები, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა.

1 სექტემბერს - ზუგდიდში დააკავეს 9 პიროვნება, მათ შორის უმრავლესობა – პარტიზანული რაზმის ყოფილი წევრები, რომელთაგან ორი (გენო ქულავა და ლადო ძაძუა) 2 სექტემბერს ხობის პოლიციის ქვეგანყოფილებაში სასტიკად იქნენ ნაწამები. ექსპერტიზამ დააფიქსირა სხეულზე წამებისა და სიგარეტით ამოწვის კვალი.

ყველა შემთხვევის შესახებ მონაცემები გადაეცა შსს-ს გენერალურ ინსპექციას, თუმცა უშედეგოდ.

რაც შეეხება პროკურატურას, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პროკურორის როლანდ ახალაიას თქმით, **"პატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტებზე სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურაში მნიშვნელოვანი საქმეები ჯერ კიდევ 2003 წლის ბოლოს, შემდეგ კი მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში აღიძრა. ერთ-ერთი იყო ცემა-წამების მრავალეპიზოდიანი სისხლის სამართლის საქმე, რა დროსაც დავაპატიმრეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი სერგო ჩაჩიბაია, ხობის რაიონის პოლიციის უფროსი, რეგიონის გენერალური ინსპექსიის სამსახურის უფროსი და სხვა პოლიციელები. აღნიშნული საქმის წინასწარი გამოძიება დასრულებულია და იგი შემდგომი განხილვისათვის სასამართლოშია გადაგზავნილი. სასამართლო განიხილავს სამი მარტვილელი პოლიციელის - ხარებავას, ნაჭყებიას და ჯღარკავას საქმესაც, რომლებმაც დაკავებული მოქალაქეები სცემეს.**

**ამ პერიოდისათვის რეგიონში პატიმართა ცემა-წამების კუთხით მდგომარეობა აშკარად გამოსწორებულია, თუმცა საჩივრები მაინც შემოდის და მათზე მიმდინარეობს მოკვლევა. ზუგდიდის რაიონის პროკურატურაში ცემა-წამების ფაქტზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დანარჩენებზე კი ამ ეტაპზე დანაშაული არ არის გამოკვეთილი და მოკვლევა გრძელდება. ჩვენ არც ერთი დამნაშავე პოლიციელისთვის არ ვაპირებთ ხელის გადასმას."**

არასამთავრობოების მიერ ერთ-ერთ ყველაზე რთულ რეგიონად დასახელებული შიდა ქართლის საოლქო პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი გურამ აბუაშვილი კი ირწმუნება, რომ პოლიციის მხირდან ადამიანების ცემა-წამების მხრივ რეგიონში მდგომარეობა არც ისე საგანგაშოა. მისი თქმით, ყველა განცხადება და საჩივარი, რომელიც პატიმრის ცემა-წამებას ეხებოდა, გადამოწმებულია, მაგრამ დანაშაულის ნიშნები არც ერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა. პროკურორის განცხადებით, პატიმრები მოკვლევის ეტაპზევე აცხადებენ, რომ მათ დაზიანებები დაკავების მომენტში მიიღეს და პოლიციელთა მხრიდან წამებას ადგილი არ ჰქონია.

როგორც აბუაშვილი ირწმუნება, პროკურატურაში პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების შელახვაზე თვეში მხოლოდ ერთი ან ორი საჩივარი შედის და იქაც დანაშაული არ დასტურდება. არადა, დამნაშავე პოლიციელთა დასჯის სურვილი, თურმე, შიდა ქართლის პროკურორსაც ჰქონია...

# იმერეთში არც ერთი პოლიციელი არაა მხილებული ცემა-წამების ფაქტზე

ბექა სისაური
*ქუთაისი*

*იმერეთის რეგიონში, დაკავებულთა უფლებების დარღვევის თვალსაზრისით, მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, საგანგაშოა. ამის დასტურად უბრალო სტატისტიკის მოყვანაც კმარა: წელს ქუთაისის მეორე საპყრობილეში სხეულის სხვადასხვა დაზიანებებით 80-ზე მეტი პატიმარია მოთავსებული. 33-მა მათგანმა იმერეთის რაიონულ და საქალაქო პროკურატურებს, ადვოკატებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევით მიმართა და ცემა-წამების კონკრეტული ფაქტებიც მიუთითა. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ, ობიექტური გამოძიების ჩატარების ნაცვლად, ყველა აღნიშნულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება ისე გამოიტანა, რომ პოლიციელთა მართლზომიერ ქმედებაში ეჭვიც არ შეუტანია.*




იმერეთის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოების წინასწარი დაკავების საკნებში, პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტები სახალხო დამცველის ადგილობრივმა ოფისმა და თავისუფლების ინსტიტუტის ქუთაისის ორგანიზაციამ შეისწავლა. პოლიციის ადგილობრივი განყოფილებების წინასწარი დაკავების საკნებში ეჭვმიტანილთა მიმართ მასობრივად გამოიყენება ფიზიკური ზეწოლის კარგად აპრობირებული მეთოდები - ელექტროშოკით დაწყებული, ფეხის გულებზე "დუბინკით" ცემით დამთავრებული. ვითარებას ვერ ცვლის პროკურატურის ჩარევაც. მეტიც, სწორედ პროკურატურის გამომძიებლების ჩარევის შემდეგ, ნაცემი ეჭვმიტანილები ჩვენებებს გადათქვამენ ხოლმე და აცხადებენ, რომ დაზიანებები სხვადასხვა აბსურდულ ვითარებაში (მაგალითად, ნარიდან ჩამოვარდნენ, კიბეებზე დაგორდნენ, ქუჩაში უცნობებმა სცემეს და ა.შ.) მიიღეს.

**"იმერეთში ეჭვმიტანილთა ცემა და წამება იშვიათი მოვლენა არ გახლავთ. წლის დასაწყისიდან ქუთაისის N2 საპყრობილეში 80 ნაცემი პატიმარია შეყვანილი. დაკავებულთა უმრავლესობა ამბობს, რომ ნარკოტიკები და იარაღი ჩაუდეს. რაც შეეხება ცემისა და წამების ფაქტებს, ისინი ამის გამხელას მაქსიმალურად ერიდებიან. პატიმრები შეშინებულნი არიან და, ამავე დროს, არ აქვთ იმედი, რომ მომხდარს პროკურატურა ობიექტურად შეისწავლის,"** - აცხადებს სახალხო დამცველის რწმუნებული იმერეთის მხარეში ქეთევან კანდელაკი.

ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო ვითარებაა იმერეთის სხვადასხვა რაიონების პოლიციის განყოფილებებში. მაგალითად თერჯოლაში, საცხოვრებელი სახლიდან ალუმინის ნივთების ქურდობაში ეჭვმიტანილი სამი პიროვნება - მაგული ოდიკაძე, მუხრან და ზურა მაჭარაშვილები დააკავეს. ისინი თერჯოლაში მაყვლის საკრეფად ჩავიდნენ, თუმცა ერთ-ერთი ოჯახიდან ალუმინის ნივთებიც მოუპარავთ. მიუხედავად ამისა, თერჯოლის პოლიციელების ქმედებას ვერაფერი ამართლებს. ქეთევან კანდელაკის განმარტებით, პოლიცელებმა ეჭვმიტანილები ადგილზევე გააშიშვლეს, მოტეხეს ხის ტოტები და შიშველ ტანზე ცემა დაუწყეს. შემდეგ კი მიწაზე დაყარეს და უკვე წიხლებით სცემდნენ. ამის შემდეგ წაიყვანეს სოფელ ნახშირღელის განყოფილებაში და იქაც სცემეს.

**"დაკავებული ქალბატონი ჩემთან საუბრისას მიუთითებდა, რომ პოლიციელებმა ქვედა საცვალი შემოახიეს და გაუპატიურებას უპირებდნენ. დაკავებულთაგან ერთ-ერთი მამაკაცი, სკამზე დააწვინეს, ფეხებზე ერთი პოლიციელი დააჯდა, წელზე კი მეორე. პოლიცია წამების ამ ხერხით ცდილობდა მათგან სხვა დანაშაულებების აღიარებისთვისაც მიეღწია. სამივე მათგანი არაადამიანურადაა ნაცემი,"** - აცხადებს ქეთევან კანდელაკი.

საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნულმა პირებმა საპყრობილეში გადაყვანისას განაცხადეს, რომ ნაცემები არ იყვნენ, ხოლო დაზიანებები, ჯერ კიდევ დაკავებამდე ჰქონდათ მიღებული. სახალხო დამცველის რწმუნებულმა გაარკვია, რომ საპყრობილეში გადაყვანამდე ეჭვმიტანილებს დაემუქრნენ, არაფერი ეთქვათ, თორემ ისევ სცემდნენ. აღნიშნულის თაობაზე პროკურატურას უკვე ეცნობა, თუმცა ეს ახალი ფაქტი გახლავთ და გამოძიების შედეგები, ჯერჯერობით, უცნობია.

მსგავსი რამ მხოლოდ რაიონებში არ ხდება. ადამიანის უფლებების დამცველთა განმარტებით, სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა კოხოძემ და გეთიაშვილმა ეჭვმიტანილი ზვიად ქარსელაძე დაკავებისას გაძარცვეს, ხოლო მას შემდეგ, რაც მან სასჯელი მოიხადა და პოლიციელებს საკუთარი ნივთების დაბრუნება მოსთხოვა, იგი კლავ დააპატიმრეს და სასტიკად სცემეს.

**"ზვიად ქარსელაძე იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის ერთი წლის წინ დააკავეს. იგი გაასამართლეს და ერთი თვეა, სასჯელი მოიხადა. მისი განმარტებით, დაკავებისას პოლიციელებმა გეთიაშვილმა და კოხოძემ პირადი ნივთები - მობილური ტელეფონი, ოქროს ჯვარი, ოქროს ბეჭედი და გარკვეული თანხა ჩამოართვეს. შემდეგ კი აღარაფერი დაუბრუნებიათ. მისი კუთვნილი ავტომობილი კი წყალტუბოს პოლიციის ეზოში დააყენეს. როდესაც ქარსელაძის ახლობლები ავტომობილის წასაყვანად მივიდნენ, მანქანა მთლიანად გაძარცვული აღმოჩნდა. დაახლოებით ერთი თვის წინ ქარსელაძე საპყრობილედან გათავისუფლდა და კოხოძესა და გეთიაშვილს მიაკითხა, ჩამორთმეული პირადი ნივთების და ავტომობილის დაბრუნება მოსთხოვა. პოლიციელებმა კი უთხრეს, რომ აღნიშნული პრეტენზიების შემთხვევაში მას საპყრობილეში შეაბრუნებდნენ,"** - აცხადებს ქეთევან კანდელაკი. როგორც ჩანს, პოლიციელებმა პირობა შეასრულეს, რადგანაც ქარსელაძე ამ საუბრიდან დაახლოებით სამ დღეში ისევ დააკავეს, რისი მიზეზიც კვლავ იარაღის უკანონო ტარება აღმოჩნდა.

**"დაახლოებით მესამე დღეს ქარსელაძემ, მეგობრის მანქანით, ბავშვი პოლიკლინიკაში მიიყვანა, იქიდან რომ ბრუნდებოდა, პოლიციელებმა გააჩერეს, მანქანიდან გადმოათრიეს, სცემეს და იარაღი ჩაუდეს. საბოლოოდ, იგი ისევ იარაღის ტარება-შეძენისთვის დაიჭირეს, რაც ძალიან საეჭვოა. ჯერ ერთი, პოლიკლინიკაში შვილი იარაღით არავის მიჰყავს, მეორეც, ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ ქარსელაძის დაკავება, სწორედ დაკარგული ნივთების მოთხოვნის ფაქტს უკავშირდება. ამ პიროვნებას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩავუტარეთ, მას მრავლობითი სისხლნაჟღენთი ჭრილობები და დაბეჟილობები აღმოაჩნდა. გატეხილი აქვს ორი ნეკნი, რამაც მისი ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა გამოიწვია,"** – ამბობს ქეთევან კანდელაკი.

პოლიციელების მხრიდან ეჭვიტანილთა ცემის კიდევ ერთი ფაქტი ამ ცოტა ხნის წინ დაფიქსირდა. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების განცხადებით, 21 სექტემბერს მათ მიმართეს სამტრედიაში მცხოვრებმა გელა და ჯემალ ნადირაძეებმა, რომლებიც აღნიშავდნენ, რომ ორივე ძმას, პოლიციის თანამშრომლებმა, ჯერ ქალაქის ტერიტორიაზე სცემეს, ხოლო შემდეგ კი, 3-4 საათის განმავლობაში, სამტრედიის პოლიციის განყოფილებაში ჰყავდათ და იქ აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

**"აღნიშნული ფაქტი გადავეცით სამტრედიის რაიონულ პროკურატურას, ხოლო 29 სექტემბერს მივიღეთ მათგან პასუხი, რომ, მართალია, გელა და ჯემალ ნადირაძეები ადრე აცხადებდნენ, რომ სხეულის დაზიანება მიიღეს სამტრედიის რაიონის პოლიციის თანამშროლების ფიზიკური ზეწოლის შედეგად, მაგრამ სინამდვილეში ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ძმებ ნადირაძეებს რესპუბლიკის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე უცნობი პირების ჩხუბი შეუმჩნევიათ, უცდიათ მათი გაშველება, რა დროსაც აღნიშნული დაზიანებები მიუღიათ. ასეთი აბსურდული დასკვნა მოგვწერა პროკურატურამ,"** - განმარტავს ქეთევან კანდელაკი.

ეჭვმიტანილის ცემა-წამების ფაქტი დაფიქსირებულია ჭიათურაშიც. როგორც ირკვევა, ადრე ნასამართლევ გოჩა ტაბატაძეს ჭიათურის პოლიციის უფროსი რაიონის დატოვებას სთხოვდა. სახალხო დამცველის რწუნებულის განმარტებით, 4 ოქტომბერს ტაბატაძის ავტომობილს პოლიციის მანქანა ეჯახება. მანქანიდან გადმოდის სამი პიროვნება, ტაბატაძეს თავის არეში სცემენ, რითაც მის გათიშვას ცდილობენ, შემდეგ კი მიწაზე აგდებენ და უკვე წიხლებით სცემენ. ამ დროს მას უგრძვნია წელის არეში ბლაგვი საგნის ჩადებაც. ტაბატაძე პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგაც სცემეს. ჭიათურის სასამართლომ მას პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა, რაც პროკურატურამ ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. ქუთაისის საოლქო სასამართლომ კი ტაბატაძეს პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, იგი ამჟამად მიმალვაში იმყოფება.

**"ტაბატაძე დამიკავშირდა და განმიცხადა: სანამ არ დავრწმუნდები იმაში, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, არ ჩავბარდებიო. პოლიციამ თავისი უკანონო ქმედებით ტაბატაძეს საკუთარი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმებინა,"** -განმარტავს კანდელაკი.

ეჭვმიტანილთა უფლებები ირღვევა ტყიბულშიც, ცოტა ხნის წინ იქ ეჭვმიტანილი მინდიაშვილი სასტიკად სცემეს. პროკურატურამ მომხდარი ბევრი იკვლია თუ ცოტა, დაადგინა, რომ მას დაზიანებები პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის დროს ჰქონდა მიღებული. გამოძიება არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ მიიღო წიაალმდეგობის გაწევისას მინდიაშვილმა დაზიანებები მხოლოდ ფეხის გულებში.

ადგილობრივ პროკურატურაში აღიარებენ, რომ ეჭვმიტანილებს სამართალდამცველები კიდეც სცემენ და კიდეც აწამებენ, თუმცა რატომ არ ხდება ასეთ ფაქტებზე კანონით გათვალისწინებული რეაგირება, ამის ახსნა უჭირთ.

**"არ გამოვრიცხავ, რომ პოლიციის მხრიდან ეჭვმიტანილებზე ძალადობის ფაქტები მართლაც იყოს, მაგრამ შემოწმებისას, უმრავლეს შემთხვევაში, დაზარალებულები აცხადებენ, რომ დაზიანებები მიღებული აქვთ მანამ, სანამ დააკავებდნენ, ან - დაკავების პროცესში. ამ ეტაპზე არც ერთი პოლიციელი ადამიანის ცემა-წამებისთვის დაკავებული არ არის,"** - აცხადებს ქუთაისის პროკურორი ჯუბა ლელაძე.

# დამნაშავის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულიც დასჯადია

*კახეთის რეგიონში წელს პოლიციელთა მხრიდან დაკავებულთა უფლებების დარღვევის 43 ფაქტი დაფიქსირდა. აქედან 10 შემთხვევაში პოლიციელების მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ზეწოლას. ამას ირწმუნებიან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ, როგორც ირკვევა, სისხლის სამართლის საქმე დღემდე არც ერთი პოლიციელის წინაღმდეგ არ აღძრულა.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

ძალოვნები ძველი ხელისუფლების დროს დამკვიდრებულ ტრადიციებს არ ღალატობენ და ნაცადი მეთოდებით განაგრძობენ მუშაობას – "დუბინკები" და მუშტი-კრივი კვლავ ძალაში რჩება. რაც ყველაზე საგანგაშოა, სამართალდამცველი უწყების ხელმძღვანელები ამ ფაქტს ზოგჯერ კანონით, კერძოდ, პოლიცის შესახებ კანონით მინიჭებული უფლებებით ხსნიან. ეს კანონი კი ამბობს: "პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური იძულება. მათ შორის ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები პირადი და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამნაშავისა და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დასაკავებლად, თუ უძალადო მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომლის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას".

ამ კანონს კი თითოეული პოლიციელი თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს, რაც ხშირად ფიზიკურ ძალადობაში ვლინდება და სამართალდამცველები სამართალდამრღვევები ხდებიან.

მაგალითად, კახეთის რეგიონში პოლიციელების მხრიდან ფიზიკური ძალების დემონსტრირების მსხვერპლი წელს 10 ადამიანი შეიქნა. თუმცა, როგორც ირკვევა, დაზარალებულებს არც ერთ შემთხვევაში პროკურატურისთვის არ მიუმართავთ. უფრო მეტიც, ყოფილა შემთხვევები, როცა დამნაშავე პოლიციელი დაზარალებულს გარიგებია. ასეთი ფაქტები ამ ცოტახნის წინ გურჯაანშიც დაფიქსირდა.

**"ეს, ალბათ, იქიდან გამომდინარეა, რომ ხალხში პოლიციის მიმართ ნდობის ფაქტორია დაკარგული. გარდა ამისა, ხშირია, როცა დაზარალებული ყველაფერზე თვალს ხუჭავს იმის გულისთვის, რომ დამნაშავე პოლიციელი ნათესავის ან ძმაკაცის ახლობელია. სახალხო დამცველის კახეთის წარმომადგენლობას გვიწევს იმის მტკიცება, რომ თითოეული მსგავსი დანაშაული, რომელსაც პოლიცია ჩადის, დაუსჯელობის შემთხვევაში, სხვის მიმართ გამეორდება და ასე უსასრულოდ,"** - ამბობს სახალხო დამცველის რწმუნებული კახეთში ნოდარ სეფიაშვილი.

საგულისხმოა, რომ სამართალდამცველთა მხრიდან ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების ფაქტებით დაინტერესებას არც საოლქო პროკურატურა იჩენს. უფრო მეტიც, მსგავს შემთხვევებში ისინი პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ და თითს თავისივე უწყების რაიონული წარმომადგენლობისკენ იშვერენ. **"გენერალურმა პროკურატურამ მოგვცა დავალება, მთელი სიმკაცრით მოვეკიდოთ ადამიანის უფლებათა დამრღვევ პოლიციელებს. ჩვენც შესაბამისი მითითებები მივეცით რაიონულ პროკურატურებს. მათგან კი არავითარი შეტყობინება არ მიგვიღია,"** - ამბობს კახეთის რეგიონის პროკურორის მოადგილე დავით მჭედლიშვილი. რაიონების პროკურორები კი აცხადებენ, რომ პოლიციის მხრიდან მოქალაქეებზე ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ განცხადებით მათთვის არავის მიუმართავს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის წარმომადგენლობაში კი ამბობენ, რომ წელს პოლიციელთა მხრიდან დაკავებულთა უფლებების დარღვევის 43 შემთხვევა დაფიქსირდა. **"არის დარღვევები როგორც პროცესუალური, ისე ფიზიკური ანგარიშსწორების თვალსაზრისით, რომელთა მსხვერპლთა რიცხვმა ათს მიაღწია. ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ ხშირად, სამართალდამცველებს ვერ გაურკვევიათ თავისი უფლება-მოვალეობები. ზოგმა არც კი იცის, რომ, როცა ადამიანი გყავს დაკითხვაზე, მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა არ უნდა მოახდინო, რადგან ამ დროს, როგორც გინდა ტყუოდეს დანაშაულში ეჭვმიტანილი, თავად პოლიციელი გვევლინება დამნაშავედ,"** - ამბობს ასოციაციის თელავის ოფისის ხელმძღვანელი ლელა ტალიური.

კახეთის სამხარეო პოლიციის შეფს თეიმურაზ ანჯაფარიძეს მიაჩნია, რომ რეგიონის მოსახლეობას პოლიციასთან არანაირი პრობლემა არ აქვს, რადგან, როგორც ის ამბობს, მათი უწყებისთვის მისი თანამშრომლების მიმართ საჩივრით არავის მიუმართავს. **"იყოს კონკრეტული ფაქტი და რეაგირებას მოვახდენთ,"** – კონკრეტიკას ისაკლისებს პოლიციის უფროსი.

ამ დროისთვის კი, კახეთში არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან თავისუფლების ინსტიტუტი, სახალხო დამცველის რწმუნებული და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ერთობლივ მონიტორინგს აწარმოებენ და სწორედ ისინი ირწმუნებიან, რომ კონკრეტული ფაქტები სწორედაც რომ ხდება და შესაბამისი ნების შემთხვევაში სამართალდამცველ ორგანოებს არც მათი გამოვლენა გაუჭირდებათ და არც უღირსი კოლეგების დასჯა.

# აჭარაში პროცესუალური ნორმები ირღვევა

*აჭარაში, სამართლებრივ სტრუქტურებში ძველი პერიოდის სიტუაცია დიდად არ შეცვლილა. დაკავებები და სპეცოპერაციები რიცხობრივად დღეში 10-ს მაინც აღწევს და თითქმის ყველა ეჭვმიტანილს ნარკოტიკების ხმარებისა თუ იარაღის უკანონოდ ტარების მოტივით აკავებენ. წინასწარი პატიმრობის იზოლატორთან კი, მათი ახლობლები იკრიბებიან და უკანონო დაკავება-ჩხრეკას აპროტესტებენ.*

შორენა ბოგირაიშვილი
*„24 საათი-აჭარა"*

**"მართალი გითხრათ, როცა მონიტორინგს ვახორციელებთ, დაკავებულებზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებს ვერ ვაფიქსირებთ. სამაგიეროდ, ბევრი საუბრობს, რომ აჭარაში დაკავებები უკანონოდ ხორციელდება. ვერ ვიტყვი, რომ ყოველთვის ასე ხდება, მაგრამ "ჩადების" ფაქტებიც ხშირია. ერთ-ერთ კონკრეტულ ფაქტს დაგისახელებთ, რომელსაც ჩვენი ადვოკატები გამოეხმაურნენ: მოქალაქე ელდარ მსხალაძის აყვანის ერთ-ერთი თანამოწმე აცხადებს, რომ ჩხრეკა აყვანის მომენტში კი არა, პოლიციაში მოხდა, უფრო სწორად, ნივთმტკიცება უკვე მაგიდაზე იდო. ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი მიზეზი სამართალდამცველთა მიერ პროცესუალური ნორმების დარღვევისა, არის მოქალაქეების მხრიდან თავიანთი უფლებების არცოდნა. ასევე ზოგიერთმა პოლიციელმაც არ იცის თავისი მოვალეობები,"** - აცხადებს აჭარის ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციის თავმჯდომარე გივი ბრუნჯაძე, რომლის ორგანიზაციაც, უახლოეს მომავალში, სამართლებრივი სტრუქტურების მუშაკებისათვის მოვალეობების უკეთ გათვითცნობიერების მიზნით, იურიდიული კონსულტაციების ჩატარებას აპირებს.

"იცოდე კანონი და იქნები დაცული" - ეს იმ სარეკლამო სერიალების ძირითადი ლოზუნგია, რომელსაც იურისტთა ასოციაცია ასე უხვად აწვდის მოსახლეობას ტელეეკრანებიდან, მაგრამ დაკავებულთა ახლობლების გაუთვითცნობიერებელი ქმედებები მეტყველებს, რომ რეკლამა ნაკლებეფექტურია. ძირითადი პრეტენზიები საზოგადოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლებისკენაა მიმართული, პოლიციის მუშაკები კი თავიანთ კანონიერ თუ უკანონო ქმედებებზე პასუხს არსად აგებენ.

ცოტა ხნის წინ, აჭარაში შეტაკება მოხდა საპატრულო პოლიციასა და ბანდიტურ დაჯგუფებას შორის, სადაც ერთ-ერთი ბოროტმოქმედი დაიჭრა, იგი ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს სამკურნალოდ. დაკავებული სარჯველაძის მეუღლის ეკა ტორონჯაძის ნაამბობის თანახმად, ღამით დაჭრილს პალატაში პოლიციის მუშაკი კახა ინაიშვილი ესტუმრა.

**"ჩემს მეუღლეს პალატაში პოლიციელი შეუვარდა. მომესმა მეუღლის ხმა, რომელიც შველას ითხოვდა. როცა პალატაში შევედით, დავინახე ამაზრზენი სურათი: სისხლიანი ბინტი, ბამბა და დრენაჟები იატაკზე ეყარა. კახა ინაიშვილმა წყლიანი ბოთლი ურტყა ჩემს ქმარს დაჭრილ ფეხებზე. ადვოკატს კი იარაღი მიუშვირეს ფეხებში, პალატაში რომ არ შესულიყო. დილით ჩემი მეუღლე თბილისში, ციხის საავადმყოფოში გააპარეს, მაშინ, როცა მისი მოძრაობა და, მით უმეტეს, შორ მანძილზე გადაყვანა, ყოვლად დაუშვებელი იყო, მაგრამ ეს ბათუმის პოლიციამ იმ 1600 ლარის გადახდის თავიდან ასაცილებლად გააკეთა. ეს თანხა მათ დაჭრილის მკურნალობაში უნდა გადაეხადათ,"** - აღნიშნავს ეკა ტორონჯაძე.

კახა ინაიშვილი მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს.

ამ ფაქტზე რეაგირების მოხდენა აჭარელ სამართალდამცველებს არ უფიქრიათ. სხვათა შორის, მესამე სექტორი უფრო დაკავებებისას არსებულ პროცესუალურ დარღვევებზე საუბრობს. ამასვე გაუსვა ხაზი აჭარაში ჩამოსულმა საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმაც. მისი თქმით, **"ამ თვალსაზრისით, აჭარაში საქმე ძალიან რთულადაა, რადგან აქ ადგილი აქვს პროცესუალური ნორმების აქტიურ დარღვევას"**.

# აზერბაიჯანმა საქართველოს ვალის გადავადებაზე, შესაძლოა, უარი განუცხადოს

*ფინანსთა სამინისტრო აზერბაიჯანელ კოლეგებთან სახელმწიფო ვალის გადავადების შესახებ მოლაპარაკების დაწყებას ცდილობს. ამ მიზნით მეზობელ ქვეყანაში შესაბამისი შეტყობინება ამ ცოტა ხნის წინათ გაიგზავნა, რომელზედაც პასუხი ნოღაიდელის უწყებას ჯერ არ მიუღია. ამასთანავე ვრცელდება ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის ფინანსთა სამინისტრო ვალის გადავადების კატეგორიული წინააღმდეგია.*

ეთერ მამულაშვილი

უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ვალი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიმართ 16 მილიონ 200 ათას ამერიკულ დოლარს აღწევს, რომლის ძირითადი ნაწილის დაფარვა 2003 წლის ოქტომბერში მიღწეული შეთანხმების თანახმად, ქართულ მხარეს 2006 წლის ბოლოს – 2007 წლის დასაწყისისთვის ევალებოდა. უფრო ზუსტად, ამ ხელშეკრულების მიხედვით, ვალის პირველი ნაწილის - 12.95 მილიონი ამერიკული დოლარის გადახდა უნდა დაწყებულიყო 2004 წლის აპრილიდან და დასრულებულიყო 2007 წლამდე. სახელმწიფო ვალის მეორე ნაწილი - 3.239 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (რაც, ძირითადად, საურავებს შეადგენს) 2005 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის ბოლომდე უნდა დაიფაროს. ორმხრივი შეთანხმების მიხედვით, წლიური საპროცენტო განაკვეთი ამჟამად 3 პროცენტს შეადგენს, თუმცა დაახლოებით ერთი წლის წინათ 4 პროცენტი იყო.

აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს დავალიანება, რომლის დიდი ნაწილი ენერგომატარებლებზე მოდის, 90-იანი წლების დასაწყისიდან გროვდება.

საქართველოს ხელისუფლება მეზობელი სახელმწიფოსგან ამ ვალის 20 წლით გადავადებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მას პარიზის კლუბის წევრ სახელმწიფოებთან პრობლემები შეექმნას.

მიმდინარე წლის ზაფხულში, როცა საქართველომ პარიზის კლუბში საგარეო ვალის 2025 წლამდე გადავადების შესახებ კლუბის წევრ ქვეყნებთან შეთანხმებას მიაღწია, საკუთარ თავზე აიღო იმის ვალდებულებაც, რომ მსგავს შეთანხმებას მიაღწევდა კლუბის არაწევრ კრედიტორ სახელმწიფოებთან – სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ირანთან, ჩინეთთან და ყაზახეთთან. ცოტა ხნის წინათ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოწვევა მიიღო და ქართულ დელეგაციას ვალის გადავადების თაობაზე მოსალაპარაკებლად ყაზახეთში ნოემბერში ელიან.

სომხეთის მიმართ საქართველოს სახელმწიფო დავალიანება ამ დროისთვის 19.593 მილიონი დოლარია, ყაზახეთის მიმართ - 27.774 მილიონი, ირანის მიმართ - 12.826 მილიონი, ჩინეთის მიმართ კი - 3.821 მილიონი დოლარი.

პარიზის კლუბის წინაშე ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულების თანახმად, საქართველომ ხუთივე სახელმწიფოსთან ვალის რესტრუქტურიზება ზუსტად ისეთივე პირობებით უნდა მოახერხოს, როგორც პარიზის კლუბის წევრ ქვეყნებთან შეთანხმდა. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო ამ ხუთი ქვეყნიდან რომელიმესთან დავალინების რესტუქტურიზაციის თაობაზე შეთანხმებას ვერ მიაღწევს და ვალის გასტუმრებას დღეს მოქმედი წესით განაახლებს, მაშინ პარიზის კლუბის წევრ ნებისმიერ ქვეყანას აქვს სრული უფლება საკუთარი ვალის დაბრუნება საქართველოსგან ძველი მომსახურებით მოითხოვოს. **"პარიზის კლუბმა საქართველოს ვადა 2005 წლის იანვრის ბოლომდე მისცა. ამ დრომდე ვალის 20 წლით გადავადებაზე ჩვენმა ქვეყანამ კლუბის არაწევრი კრედიტორი ქვეყნები უნდა დაითანხმოს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა და საგარეო ვალის დეპარტამენტის უფროსმა გია ბერიშვილმა.

მართალია, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალური შეტყობნება ჯერ არ მიუღია, მაგრამ, როგორც ფინანსთა სამინისტროში ამბობენ, მათი აზერბაიჯანელი კოლეგები ამ ვალის კიდევ ერთხელ რესტუქტურიზების კატეგორიული წინააღმდეგები არიან. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამ ორი სახელმწიფოს პრეზიდენტებს შორის არსებულ ურთიერთობას და იმ ფაქტს, რომ მსგავსი საკითხები ხშირად პოლიტიკურ დონეზე წყდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანის ფინანსთა სამინისტროს პოზიციების დათმობა მოუწევს.

*მოკლედ*

## გიორგი ჭანტურია ნატიკ ალიევის მრჩეველი გახდა

საქართველოს საერთაშორისო ნავთობკომპანიის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ჭანტურია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა. იგი ამ კომპანიის პროექტების საქართველოში განხორციელებას გაუწევს კურირებას. ამ საკადრო გადაწყვეტილებას აზერბაიჯანულ კომპანიაში იმით ხსნიან, რომ აზერბაიჯანული ნავთობპროდუქტების მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირება სწორედ საქართველოს გავლით ხდება. ამასთან, საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება მსხვილი სატრანსპორტო პროექტები, რომლებმაც აზერბაიჯანული ნავთობისა და გაზის იმპორტი უნდა უზრუნველყონ.

ჭანტურიას ახალი სამსახურის შესახებ ინფორმაციას რუსული საინფორმაციო სააგენტოებიც ავრცელებენ და თან მიუთითებენ, რომ გიორგი ჭანტურიას საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფო ქონების მიტაცებაში ადანაშაულებდა და მის დაპატიმრებაზე სანქციაც იყო გაცემული. მათივე ცნობით, ჭანტურია დაპატიმრებას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ მისმა პირადმა მეგობარმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან უშუამდგომლა.

ცნობისთვის: გიორგი ჭანტურია საქართველოს საერთაშიროსო ნავთობკომპანიის პრეზიდენტად 1998 წელს დაინიშნა. ამ თანამდებობიდან იგი 2004 წლის სექტემბერში გაათავისუფლეს. ჭანტურია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომელმა ნიკოლოზ ვაშაკიძემ შეცვალა.

*მედია-ნიუსი*

## როგორ დაიბეგრება გაზი

სემეკ-თან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე მიიჩნევს, რომ თხევად გაზზე არ უნდა იყოს არც აქციზი და არც ფიქსირებული გადასახადი. დავით ებრალიძე საგადასახადო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატებს რამდენიმე შენიშვნის გათვალისწინებას სთხოვს. მან პარლამენტარებს დაურიგა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტთან დაკავშირებული ის წინადადებები, რომელიც ენერგეტიკას უკავშირდება.

ერთ-ერთი მთავარი შენიშვნა სწორედ თხევად გაზს ეხება, რომელიც, კოდექსის პროექტის თანახმად, აქციზით იბეგრება. ებრალიძის თქმით, თხევადი გაზი სოციალურად დაუცველი ფენისთვის საკვების დამზადების საშუალებას წარმოადგენს და იგი აქციზით არ უნდა დაიბეგროს. ამასთან, ებრალიძე მიიჩნევს, რომ თხევადი გაზის მოხმარება ხე-ტყის გაჩეხვის შენელებასაც უწყობს ხელს.

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თხევადი გაზის დაბეგვრა არათუ იზრდება, არამედ მცირდება კიდეც. ამასთან, მასზე დაწესდება ფიქსირებული გადასახადი და არა აქციზი. სემეკ-თან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე კი აცხადებს, რომ თხევად გაზზე არ უნდა იყოს არც ფიქსირებული გადასახადი.

თხევადი გაზის დაბეგვრის საკითხი პარლამენტარებმა პლენარულ სხდომაზეც დასვეს, თუმცა აღნიშნული საკითხი ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მეორე მოსმენისთვის გადაიდო.

*მედია-ნიუსი*

## ებრაელი ბიზნესმენები მზად არიან, საქართველოში ინვესტიციები განახორციელონ

ებრაელი ბიზნესმენები მზად არიან, საქართველოში ინვესტიციები განახორციელონ. როგორც მსოფლიოს ქართველ ებრაელთა ბიზნესფორუმზე "ევრაზიის ებრაელთა კონგრესის" პრეზიდენტმა ალექსანდრე მაშკევიჩმა განაცხადა, თუ საქართველოს ხელისუფლება საგადასახადო რეჟიმს გაამარტივებს, ებრაელი ბიზნესმენები მზად არიან, საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციები ჩადონ.

"საგადასახადო რეჟიმის გამარტივების შემთხვევაში ჩვენ მილიონობით ინვესტიციას ჩავდებთ. ჩვენ დაინტერესებულები ვართ ენერგეტიკის, რკინიგზის, მეტალურგიული სფეროებით," - განაცხადა მაშკევიჩმა.

საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარის ჯემალ ინაიშვილის განცხადებით, თბილისში საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციაა ჩამოსული, რომელიც საქართველოს ეკონომიკით არის დაინტერესებული. "ჯერჯერობით უცნობია, განახორციელებენ თუ არა საქართველოში ინვესტიციებს თბილისში ჩამოსული ებრაელი ბიზნესმენები, თუმცა ქართულ ეკონომიკაში თანხების დასაბანდებლად საკმაოდ ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა შექმნილი," – აღნიშნა მან.

შეხვედრას ქართველი ბიზნესმენები და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ებრაელ ბიზნესმენებს შორისაა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკევიჩი და კომპანია "იუკოსის" ვიცე-პრეზიდენტი ეფიმ მენდიუკი.

საქართველო-ისრაელის დღეები საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟითა და "საქართველოდან გამოსულთა კავშირის" ორგანიზებით გუშინ გაიხსნა და ერთ კვირას გაგრძელდება.

*ინტერ-პრესი*

# რეგიონული ტელევიზია მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებას აპროტესტებს

სოფიკო ოხანაშვილი

*ტელეკომპანია "თრიალეთის" წარმომადგენლები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უსამართლობაში, ხოლო მთავრობას პოლიტიკურ ზეწოლაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ტელეკომპანია "თრიალეთი" გასაჭირშია. სამართლიანობის აღსადგენად, ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა სასამართლოში აპირებს ჩივილს. კომისიაში კი ირწმუნებიან, რომ ისინი კანონის ფარგლებში მოქმედებენ.*



*ტელეკომპანია "თრიალეთი" ქიტოშვილის გადაწყვეტილებას აპროტესტებს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია "თრიალეთის" ხელმძღვანელობისგან ელექტრონული ფოსტით მივიღეთ წერილი, რომელშიც კომპანიის თანამშრომლები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელის დიმიტრი ქიტოშვილის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და უკანონოს უწოდებენ. **"კომისიამ ტელეკომპანია "თრიალეთს" მეორე, მის მიერვე დამტკიცებული სიხშირე გააუქმა, რომელზეც "თრიალეთს" დაგეგმილი ჰქონდა უახლოეს მომავალში გასართობი პროგრამების ეთერში გაშვება. სიხშირეზე ტელეკომპანიას ლიცენზიაც ყოველგვარი კანონის დაცვით ჰქონდა და სალიცენზიო მოსაკრებელიც გადახდილი ჰქონდა",** - ვკითხულობთ წერილში, რომელსაც ტელეკომპანია "თრიალეთის" კოლექტივი აწერს ხელს. იმავე წერილიდან ვიგებთ, რომ საუბარია წლების წინ გამოყოფილ 231,25-237,75 მგჰც სატელევიზიო სიხშირეზე, რომელიც აღმოჩნდა, რომ ხელს უშლიდა და კვეთდა პირველი არხის მაუწყებლობას. პრობლემის აღმოჩენის შემდეგ, "თრიალეთის" ხელმძღვანელობამ სიხშირის შეცვლის მოთხოვნით კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას მიმართა. **"კომისიამ აღიარა, რომ ეს იყო შეცდომით გამოყოფილი სიხშირე და 2003 წლის 10 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილებით დაგვთანხმდა ამ სიხშირის დეციმეტრული სიხშირით შეცვლაზე. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ჩვენ გადავიხადეთ სალიცენზიო მოსაკრებელი, დავიწყეთ მუშაობა გასართობი სატელევიზიო არხის შექმნაზე და მოულოდნელად, გვიცხადებენ, რომ ქიტოშვილმა გადაწყვიტა, სიხშირის ჩამორთმევა, რაც აასრულა კიდეც",** - აცხადებენ ტელეკომპანიის თანამშრომლები და სამართლიანობის აღდგენას სასამართლოს გზით აპირებენ. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2003 წლის 10 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: **"კომისიას შესაძლებლად მიაჩნია შპს „თრიალეთის" მოთხოვნის დაკმაყოფილება და N45 ლიცენზიით განსაზღვრული სიხშირეების 231.25-237.75 მგჰც ნაცვლად დეციმეტრული დიაპაზონის 34-ე არხის მინიჭება".** ეროვნული კომისიის წარმომადგენლები კი ამტკიცებენ, რომ კომისიას არასდროს არ განუცხადებია თანხმობა ამ სიხშირის დეციმეტრული სიხშირით შეცვლაზე. **"ასეთი გადაწყვეტილება ბუნებაში არ არსებობს. კომისიას არ შეეძლო ამის გაკეთება, რადგანაც ამით კანონს დაარღვევდა. ამ სიხშირის მოდიფიცირება არ ჯდებოდა კანონის ფარგლებში, ამიტომ "თრიალეთს" ეს სიხშირე ჩამოერთვა. მითუმეტეს ტელეკომპანია ამ სიხშირეზე ვერ მაუწყებლობდა",** - კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, რომ კომისია კანონის ფარგლებში მოქმედებდა და სხვადასხვა არგუმენტებით ცდილობენ ახლანდელი კომისიის გადაწყვეტილების სისწორის დამტკიცებას. კომისიაში "თრიალეთისთვის" გამოყოფილი სიხშირის პრობლემის საწყისად იმას ასახელებენ, რომ ოდესღაც კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ მთელი რიგი კანონის დარღვევით დაარიგა სიხშირეები. **"თავიდანვე არასწორად მოხდა ამ სიხშირის გაცემა. სამინისტროს არ უნდა მიეცა და არც "თრიალეთს" უნდა მიეღო. როგორც ჩანს, სამინისტრომ ამ სიხშირის მიცემით კომპანია თავიდან მოიშორა",** - აცხადებენ კომისიაში. მათივე განმარტებით, 231,25-237,75 მგჰც სიხშირე არასტანდარტული არხია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გამოიყენება ე.წ. ფიქსირებული მოძრავი სამსახურებისთვის (რაციები, საკაბელო ტელევიზიები და ა.შ.), ხოლო საეთერო მაუწყებლობისთვის რეკომენდებული არ არის, რადგან დიდია ალბათობა, რომ ის ხელს შეუშლის ძირითადი არხის მაუწყებლობას. ასეთ შემთხვევაში კი, დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ტელეკომპანია "თრიალეთმა" კომისიას №45 ლიცენზიით რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო მაუწყებლობის (231,25-237,75მგჰც) სიხშირეების შეცვლისა და ამავე ლიცენზიით განსაზღვრული პირველი სატელევიზიო არხის გადამცემის სიმძლავრის 1 კვტ-მდე გაზრდის თაობაზე მიმართა. საუბარია საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ შპს "თრიალეთის" სახელზე 1994 წლის 26 ოქტომბერს გაცემულ №45 ლიცენზიაზე, რომელიც ითვალისწინებდა სატელევიზიო მაუწყებლობას პირველ სატელევიზიო არხზე სიმძლავრით 100 ვატი, სატელევიზიო მაუწყებლობას (231,25-237,75 მგჰც) სიხშირეზე სიმძლავრით 100 ვატი, რადიომაუწყებლობას 69,72 მგჰც სიხშირეზე სიმძლავრით 20 ვატი (ქ. ქარელი). 2001 წლის 30 მარტს შპს "თრიალეთმა" ხელახალი რეგისტრაცია გაიარა, თუმცა, მაშინ რეგისტრაცია ავტომატურ რეჟიმში განხორციელდა და კომიიის მაშინდელ ხელმძღვანელობას აზრადაც არ მოსვლია გამოუყენებლი სიხშირის ჩამორთმევა, პირიქით, ტელეკომპანიას მოქმედების ვადა 2011 წლის 31 დეკემბრამდე გაუგრძელა, ლიცენზიის მოდიფიცირებაზეც თანხმობა განუცხადა და სალიცენზიო გადასახდელის გრაფიკიც შეუდგინა. კომისიის გადაწყვეტილებით, სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა 60 ათას 467 ლარით განისაზღვრა. "თრიალეთმა" სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდა დაიწყო. ოფიციალური ინფორმაციით, ტელეკომპანიას ამ ეტაპზე გადახდილი აქვს 18 ათას 140 ლარი.

ტელეკომპანიამ კომისიას იმავე მოთხოვნით 2004 წლის 11 მარტსაც მიმართა. წინა შემადგენლობის კომისიისგან განსხვავებით, ახლანდელმა კომისიამ ჩათვალა, რომ ეს სიხშირე მოდიფიცირებას არ ემორჩილება და ამიტომაც მიიღო მისი გაუქმების გადაწყვეტილება. დანარჩენ ორ სიხშირეზე კი, კომპანიის მოთხოვნა დააკმაყოფილა. კომისიის განმარტებით, სიხშირის მოდიფიცირება მხოლოდ ორ შემთხვევაში – საკანონდებლო და ტექნოლოგიური ცვილილებების განხორცილებისასაა კანონით დასაშვები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში კომისიას არა აქვს უფლება, სიხშირის მოდიფიცირებაზე თანხმობა განაცხადოს. ასეთ შემთხვევბში კომპანიებმა სიხშირეზე ლიცენზია ჩვეულებრივი ანუ კონკურსის წესით უნდა მოიპოვონ. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, "თრიალეთის" მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებლიდან (18 ათას 140 ლარი) კომპანიას უკან შვიდი ათას 950 ლარი დაუბრუნდება.

**P.S.** ტელეკომპანიის თანამშრომლები დარწმუნებულები არიან, რომ მათი ტელევიზიის წინააღმდეგ პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდება. პროტესტის ნიშნად ტელეკომპანია "თრიალეთის" საინფორმაციო პროგრამა "ანარეკლმა" მუშაობა შეწყვიტა. პოლიტიკურ ზეწოლას უარყოფენ მარეგულირებელ კომისიაში, რის დამტკიცებასაც შემდეგი არგუმენტებით ცდილობენ: **"მართლაც რომ ჰქონოდა ადგილი ტენდენციურობას, მაშინ არც ამ სიხშირეებს არ დავუტოვებდით. თუ რამის თქმა უნდათ, ამისთვის ერთი სატელევიზიო და ერთი რადიო არხი აქვთ".**

# ორ კვირაში, შესაძლოა, ენერგოდეფიციტი გაღრმავდეს

პირველი გვერდიდან

**"არმენროსგაზპრომს" ჩვენ გავუგზავნეთ ოფიციალური მოთხოვნა დენის იმპორტის 100 მგვ-ით გაზრდის შესახებ, თუმცა პასუხი, ჯერჯერობით, არ მიგვიღია,"** – ასე განუცხადა მან ჟურნალისტებს, ხოლო უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სომხეთთან მოლაპარაკება გართულდა და საქართველოს ენერგოდეფიციტის გაღრმავება ემუქრება, სემეკ-ის თავმჯდომარეს გია თავაძესა და ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს მიაწოდა.

**"როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია (სგსე) აწარმოებს მოლაპარაკებებს "არმროსგაზპრომთან" 100 მეგავატი ელექტროენერგიის სომხეთიდან იმპორტირებასთან დაკავშირებით, ალავერდის 220 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის მეშვეობით. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ვერ მივაღწიეთ შეთახმებას და ვერ მივიღეთ წერილობითი თანხმობა ჩვენს მოთხოვნაზე "არმრუსგაზპრომის" მხრიდან. არსებული მოლაპარაკებების სტატუსიდან გამომდინარე, ვერ გამოვრიცხავ, რომ სგსე შეძლებს ელექტროენერგიის იმპორტირებას ნოემბრის შუა რიცხვებამდე, მაგრამ მსურს, აქვე დავძინო, რომ იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება, მცირეა იმის შესაძლებლობა, რომ იმპორტის ხელშეკრულება მიღწეულ იქნება ამ დრომდე,"** – ნათქვამია დინ უაითის წერილში, რომელიც სემეკ-ის თავმჯდომარესა და ენერგეტიკის მინისტრს 24 ოქტომბერს გადაუგზავნეს. როგორც გაირკვა, სომხეთში "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ოფიციალურად განუცხადეს, რომ მათთან ამჟამად ელექტროენერგეტიკაში რეფორმები მიმდინარეობს და, ბუნებრივი აირის ტარიფის ცვალებადობის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, იმპორტის ტარიფიც შეიცვალოს.

საქმე ისაა, რომ სომხეთის ელექტროენერგეტიკული კომპლექსის ენერგობალანსში თბურ ენერგიას, რომელსაც ბუნებრივი აირის ხარჯი სჭირდება, საკმაოდ მოზრდილი სეგმენტი უჭირავს. სომხეთის მიერ საქართველოსთვის საიმპორტო ტარიფის მომატება კი მოლაპარაკებების ხელახლა, აბსოლუტურად სხვა პირობებით წარმართვის აუცილებლობას ნიშნავს.

შეგახსენებთ, რომ უკვე ორი კვირაა, რაც სგსე სომხეთიდან დენის იმპორტს 60 მეგავატი სიმძლავრით აწარმოებს. ეს ელექტროენერგია საქართველოს მწვავე ენერგოდეფიციტს უვსებს. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის ტერიტორიის საკმაოდ მოზრდილ ნაწილზე მაინც – სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რაიონებში.

სომხეთის "არმენროსგაზპრომის" შვილობილ კომპანიასთან დენის იმპორტის შესახებ ხელშეკრულებას ხელი 2005 წლის 1 აპრილამდე აქვს მოწერილი, მაგრამ 2004 წლის 31 დეკემბრამდე ტარიფის ოდენობა დაკონკრეტებულია და ის 2,5 ცენტს შეადგენს.

სპეციალურად თბილისისთვის, სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს გეგმავდა "თელასიც". იგი, ბუნებრივია, სომხეთის ენერგეტიკაში დაგეგმილი პროცესების თაობაზე "საჭირო" და, სხვათა შორის, გაუხმაურებელ ინფორმაციას "საჭირო" დროს ფლობდა, ამიტომაც წინასწარ "გაითვალისწინა" "რაოს" სომხური შვილობილის სამომავლო გეგმები და 1 კილოვატსაათი ელექტროენერგიის შესასყიდი საიმპორტო ტარიფი 2,7 ცენტით განსაზღვრა. ბუნებრივია ისიც, რომ მაღალი საიმპორტო ტარიფის გამო, 26 ოქტომბერს სემეკ-მა და ენერგეტიკის სამინისტრომ "თელასის" მიერ სომხეთთან გაფორმებული ხელშეკრულება დაიწუნეს და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობის გაზრდა გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას დაავალეს. შედეგად საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია იმპორტის მოცულობის 100 მეგავატამდე გაზრდას გეგმავდა, თუმცა, ამ ორიოდე დღის წინ ვითარება შეიცვალა. ახლა, შესაძლოა, კომპანიამ დენის იმპორტი არათუ გაზარდოს, არამედ იმპორტის საერთოდ შეწყვეტის საშიშროების წინაშეც აღმოჩნდეს.

ეს, ბუნებრივია, მტკივნეული თემაა საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ამერიკელი მმართველის "პი-ეი კონსალტინგისთვის", რომელიც ამ შემთხვევაში "რაომ" თავის მარწუხებში სომხეთის ხელით მოაქცია. დღე-დღეზე "პი-ეი კონსალტინგს" კომპანიის მართვის ხელშეკრულება კიდევ, მინიმუმ, ერთი წლით უნდა გაუგრძელდეს - კომპანიაში "პი-ეი კონსალტინგის" მენეჯმენტის დაფინანსება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ თავის თავზე უკვე აიღო, ხელშეკრულების გაგრძელებაზე თავისი მზადყოფნა უკვე გამოთქვა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმაც. ამ პირობებში კი, რასაკვირველია, კომპანიის ამერიკელ მენეჯერებს მსგავსი მასშტაბის სკანდალი ნამდვილად არ აწყობთ.

# იქმნება უმსხვილესი მეტალურგიული გიგანტი

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს მეტალურგიული გიგანტი "ინთერნეშენალ სთილ" ისტორიულ გარიგებას აფორმებს. კომპანია ბრიტანელი ფოლადის მაგნატის, ლაკშმი მიტალის მიერ კონტროლირებად ჰოლანდიურ "ისპატსა" და "ელენემს" უერთდება. ეს გარიგება, რომელიც 17,8 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, მსოფლიოს უმსხვილეს ფოლადის მწარმოებელს ქმნის. ახალ კომპანიას "მიტალ სთილ" დაერქმევა და იგი როტერდამში იქნება ბაზირებული. "მიტალის" წლიური შემოსავალი 30 მილიარდი დოლარი იქნება, წლიური წარმადობა კი 57 მილიონი ტონა. კომპანიას 14 ქვეყანაში ექნება ფილიალი და მასში 165 ათასი კაცი იქნება დასაქმებული.

თავად მიტალის განცხადებით, მისი ფოლადის იმპერია ახლა გლობალურ მასშტაბებზე გავა. მაგნატს დიდი ხნის ოცნება უხდება: მისი კომპანია ახლა ორ ბირჟაზე - ნიუ იორკსა და ეურონექსტ ამსტერდამზე იქნება კვოტირებული. "ეს ტრანსაქცია მკვეთრად ცვლის ვითარებას მსოფლიოს მეტალურგიულ ბაზარზე, - აღნიშნა მიტალმა, - ჩვენ ახლა გავდივართ ახალ ბაზრებზე, სადაც ფოლადის ნაკეთობებზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება. ახალი ჯგუფი გამოუშვებს ფოლადის ნაკეთობებს სამშენებლო, საავტომობილო და პრაქტიკულად ყველა სფეროსათვის."

"მიტალ სთილის" შექმნისათვის ორსაფეხურიანი გაერთიანება გახდა საჭირო. თავიდან "ისპატმა" შეისყიდა "ელენემი." ახლა კი "ინთერნეშენალ სთილის" ჯერია. მიტალის წარმატებები მეტალურგიულ სფეროში მართლაც რომ განმაცვიფრებელია. ახლახან იგი ბრიტანეთის მეხუთე უმდიდრეს ადამიანად დაახელდა, მაგრამ გაერთიანებული "მიტალ სთილის" შექმნის შემდეგ მისი შემოსავალი უსათუოდ მკვეთრად აიწევს.

აქამდე ლიდერის პოზიციები მსოფლიო მეტალურგიაში ევროპულ ფოლადის კონსორციუმს, "არსელორს" ეჭირა, რომელიც ამ გარიგებას მშვიდად შეხვდა. "ჩვენ მივესალმებით ფოლადის მრეწველობაში კონსოლიდაციას, - განაცხადა კონსორციუმის ხელმძღვანელმა გაი დოლმა, - სფერო რამდენიმე წამყვანი მოთამასის ხელში უნდა გადავიდეს, რომელთა წლიური წარმადობა 80-100 მილიონ ტონას უნდა შეადგენდეს."

ჩანს "არსელორი" თავად ამზადებს რაიმე გრანდიოზულ გარიგებას. საერთოდ, როცა რაიმე სფეროში დიდი შერწყმა ხდება, მას გაერთიანებათა სერია მიჰყვება ხოლმე. ყველა ცდილობს ახლადშექმნილ მსხვილ კონკურენტს არ ჩამორჩეს. ფოლადის მრეწველობაში ალბათ ყველაფერი წინაა.

# რუსეთში პუტინის საწინააღმდეგო გამოსვლების ტალღა გორდება

*სხვადასხვა გავლენისა და შეფერილობის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალებს, რომელთაც ვერც საპარლამენტო და მით უმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვერ მოახერხეს გაერთიანება, პუტინის “სახელისუფლებო რეფორმამ” ასეთი შანსი კიდევ ერთხელ მისცა. როგორც ჩანს, დაქსაქსულ-დაძაბუნებულმა ოპოზიციამ გააცნობიერა, რომ მათი შეტევის მთავარი სამიზნე ერთმანეთის იდეოლოგია კი არ უნდა იყოს, რომელიც მართლაც არ არის ერთგვარი და ხშირ შემთხვევაში მძაფრადაა დაპირისპირებული, არამედ კრემლი და მასში მყოფი ხელისუფალი. დღეს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში პუტინის მიერ ინიცირებულმა მმართველობის ოპტიმიზაციის, ე.წ. “სახელისუფლებო ვერტიკალის გაძლიერების” კანონპროექტის განხილვამ რუსეთის ყველა მეტ-ნაკლებად ცნობადი ოპოზიცური ორგანიზაცია ერთ ბანაკში აღმოაჩინა. პუტინის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, მართალია, ჯერჯერობით, მცირერიცხოვანი, მაგრამ გეოგრაფიულად მთელი რუსეთის მომცველი გამოსვლები დაიწყო.*




*რუსი დემოკრატ-ნაციონალისტ-კომუნისტ-პაციფისტები ერთობლივი ძალით შეეცდებიან პუტინის დამარცხებას.*

რუსეთში პუტინის საწინააღმდეგო გამოსვლების ტალღა აგორდა. მართალია, ჯერ საპროტესტო მიტინგებზე მონაწილეთა რიცხვი არ კმარა იმისთვის, რომ რაიმე სახის საერთო-სახალხო მღელვარებაზე ვისაუბროთ, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც დამაფიქრებელი უნდა იყოს ვლადიმირ ვლადიმირის ძისთვის. ოპოზიციური ძალების გამოსვლა ქუჩაში სახელმწიფო სათათბიროს მიერ დღეს განსახილველი “ხელისუფლების ვერტიკალის" კანონპროექტის წინააღმდეგ არის მიმართული. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა კრემლის მომხრე ძალებისგან შედგება, კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებას, სავარაუდოდ, წინააღმდეგობა არ შეხვდება. ამგვარად, - ოპოზიციის გუშინდელი აქციები თითქოსდა უშედეგო უნდა იყოს.

თუმცა, თუ რუსეთის უახლეს ისტორიას გადავხედავთ, ასეთი ორგანიზებული პოლიტიკური გამოსვლები პუტინის პოლიტიკის წინააღმდეგ ქვეყანაში არ ყოფილა.

აქციაში მონაწილე პოლიტიკური ძალების განცხადებით, საჯარო ობსტრუქციის იდეა პუტინის სახელისუფლებო ნოვაციების მიმართ რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას, საზოგადოებრივ და უფლებათადამცავ ორგანიზაციას ერთდროულად დაებადა. მონაწილეებმა ჯერ კიდევ ოთხშაბათს გააკეთეს განცხადება დაგეგმილი აქციის შესახებ. მათი თქმით, საპროტესტო აქციები ხუთშაბათს დაიწყებოდა და 70-მდე რეგიონში გავრცელდებოდა. ხოლო დამაგვირგვინებელი აკორდი დღეს სახელმწიფო სათათბიროს წინ იქნება – რუსი დემოკრატ-ნაციონალისტ-კომუნისტ-პაციფისტები შეიკრიბებიან და რუსი კანონშემოქმედებისგან პუტინის ინიციატივაზე უარის თქმას მოითხოვენ.

სხვადასხვა პოლიტიკურო ორგანიზაციების აქტივისტები გუშინაც მართავდნენ შედარებით მცირერიცხოვან მიტინგებსა და მანიფესტაციებს. მათ ერთი ლოზუნგი აერთიანებდათ – უნდობლობა პრეზიდენტის, სახელმწიფო სათათბიროს და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიმართ.

წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების სპექტრი ფრიად მრავალფეროვანია: მემარჯვენეები, “იაბლოკო”, ირინა ხაკამადას ახალი პარტია “თავისუფალი რუსეთი”, კომუნისტები, სერგეი გლაზევის მოძრაობა “ღირსეული ცხოვრებისთვის”, გარი კასპაროვის “კომიტეტი 2008”, “ჯარისკაცთა დედები” და ა.შ. განსხვავებული იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანებულების აზრით, ხელისუფლებამ ბესლანის ტრაგედია თავისი ძალაუფლების გამყარებისთვის გამოიყენა. მით უმეტეს, კრემლს არ აუხსნია, თუ როგორ დაეხმარება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას გუბერნატორების დანიშვნა და სათათბიროს მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნების გაუქმება.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ოპოზიციური ტალღის აგორებას გუშინვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. პროტესტანტთა მიტინგების პარალელურად, მოსკოვში ხელისუფლების რეფორმების მომხრეთა შეკრებაც გაიმართა. პუტინის დაცვა მმართველი პარტიის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ “მოლოდიოჟნოე ედინსტვო” ითავა. ამას გარდა, თვითმხილველთა თქმით, თითქმის ყველა ქუჩის აქციაზე მრავლად იყვნენ “ფეესბე”-ს თანამშრომლები, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მოვლენებს და ყველაზე აქტიურთა ფოტოკამერებით დაფიქსირებასაც არ ერიდებოდნენ.

ძნელი სათქმელია, მოხერხდება თუ არა ოპოზიციის რეალურად გაერთიანება. თუმცა, მოსკოვში საპროტესტო მიტინგზე უკვე გაისმა პუტინის გადადგომის მოთხოვნა. ერთი ცხადია, რუსეთში ოპოზიციის მოთხოვნილება რეალურად არსებობს. ამას ბოლოდროინდელი სოციოლოგიური გამოკითხვებიც ადასტურებენ. განსხვავებული აზრის დეფიციტი იმდენად საგრძნობი გახდა, რომ ზოგიერთმა ექსპერტმა კრემლის მიერ საკუთარი “ოპოზიციის” შექმნაც კი არ გამორიცხა. საკითხავი ის არის, იქნება თუ არა პუტინის მიმართ პროტესტის ფაქტორი იმდენად ძლიერი, რომ დღეს არსებულ ოპოზიციურ ძალებს ერთმანეთთან შუღლი დაავიწყოს.

# ამერიკელები ეჭვობენ, რომ ერაყში შეიარაღება რუსეთის სპეცსამსახურებმა „გააქრეს“

ერაყში დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალების გაუჩინარებასთან დაკავშირებული კამათი ოთხშაბათს კიდევ უფრო მწვავე ფაზაში შევიდა, როდესაც პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ მისთვის წაყენებული ბრალდებები არაკომპეტენტურობის თაობაზე უარყო, ხოლო პენტაგონის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, რუსებმა შეიარაღება კოალიციური ჯარების ერაყში შეჭრამდე გაიტანეს.

დუმილი ჯორჯ ბუშმაც დაარღვია და აღნიშნა, რომ 380 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და იარაღის დაკარგვასთან დაკავშირებით მისი ოპონენტის, ჯონ კერის “ველური ბრალდებები” უსაფუძვლოა. პრეზიდენტის მიმართ “ველური ბრალდებები” ჯონ კერიმ აიოვაში გამართულ მიტინგზე გააკეთა, სადაც მრავალათასიანი აუდიტორიის წინაშე განაცხადა, რომ ბუშის ადმინისტრაციამ ერაყელ აჯანყებულებს იარაღის ხელში ჩაგდების საშუალება მისცა.

პენტაგონი იარაღის გაუჩინარების საქმეს ჯერ კიდევ იძიებს. თუმცა, თეთრი სახლის წარმომადგენელმა სკოტ მაკლელანმა ორი დღის წინ აღნიშნა, “საკმაოდ რეალურად არსებობს იმის შესაძლებლობა”, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმმა ბაღდადის სამხრეთით განლაგებული ალ-ქაქაას ბაზიდან შეიარაღება იქამდე გაიტანა, ვიდრე იქ ამერიკელი ჯარისკაცები შევიდოდნენო.

გუშინ, Washington Times-თან ინტერვიუში სენსაციური განცხადება გააკეთა აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანაშემწემ ჯონ შოუმ, რომლის მტკიცებითაც ასაფეთქებელი ნივთიერებები ერაყიდან რუსეთის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებმა გაიტანეს. “თითქმის 9 თვის მანძილზე ჩემი უწყება ფლობს ინფორმაციას, რომ სადამ ჰუსეინმა შეიარაღების შეძენის საკმაოდ რთული ფინანსური და დაფარული სქემა შეიმუშავა, რომელსაც იგი საერთაშორისო მიმწოდებლების, კერძოდ კი რუსებისა და ფრანგების მეშვეობით ახორციელებდა. ეს სისტემა საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე სხვადასხვა რუსული საჯარისო ნაწილების მიერ საბრძოლო მასალების შეგროვებას და ერაყიდან სირიის ტერიტორიის გავლით მათ გაზიდვას ითვალისწინებდა,” - განაცხადა შოუმ.

შოუმ პირდაპირ დაადანაშაულა რუსეთი ამ აქციის განხორციელებაში. მისი თქმით, საომარი კამპანიის დაწყების წინ, მინიმუმ 380 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერებები და იარაღი ერაყიდან რუსული სპეცდანიშნულების ნაწილების მიერ იქნა გატანილი.

შოუს მტკიცებით, ათობით რუსულ სატვირთო ავტომანქანაში დატვირთული იყო რუსული წარმოების ჰექსოგენი, ოქტოგენი (პლასტიტის ძირითადი კომპონენტები) და პენტაირიტრიტოლი, ასევე სარაკეტო დანადგარების კომპონენტები, მთდ-ის ტიპის ავიაგამანადგურებლებისა და ტანკების სათადარიგო ნაწილები და ქიმიური იარაღის წარმოებისათვის აუცილებელი ქიმიკატები. ამერიკული დაზვერვის მონაცემების თანახმად, რუსული სპეცდანიშნულების ნაწილები, რომლებიც ამ ოპერაციას ახორციელებდნენ, საომარი მოქმედებების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ერაყში იმყოფებოდნენ. ომის დაწყებამდე მათ გაანადგურეს ყველა კვალი, რომელთაც ბაღდადსა და მოსკოვს შორის არსებულ სამხედრო კონტაქტების გამოვლენა შეეძლოთ. “განადგურებულ იქნა პრაქტიკულად ყველაფერი, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში რუსეთის ხელისუფლების კომპრომეტირება შეეძლო,” - ამტკიცებს ჯონ შოუ.

დაბოლოს, პენტაგონი არ გამორიცხავს, რომ იმავე რუსული სატვირთო ავტომანქანებით სირიაში ან ირანში ერაყის მასობრივი განადგურების იარაღიც გადაზიდეს, რომლის აღმოჩენა ვერც გაეროს ინსპექტორებმა და ვერც კოალიციურმა ჯარებმა ვერ მოახერხეს.

ვაშინგტონში რუსეთის საელჩომ აღნიშნული მტკიცებები უარყო და “უაზრობა” უწოდა, რადგან, მათი თქმით, იმ მომენტში ერაყში რუსი სამხედრო მოსამსახურეები არ იმყოფებოდნენ.

ამავე დროს, რუსეთი, როგორც ჩანს, არ აპირებს ლოდინს, როდის მოუწევს ვაშინგტონის მხრიდან უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა. ოთხშაბათს რუსეთის წარმომადგენლებმა გაეროს უშიშროების საბჭოს ერაყში ინსპექტორების გაგზავნისკენ მოუწოდეს, რათა საბოლოოდ გაირკვეს, სინამდვილეში “რა ბედი ეწია სადამის არსენალს”. ეს განცხადება გაეროში რუსეთის წარმომადგენელმა ანდრეი დენისოვმა გააკეთა. როგორც რუსული და უცხოური საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავენ, დენისოვის განცხადება ერაყში 380 ტონა საბრძოლო მასალის გაუჩინარებასთან პირდაპირ კავშირშია.

გუშინ კი, Washington Times-ში გამოქვეყნებულ ბრალდებებზე ერაყში რუსეთის დროებითმა წარმომადგენელმა ილია მორგუნოვმა გააკეთა კომენტარი. “მე ეს განცხადებები ძალიან მაკვირვებს. ეს იმათ ნამუსზე იყოს, ვინც მათ ავრცელებს,” - განუცხადა მორგუნოვმა სააგენტო “ინტერფაქსს”. დიპლომატის თქმით, იგი თავად იყო იმ მოვლენების მოწმე, რომლებიც ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებას უსწრებდა წინ.

“მე შეიარაღების გაზიდვის თაობაზე არაფერი გამიგია. მეტიც, მისი გატანა არავის შეეძლო, რადგან ჩვენ, ფაქტობრივად, მთელი პერსონალის ევაკუირება მოვახდინეთ,” - აღნიშნა მორგუნოვმა. მისი მტკიცებით, ომის პირველ დღეებში ბაღდადში საელჩოს რამდენიმე წარმომადგენელი იმყოფებოდა, რომლებმაც მალევე დატოვეს ქვეყანა. ასევე, ერაყში რუსეთიდან და დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან მხოლოდ სამოქალაქო სპეციალისტები მუშაობდნენ. რაც შეეხება რუსულ სპეცსამსახურებს, მორგუნოვის განცხადებით, ისინი ერაყში არ ყოფილან.

Washington Times-ში გამოთქმულ მოსაზრებებს “უაზრობა” უწოდეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროშიც. თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა, პოლკოვნიკმა ვიაჩესლავ სედოვმა “ინტერფაქსს” განუცხადა, რომ “რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო ასაფეთქებელი ნივთიერებების გაუჩინარებასთან არავითარ კავშირში არ არის, რადგან რუსი სამხედრო მოსამსახურეები ერაყში ამერიკულ-ბრიტანული ოპერაციის დაწყებამდე ბევრად ადრე იმყოფებოდნენ”.

ჯონ შოუმ, რომელიც პენტაგონში შეიარაღებითა და ტექნოლოგიებით საერთაშორისო ვაჭრობის სამმართველოს უფროსად მუშაობს, თავისი სიმართლის დამამტკიცებელი საბუთები არ წარმოადგინა. პენტაგონმა კი მისი მოსაზრებებისაგან გამიჯვნა გადაწყვიტა. “ჩემთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული ინფორმაციის არსებობა უცნობია,” - განაცხადა პენტაგონის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ლარი დი რიტამ.

შეიარაღების გაუჩინარება აშშ-ს საპრეზიდენტო კამპანიაში უმთავრეს ადგილს მას შემდეგ იკავებს, რაც ორშაბათს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ ეს საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე განსახილველად წარადგინა. ერაყის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებები ამერიკელების მიერ ბაღდადის აღების შემდეგ დაწყებული ძარცვის შედეგად გაქრა. თუმცა, პოლკოვნიკ დეივ პერკინსის მტკიცებით, რომელიც ალ-ქაქააში შესულ პირველ ნაწილებს მეთაურობდა, “ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვიღაცას საბრძოლო მასალები მას შემდეგ გაეტანა, რაც ტერიტორიაზე კონტროლი ამერიკულმა ჯარებმა დაამყარეს”.

ერაყში რუსული იარაღის არსენალის არსებობის შესახებ არაბულ ენაზე შედგენილ დოკუმენტშიცაა აღნიშნული, რომელიც ამერიკის დაზვერვამ მოიპოვა. 26 გვერდიანი მოხსენება სადამ ჰუსეინის რეჟიმის სამხედრო მრეწველობის მინისტრის, აბდულა თავაბ მულა ალ-ჰუვეიშის მიერ არის დაწერილი, რომელიც ამერიკელებმა 2003 წლის 2 მაისს შეიპყრეს.

აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს კიდევ ერთი თანამშრომლის თქმით, დოკუმენტები, რომლებიც რუსეთის მხრიდან ერაყის მხარდაჭერაზე მეტყველებს, კიდევ ერთ ფაქტს ააშკარავებს – სადამის მთავრობა სპეცდანიშნულების ძალებით მომარაგებისათვის კრემლს ფულს უხდიდა. ისინი ერაყში რუსული იარაღის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ, ასევე ეწეოდნენ კონტრდაზვერვით საქმიანობას, რათა ამერიკულ და დასავლურ სპეცსამსახურებს იარაღის გადაზიდვის საიდუმლო მარშრუტის დეტალების მოპოვება ვერ შეძლებოდათ. “რუსული სპეცრაზმი დაზვერვის სახელმწიფო სამმართველოს (დპს) და სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელობით მოქმედებდა და ორგანიზაციას უწევდა ერაყიდან შეიარაღების გაზიდვის მსხვილ კომერციულ ოპერაციას,” - განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა.

ამერიკის შეერთებული შტატები ერაყში რუსეთის საქმიანობით ადრეც უკმაყოფილო იყო. ომის დროს აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს ტელეფონით ესაუბრა და თავისი შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსული კომპანიები, რომელთაგან ერთ-ერთი სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ერაყს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტებით, თანამგზავრული სისტემების დამხშობი გადამცემებითა და ღამის ხედვის მოწყობილობებით ამარაგებდნენ. რაღა თქმა უნდა, რუსეთმა აღნიშნული ბრალდებები უარყო და აშშ-ს გამოძიების ჩატარებას დაჰპირდა.

# ახალი ურთიერთობების დამყარება რუსეთთან და რუსებთან

## აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ახალი სტრატეგია

მაიკლ მაკფოლი

*ჰუვერის ინსტიტუტის "პიტერ და ჰელენის" უფროსი პროფესორ-მასწავლებელი, სტენფორდის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრი.*

***25 ოქტომბერი, 2004***



*იმედისმომცემი დასაწყისის მიუხედავად, ჯორჯ ბუშმა ვერ მოახერხა, მისი პირადი დამოკიდებულება პუტინთან საერთო ინტერესებისათვის გამოეყენებინა.*

ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა ჩიხში შევიდა. იმედისმომცემი დასაწყისის მიუხედავად, ჯორჯ ბუშმა ვერ მოახერხა, მისი პირადი დამოკიდებულება რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან საერთო ინტერესებისათვის გამოეყენებინა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ყოვლისმომცველი, შედეგიანი ურთიერთობები განევითარებინა. თუმცა, არც ერთი ამ სახელმწიფოთაგანი არ ამჟღავნებს ღიად აგრესიულ პოზიციას ერთმანეთის მიმართ, მათი ურთიერთობების დონე შეიძლებოდა ყოფილიყო და უნდა ყოფილიყო უფრო მაღალი და ფართომასშტაბური, ვიდრე ეს დღესდღეობით გახლავთ.

ბუშის რუსეთთან დამოკიდებულება ბოლომდე გაურკვეველი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ბუშმა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან ახლო ურთიერთობა დაამყარა, მან ვერ მოახერხა ეს პირადი მეგობრული დამოკიდებულება კონკრეტული მიზნებისათვის გამოეყენებინა, რაც დადებითად წაადგებოდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს. ბუშის საგარეო პოლიტიკაში ხაზგასმით გამოიკვეთა სამი ძირითადი პრიორიტეტი: ტერორიზმთან ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების ლიკვიდაცია, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პროპაგანდა. სამწუხაროდ, პუტინის წვლილი აღნიშნულ პრიორიტეტთა განხორციელებაში ძალიან მწირი აღმოჩნდა. ჩეჩნეთში ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდებმა რუსეთი და მისი მოკავშირე ქვეყნები სულაც არ გახადა უფრო მეტად დაცული; რუსეთი ნაკლებად რეაგირებდა ატომური ტექნოლოგიების შეტანაზე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ირანი, რაც იმას მიუთითებს, რომ თავად რუსეთის ატომური იარაღიც არ არის უსაფრთხო. და ბოლოს, პუტინის ანტიდემოკრატიულმა ქმედებებმა საკუთარ ქვეყანაში, იგი ასევე არაკომპეტენტურ მოკავშირედ წარმოაჩინა საზღვარგარეთის ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელებისთვის.

ზოგადად, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში ძალიან მცირე რამ არის არსებითი მნიშვნელობის: სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულება სტაბილურია, მაგრამ ინერტული. სამწუხაროდ, აღნიშნული ინდიფერენტული ურთიერთობების ეტაპი იმ ნეგატიურ ცვლილებებს მოჰყვა, რომელიც გამოიწვია რუსეთის სახელმწიფოებრივი მართვის სტილმა. თუ იმპერიალისტური და ავტორიტარული ხასიათის ინსტიტუტები შემდგომშიც გააგრძელებენ გაძლიერებას, მაშინ რუსეთს უფრო მეტად გაუჭირდება დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ინტეგრირება. ასევე, თუ რუსეთი საბოლოო ჯამში დაიბრუნებს ტოტალურ-დიქტატორულ მმართველობას, მაშინ ამერიკა-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება ხელახლა მოექცევა კონფლიქტური და ანტაგონისტური ურთიერთობების ჭრილში.

მათთვის, ვინც ამერიკის საგარეო პოლიტიკას წარმართავენ, შეუძლებელია ინტერესის გარეშე ადევნონ თვალყური აღნიშნულ კრიტიკულ მომენტში რუსეთის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განვითარებას. მომავალი ადმინისტრაციის პირობებში (სულ ერთი იქნება, კერის თუ ბუშის მეთაურობით) აუცილებელია, სასწრაფოდ ჩამოყალიბდეს რუსეთის სახელმწიფოსა და რუსულ საზოგადოებასთან ახალი ურთიერთობები. ამერიკის ხელმძღვანელობამ რუს კოლეგებთან ერთად ხელახლა უნდა ჩამოაყალიბოს შინაარსიანი სტრატეგია იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ორივე ქვეყანაში არსებული ატომური იარაღის წარმოების შესამცირებლად განახლებული მცდელობები; ასევე, მნიშვნელოვანია, ორივე ქვეყანამ პასუხისმგებლობა აიღოს ახალი ტაქტიკური ბირთვული იარაღის წარმოების შეწყვეტაზე და პირობა დადოს, რომ დააჩქარებს და ხელს შეუწყობს საფრთხის შემცირებისათვის თანამშრომლობის პროგრამების (*ნუნ ლუგარ* - ***Nunn Lugar***) მასშტაბების გაზრდას. აღნიშნული გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს ცივი ომის დროინდელი სავაჭრო შეზღუდვების მოხსნას; ახალ ძალისხმევას, რომ განვითარდეს და არ მოხდეს მონოპოლიზაცია იმ გაზისა და ნავთობის მილსადენებისა, რომლებიც ამჟამად რუსეთიდან ამარაგებენ ამერიკის მოკავშირე ქვეყნებს. ჭეშმარიტად მრავალმხრივი ძალისხმევით უნდა მოხდეს მოლდოვაში, საქართველოში და აზერბაიჯანში გაყინული კონფლიქტების დასრულება. და ბოლოს, ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ უნდა აღადგინოს რუსეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის შექმნილი პროგრამების სრულფასოვანი დაფინანსება, რომლებიც განათლების სფეროში ცვლილებებს, მცირე გრანტებისა და საზოგადოებათა შორის კონტაქტებს ეხება.

რუსეთის სახელმწიფოსთან ახალი ურთიერთობების სტრატეგიის ჩამოყალიბების პარალელურად ამერიკულმა საგარეო პოლიტიკამ უნდა შეაღწიოს რუსეთის იმ საზოგადოებრივ წრეებში, რომლებიც დღეისათვის წინააღმდეგობას უწევენ ქვეყანაში წამოსულ დიქტატორულ ტალღას. მინიმუმი, რაც შეიძლება გაკეთდეს ამერიკის მხრიდან, ის არის, რომ ამერიკის მთავრობის წარმომადგენლებმა გახსნილად უნდა ისაუბრონ იმის შესახებ, რაც სინამდვილეში ხდება რუსეთში. ამერიკას არ ძალუძს ერთ დღე-ღამეში აღმოფხვრას რუსეთში ანტიდემოკრატიული ტენდენციები; რუსეთი საკმაოდ დიდია, პუტინი კი საკმაოდ ძლიერი, მაგრამ ამერიკის მთავრობამ გარკვევით უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია რუსეთის პოლიტიკასთან მიმართებაში. თუ ჩვენ მართლა გვსურს ტერორიზმთან ბრძოლაში გამარჯვება, მასობრივი განადგურების იარაღის აღმოფხვრა და მსოფლიო მასშტაბით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გავრცელება, ამისათვის ყველაზე ადეკვატური ღონისძიება რუსეთისადმი ახალი პოლიტიკის გატარება გახლავთ.

# ახალი საგალალო შედეგები

*2004 წლის მაისში შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა დაწყებით კლასებში სასწავლო პროცესის სახელმწიფო შეფასება მათემატიკაში. ტესტირება საქართველოს 326 სკოლის მე-4 კლასის 5000 მოსწავლემ (საერთო რაოდენობის 10 პროცენტმა) გაიარა. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დაწყებით სკოლაში მოსწავლეების ნახევარი არსებითად ვერ ახერხებს მათემატიკაში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისებას.*

ნინო ბერელიძე

**"ჩატარებული კვლევის ძირითადი მიზანი დაწყებით კლასებში მიმდინარე სასწავლო პროცესის შემოწმება გახლდათ; მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა. ტესტირება, თითქმის, ყველა რეგიონში ჩავატარეთ. შემოწმებული ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეთა საერთო დონეზე ვისაუბროთ. შედეგები, მართლაც, სავალალოა - მოსწავლეთა მეხუთედი ვერ ახერხებს სამნიშნა რიცხვების ჩაწერასა და წაკითხვას, მეოთხედი – 100-ის ფარგლებში ზეპირ ანგარიშსა და მის გამოყენებას უმარტივესი ერთმოქმედებიანი ტესტური ამოცანების ამოხსნისას; ნახევარზე მეტი კი მარტივი ორმოქმედებიანი ამოცანების ამოხსნას. ეს პრობლემა მარტო მათემატიკის სიძნელით არ შეიძლება აიხსნას - დაწყებით სკოლაში ბავშვების 40 პროცენტი ვერ ახერხებს მშობლიური ენის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისებას. ამ ყველაფერში მოსწავლე აბსოლუტურად უდანაშაულოა. პრობლემის მთავარი მიზეზი მოქმედი პროგრამის გადატვირთულობა და ცალკეული საკითხების სირთულე ან მათი სწავლებისას მოსწავლეთა ასაკის გაუთვალისწინებლობაა. მიმაჩნია, რომ სკოლა ადამიანს ცოდნის ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოყენების საშუალებას უნდა აძლევდეს. სასწავლო პროგრამების შედგენისას არა მარტო სპეციალისტების აზრი უნდა გაითვალისწინოს განათლების სამინისტრომ, არამედ მსგავსი კვლევების შედეგებიც",** - განაცხადა კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელმა ია კუტალაძემ.

შეფასებისა და გამოკვლევების ცენტრი მიიჩნევს, რომ დაწყებით კლასებში სწავლება არ არის ინტეგრირებული. აქედან გამომდინარე, ამ ასაკის ბავშვებისათვის პროგრამა, არსებულ სახელმძღვანელოსა და მეთოდიკაზე დაყრდნობით, ფაქტობრივად, დაუძლეველია. კვლევის ცენტრი რამდენიმე რეკომენდაციას სთავაზობს განათლების სამინისტროს: რადგან სასწავლო პროგრამა გადატვირთულია, საჭიროა მისი განტვირთვა ცალკეული საკითხების მომდევნო კლასებში გადატანის ხარჯზე; სასწავლო პროგრამის შემუშავებისას სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს ფსიქოლოგთა რეკომენდაციები; მეტი დრო დაეთმოს ისეთი საკითხების სწავლებას, რომლებიც მოსწავლეებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს; სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები სახელმძღვანელოში ისე უნდა იყოს გადმოცემული, რომ მათი შესწავლა მოსწავლეთა უმრავლესობას შეეძლოს.

ახალი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, სადაც ყველა ეს პრობლემა გათვალისწინებული იქნება, 2006 სასწავლო წლისათვის გამოვა.

# მრავალჯერადი სამედიცინო მომსახურება წელიწადში 25 ლარად

დღეს საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის არათუ ორგანიზმის პროფილაქტიკური გამოკვლევა, დაავადების მკურნალობაც კი დიდი ფუფუნებაა. ავადმყოფთა დიდი ნაწილი ექიმთან მისვლას მაშინღა ახერხებს, როცა უკვე მეტის მოცდა აღარ შეიძლება ან დაგვიანებულია. ასეთ ფონზე თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის კლინიკა "პროფესიონალის" მიერ წამოწყებული პროექტი "ჯანმრთელი ოჯახი" მოქალაქეებისთვის სერიოზული შეღავათია. კლინიკა პაციენტებს წელიწადში 25 ლარად სთავაზობს სხვადასხვა სახის მრავალჯერად გამოკვლევას.

"პროფესიონალში", რომელიც ქავთარაძის ქ.№21ა-ში (სისხლის პრეპარატების ცენტრის შენობა) მდებარეობს, უკვე იყიდება 25 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურების საოჯახო ბარათი. ამ ბარათით ოჯახის ნებისმიერ წევრს წელიწადში რამდენჯერმე შეუძლია სარგებლობა და, თითქმის, ყველა სახის გამოკვლევის ჩატარება. ამ 25-ლარიანი ბარათის მომსახურებაში შედის: დიაგნისტიკური გამოკვლევები (ექოსკოპია, ელექტროკარდიოგრამა, ლაბორატორია, პედიატრია, კარდიოლოგია, თერაპია, ენდოკრინოლოგია, გინეკოლოგია), სამკურნალო-ამბულატორული პროცედურები, კომპლექსური პროფილაქტიკური გასინჯვები, სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურება. **"ამის გარდა, პაციენტებს სამედიცინო-საგანმანათლებლო მასალებსა და ფსიქოლოგების კონსულტაციებსაც ვთავაზობთ. ეს არის სრულად არაკომერციული სოციალური პროექტი, რომლის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება. სამედიცინო ბარათების რეალიზაციიდან შემოსული თანხის ნაწილი კი არასრულწლოვანებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასაც მოხმარდება",** – აცხადებს პროექტის დირექტორი ნინო შადური.

*24 საათი*

United Nations Development Programme
UNDP Georgia
გაეროს განვითარების პროგრამა

**აცხადებს ტენდერს**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოსთვის**

**კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შეძენაზე**

**დაინტერესებულ კომპანიებს ტექნიკური სპეციფიკაციის ნახვა შეუძლიათ გაეროს განვითარების პროგრამის ვებ გვერდზე: http://www.undp.org.ge**

**წინადადებები მოგვაწოდეთ დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე:**

**ერისთავის ქუჩა 9, თბილისი, საქართველო
გაეროს სახლი თბილისში
სატენდერო წინადაების მიღების ბოლო ვადაა
2004 წლის 5 ნოემბერის 17:00 საათი**

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს დაცვის თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობებზე.

**მოვალეობებში შედის:**

- სასურველი/არასასურველი სტუმრების შენობაში შესვლა/გასვლის კონტროლი;
- ოფისში არსებული უსაფრთხოების ტექნიკის მონიტორინგი.

**კანდიდატებს მოეთხოვებათ:**

- ქართული, ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
- სასურველია კომპიუტერის საბაზო ცოდნა;
- რეკომენდაცია წინა დამქირავებლისაგან.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რეზიუმე (CV) და რეკომენდაციის წერილი ა/წ 10 ნოემბრამდე მისამართზე: გაეროს სახლი, რ. ერისთავის ქ. N9, თბილისი 0179.

# რატომ ფერხდება სტადიონის სკამებით შევსება

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი ტარიელ ხიზანეიშვილი, რომელსაც სტადიონზე სკამების დამონტაჟება აქვს დავალებული, უმოქმედობაში დაადანაშაულა. ხიზანეიშვილი ირწმუნება, რომ პრემიერის ბრალდება უსაფუძვლოა და მის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.*



ახალი კონფლიქტი ქალაქის ხელმძღვანელობაში სკამების გამო დაიწყო.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტიდან სტადიონზე სკამების დასამონტაჟებლად 250 ლარი გამოიყო. მერიამ ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურს ამ თანხით 10 ათასი სკამის შეძენა და 25 ნოემბრამდე მათი სტადიონზე დადგმა დაავალა. 27 ოქტომბერს სტადიონზე მისულმა ქალაქის პრემიერმა სამსახურის ხელმძღვანელობა მკაცრად გააკრიტიკა, - ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებიათო. ხიზანეიშვილი არ უარყოფს, რომ დავალების შესრულება ჯერ, მართლაც, არ დაუწყიათ, მაგრამ გასამართლებელ მიზეზსაც ასახელებს: **"საკრებულოს გადაწყვეტილება, რომელიც სტადიონზე სკამების დადგმას გვავალებს, იურიდიულად მხოლოდ დღეს დამტკიცდა. იუსტიციის სამინისტროში ამ დოკუმენტის რეგისტრირებას 10 დღე მოანდომეს. სანამ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში არ შევიდოდა, შესყიდვების სააგენტო ტენდერის გამოცხადების ნებას არ მოგვცემდა (შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად, 120 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე ტენდერი უნდა გამოცხადდეს). ასე რომ, ქალაქის მთავრობის დავალების შესრულება გადაწყვეტილების იურიდიულად ამოქმედებამდე რომ დაგვეწყო, სისხლის სამართლის დანაშაულს ჩავიდენდით. ეს ყველაფერი პრემიერმა კარგად იცოდა. ამასთან, 25 ნოემბრამდე ვადა თვითონვე მოგვცა, ჯერ კი მხოლოდ 28 ოქტომბერია. გამოდის, რომ პრემიერის კრიტიკა ჩემს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად".**

ქალაქის პრემიერი კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის ეჭვის გაბათილებას ცდილობს: **"მსგავსი არაფერი ხდება. კანონები კარგად ვიცი და ასეთ შეცდომას არ დავუშვებ, რომ ვინმეს სისხლის სამართლის დანაშაულისკენ ვუბიძგო; პირიქით, ხიზანეიშვილი დამატებით 100 ათასი ლარის გამოყოფას ითხოვს და ვეცდებით, თანხა დავუმატოთ".**

კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელს ქალაქის ბიუჯეტიდან სკამების შესაძენად გამოყოფილი თანხის ოდენობა მართლაც ეცოტავება: **"ადრე სტადიონზე 20 ათასი სკამი რომ დაამონტაჟეს, თითო სკამი 120 ლარად შეიძინეს. წლევანდელი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით კი ერთი სკამი 25 ლარად უნდა ვიყიდოთ".**

# გურიის გუბერნატორის კოლექციას ოთხი ლენტი შეემატა

თამაზ ხარაიშვილი
*ჩოხატაურიდან*

ბოლო წლებში ერთობ გახშირებულმა სტიქიურმა მოვლენებმა საგრძნობი ზარალი მიაყენა გურიის მხარეს. წყალმა და მეწყერმა წელსაც არაერთი არსებითი მნიშვნელობის ობიექტი გამოიყვანა მწყობრიდან. მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ჩოხატაურის რაიონსაც. მოდიდებულმა მდინარეებმა ცალკეული სოფლების ურთიერთდამაკავშირებელი ხიდები გაიყოლა თან, რის გამოც, რამდენიმე დასახლებული პუნქტი ერთმანეთთან მისასვლელის გარეშე დარჩა. თუმცა ეს "გაღმით შენა ხარ, გამოღმით - მე", დიდხანს არ გაგრძელებულა. ახლახან დასრულდა ოთხი კაპიტალური, რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობა და ამიერიდან ჩოხატაურის ოთხი სოფლის - განახლების, შუაგანახლების, სამებისა და ზომლეთის მოსახლეობას "ჩატეხილი ხიდის" პრობლემა აღარ შეაწუხებს. გუშინ ჩოხატაურში ოთხი ხიდის გახსნისადმი მიძღვნილი ამდენივე საზეიმო ცერემონიალი შედგა და საზეიმო ლენტიც გაიჭრა. ეს მისია გურიის გუბერნატორმა ჟანი კალანდაძემ და საავტომობილო დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან დალაქიშვილმა შეასრულეს.

რომან დალაქიშვილის განცხადებით, ამ ხიდების საექსპლოატაციოდ გადაცემა "ვარდების რევოლუციის" წლისთავზე ხდება და ეს ერთგვარი ანგარიშია მოსახლეობის წინაშე დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობისა. მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო "ბიუჯეტიდან "ხიდჩატეხილობის" პრობლემის მოსაგვარებლად 700000 ლარი გამოიყო. დეპარტამენტის საქმიანობა გურიაში მხოლოდ ამით არ ამოწურულა – პარალელურად, მიმდინარეობს სენაკ-ფოთი-სარფის მაგისტრალის ჩოლოქი-წყალწმინდის ძლიერ დაზიანებული გზის მონაკვეთის აღდგენა. ეს სამუშაოები ე. წ. კუვეიტური გრანტით ხორციელდება.

გურიის გუბერნატორმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ იგი ახალი ობიექტების გახსნაზე გაჭრილი ლენტების კოლექციის შეგროვებას იწყებს და მისი სურვილია, მათი რაოდენობა ორმოცდაათამდე გაიზარდოს. მან ისიც აღნიშნა, რომ გზების მოწესრიგებასაც განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება, რადგან გურიისათვის ეს ფრიად სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორია -გურია-აჭარის კურორტებზე მისასვლელი გზების მოწესრიგება უთუოდ შეუწყობს ხელს ტურისტ-დამსვენებელთა კონტინგენტის მოზიდვის მაჩვენებლის ზრდას, რაც, თავისთავად, მხარის ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდასაც ნიშნავს.

# ათი მილიონი საზოგადოების მონაწილეობისთვის

*გუშინ, 28 ოქტომბერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ურბანულმა ინსტიტუტმა ახალი, ათ მილიონდოლარიანი პროექტის – "საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში" (სმათს) – პრეზენტაცია მოაწყო. პროექტი აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კავკასიის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. მომავალი ოთხი (2004-2008) წლის განმავლობაში "სმათს"-ის პროექტი ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენს ოცდაათზე მეტ ქალაქს, სხვადასხვა სახის დახმარებას გაუწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც ჩართულნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საკითხებში.*

ნანა ყაველაშვილი

პროექტი რამდენიმე პროგრამას მოიცავს. ბიუჯეტის შედგენის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფინანსური მენეჯმენტის ინტენსიური თრეინინგი (სამი ორ-სამ დღიანი სემინარი), მოხდება სტრატეგიული და ახალი ანგარიშთა გეგმის შედგენა და სხვა. ბუღალტერია/ფინანსური მენეჯმენტის სისტემის რეფორმის პროგრამა გულისხმობს კომპიუტერული პროგრამის დამონტაჟებას და ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შექმნას ცენტრალიზებული ბუღალტერიისათვის. მისი ათვისება არ მოითხოვს კომპიუტერთან მუშაობის წინასწარ გამოცდილებას.

ასოციაციების პროგრამის ფარგლებში ურბანული ინსტიტუტი ითანამშრომლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციებთან რაიონის, რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით. ინსტიტუტი დაეხმარება ასოციაციებს, რომ გააძლიერონ საკუთარი ქმედობაუნარიანობა და გააუმჯობესონ მუშაობა. შესაბამისი ექსპერტები მათ მიაწვდიან რეკომენდაციებს, ჩაუტარებენ სემინარებს, გადასცემენ სახელმძღვანელოებს, დაეხმარებიან ბროშურებისა და საინფორმაციო ბიულეტენების გამოშვებაში. პროექტის მიხედვით, ურბანული ინსტიტუტი ხელს შეუწყობს ძლიერი ეროვნული ასოციაციისა და პროფესიული ასოციაციების ჩამოყალიბებას.

პროექტის, "საზოგადოების აქტიური მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში", ფარგლებში ურბანული ინსტიტუტი განახორციელებს საკანონმდებლო პროგრამის შემდეგ ღონისძიებებს: დახმარებას გაუწევს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და სახელმწიფო კომისიას დეცენტრალიზაციის პროცესსა და დეცენტრალიზაციის სტარტეგიის შემუშავებაში; უზრუნველყოფს ისეთი კანონმდებლობის მიღებას, რომელსაც საფუძვლად დაედება სრულყოფილი ანალიზი და პროცესის მონაწილე მხარეებთან დეტალური კონსულტაციები. იგივე მეთოდით განხორციელდება პროექტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის, ახალგაზრდული, გენდერული, სამოქალაქო განათლებისა და მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების პროგრამები.

# მედია-ასოციაციებისთვის ახალი ოფისი გაიხსნა

*IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამის დახმარებით, ქართულმა მედიამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა საქართველოში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მედია- სექტორის ჩამოყალიბებისკენ. თბილისში "საქართველოს მედია ცენტრის" დაარსებით IREX-მა მედია-ასოციაციებს მუშაობისთვის აუცილებელი ყველა პირობა შეუქმნა. გუშინ ცენტრის ახალი ოფისის პრეზენტაცია მოეწყო*

"საქართველოს მედია-ცენტრში" თავდაპირველად საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია, საქართველოს მაუწყებელთა ეროვნული ასოციაცია და საქართველოს გაზეთების ეროვნული ასოციაცია "თავისუფალი პრესა" განთავსდნენ. მათ, სექტორის განვითარების კვალდაკვალ, მედიის ინტერესების გამომხატველი ახალი ასოციაციები შეემატება.

IREX-ის მედეა ინოვაციების პროგრამამ ცენტრი აუცილებელი ავეჯით და ტენიკით აღჭურვა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტითაც უზრუნველყო.

"საქართველოს მედეა-ცენტრი", რომელიც მასში გაერთიანებულ ასოციაციებს საუკეთესო სამუშაო გარემოს უქმნის, დაეხმარება მათ უფრო ეფექტურად ითანამშრომლონ მედია-სექტორის წინაშე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად; აქტიურად ჩაერთონ კანონშემოქმედებით საქმიანობაში; მოამზადონ და ჩაატარონ სასწავლო სემინარები, რომელიც ასოციაციის წევრ გამოცემათა და წევრი მაუწყებლობების პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს; ჩაატარონ საქმიანი შეხვედრები და პრესკონფერენციები; მოაწყონ პრეზენტაციები დ გამოფენები.

მედია- ცენტრის ტექნიკური საშუალებებით ისარგებლებენ ასოციაციების წევრი რეგიონული ჟურნალ-გაზეთებისა და მაუწყებლობების წარმომადგენლებიც, რაც მათ საგრძნობლად გაუადვილებს დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების გაშუქებას და რეგიონებისთვის მასალის ოპერატიულად მიწოდებას.

*24 საათი*

*ფოსტა*

# ტრანსპორტის მოძრაობის პრობლემების გადასაჭრელად

ა/წ 18 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წერილში, "დედაქალაქის მთავარი პრობლემები და მათი გადაწყვეტა", რომელიც შეეხებოდა ქ. თბილისში მშენებლობებსა და სამგზავრო ტრანსპორტს, პროფესიულ დონეზე, კონკრეტულადაა აღწერილი ის პრობლემები, რომლის გადაწყვეტის შემდეგ გაუმჯობესდება ქალაქში მიწისზედა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება, ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა და საგრძნობლად შემცირდება კორუფციის დონე ტრანსპორტის სფეროში.

არასამთავრობო ორგანიზაციამ "მძღოლი, გზა, სამართალი", ქ. თბილისის მთავარ პროსპექტებსა და ქუჩებში მოძრაობის სწორი ორგანიზაციისა და უსაფრთხოების მიზნით, მიიჩნია, რომ აუცილებელია შემდეგი პრობლემების განხილვა:

მგზავრთა გადაყვანის სფეროში ჩართულ სამარშრუტო მიკროავტობუსებს მიენიჭოს შესაბამისი სტატუსი "სამარშრუტო ტაქსები", რომელთა ექსპლუატაციის პირობები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით; ან აღნიშნული მიკროავტობუსები განხილულ იქნეს როგორც "საერთო სარგებლობის ტრანსპორტი", რომელთა ექსპლუატაცია განსაზღვრულია ამჟამად არსებული შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით.

ორივე შემთხვევაში, ქ. თბილისში საკითხის ასეთი გადაწყვეტა დაარეგულირებს მიკროავტობუსების მოძრაობას, რომლებიც დაექვემდებარებიან კანონის, "მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ", მოთხოვნებს;

აიკრძალოს საქალაქთაშორისო მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანა მიკროავტობუსებით და ამ სახის მომსახურება განხორციელდეს დიდი ტევადობის ავტობუსებით, რომელთა ბოლო გაჩერებები გათვალისწინებულ იქნეს, მიმართულებების მიხედვით, ქალაქის შესაბამის შემოსასვლელებში;

განიხილონ ქალაქის მთავარ პროსპექტებსა და ქუჩებში განთავსებული ფასიანი ავტოსადგომების მიზანშეწონილობა მოძრაობის უსაფრთხოების გათვალისწინებით და დაისვას ტრანსპორტის კონცენტრაციის ადგილებში მრავალსართულიანი, ფასიანი ავტოსადგომების მშენებლობის საკითხი.

**რობერტ იანტბელიძე**
არასამთავრობო ორგანიზაციის - "მძღოლი, გზა, სამართალი" პრეზიდენტი

# სანაიას საქმეს მესამე ინსტანციის სასამართლო განიხილავს

*გიორგი სანაიას მკვლელობის საქმემ უკვე უმაღლეს ინსტანციაში - უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატას გუშინ სანაიას მკვლელობის საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება-არდაბრუნების საკითხზე უნდა ემსჯელა, თუმცა, სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებლის გამოუცხადებლობის გამო, გუშინ ეს ვერ მოხერხდა და პროცესი ერთი კვირით გადაიდო.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დაზარალებული მკვლელობის საქმის დამატებ-ით, ხელახალ გამოძიებაში დაბრუნებას ითხოვს, მსჯავრდებულის ადვოკატი დავით დადიანი კი მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის მისჯილ წლებს აპროტესტებს.*

გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას სხვადასხვა ინსტანციის ორმა სასამართლომ - გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა და საოლქომ უკვე ორჯერ გამოუტანა განაჩენი. თუმცა საქმეში, რომელსაც გიორგი სანაიას მკვლელობა ჰქვია, კვლავ უამრავი დეტალი დარჩა ბუნდოვანი და უამრავი კითხვა - პასუხგაუცემელი. გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულს ორივე ინსტანციის სასამართლომ 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა. თუკი გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ეს განაჩენი მკვლელობის მოტივის დაუდგენლად გამოიტანა, საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის მიერ გამოტანილი განაჩენის მიხედვით, მკვლელობის მოტივად სექსუალური ძალადობა დასახელდა. გრიგოლ ხურცილავასთვის გამოტანილი ბოლო განაჩენი კვლავ ორივე მხარემ გაასაჩივრა.

გიორგი სანაიას მეუღლე ხათუნა ჩხაიძე უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას იგივე მოთხოვნას უყენებს, რასაც რამდენიმე თვის წინ უყენებდა საოლქო სასამართლოს. დაზარალებული მკვლელობის საქმის დამატებით, ხელახალ გამოძიებაში დაბრუნებას და მკვლელობის დამკვეთის დადგენას კატეგორიულად ითხოვს. ხათუნა ჩხაიძე კვლავ იმ უამრავ დარღვევებზე საუბრობს, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე, ორი ინსტანციის სასამართლო განხილვისას.

**"გიორგი სანაიას მკვლელობის საქმე ობიექტურად არ გამოძიებულა და პროკურატურის მიერ დასახელებული მკვლელობის მოტივი სრული აბსურდია. გიორგი სანაიას მკვლელობა შეკვეთილი იყო. ჩემთვის გრიგოლ ხურცილავას 13-წლიანი პატიმრობა არ არის მთავარი, ჩემთვის მთავარია მკვლელობის დამკვეთის დადგენა-დასჯა",** - პოზიციას არ იცვლის ხათუნა ჩხაიძე.

მსჯავრდებულის ადვოკატი დავით დადიანი კი მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის მისჯილ წლებს აპროტესტებს და დანაშაულის ჩადენისას კვლავ ხურცილავას აფექტურ მდგომარეობაზე მიუთითებს. **"მკვლელობის მოტივი უკვე გარკვეულია. თუკი მოტივი დადგენილია, გრიგოლ ხურცილავას ბრალდების საქმე უნდა გადაკვალიფიცირდეს"** , - აცხადებს ადვოკატი.

ერთი სიტყვით, დააკმაყოფილებს თუ არა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა მართლმსაჯულების მიერ უკვე ორჯერ გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილო მხარეების მოთხოვნას, წინასწარ ძნელი სათქმელია. არადა, ფაქტი ერთია - არც დაზარალებული და არც მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი პოზიციების დათმობას არ აპირებენ.

**24 საათი**

# ბურუსით მოცული მკვლელობა

თბილისში კიდევ ერთი ბურუსით მოცული მკვლელობა მოხდა. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, 18 წლის დავით ოთხმეზურს გუშინწინ, გვიან ღამით, მიცკევიჩის ქუჩაზე, საკუთარი სახლის წინ ორმა დაუდგენელმა პირმა დანით სამი ჭრილობა მიაყენა, მათგან ერთი სასიკვდილო აღმოჩნდა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის შვილიშვილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ მას რთული ოპერაცია ჩაუტარდა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის უფროსმა სერგო ძაგნიძემ განაცხადა, ოთხმეზურის ცხედარს ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა და დადასტურდა, რომ გარდაცვლილს გულმკერდის არეში სამი, მათ შორის ერთი სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები გუშინწინ ღამითვე გავიდნენ, ჯერჯერობით, ამ ფაქტთან დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. ერთ-ერთი ვერსიით, დავით ოთხმეზურზე თავდასხმა ძარცვის მიზნით მოხდა. ჩვენი ინფორმაციით, მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე ოთხმეზური მობილური ტელეფონით საკუთარ ძმას ესაუბრებოდა, როცა მას მძარცველები თავს დაესხნენ, წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ კი ყველაფერი დაჭრით დასრულდა. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ სხვა ვერსიებსაც და როგორც თავად ირწმუნებიან, მოკვლევა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე ოფიციალურად მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ დავით ოთხმეზურის მკვლელობის ფაქტზე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

*24 საათი*

# სულხან მოლაშვილის წამების ფაქტზე ნანა კაკაბაძე დაკითხეს

"ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე გენერალურ პროკურატურაში სულხან მოლაშვილის წამების ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხეს.

გენერალური პროკურატურის გამომძიებლის ზურაბ თომაძის განცხადებით, მოლაშვილის წამების შესახებ ინფორმაცია პირველად ნანა კაკაბაძემ გაავრცელა, რისთვისაც გამოძიებამ მისი დაკითხვა აუცილებლად ჩათვალა. მისივე თქმით, თავდაპირველად, მოლაშვილის შესაძლო წამების ფაქტზე გამოძიებას თბილისის პროკურატურა აწარმოებდა. მოგვიანებით, აცილების წესით, საქმე გენერალურ პროკურატურას გადაეცა, რადგან თბილისის პროკურატურა სულხან მოლაშვილის სამსახურებრივი დანაშაულის ფაქტს იკვლევს, ამიტომ, ობიექტურობის დაცვის მიზნით, დაკავებულის შესაძლო წამების საქმე გამოსაძიებლად გენერალურ პროკურატურას გადაეცა.

ნანა კაკაბაძის თქმით, ის იყო პირველი ადამიანი, ვინც საშინლად ნაწამები მოლაშვილი საკანში მოინახულა. მისივე განცხადებით, მართალია, გვიან, მაგრამ მაინც კარგია, რომ პროკურატურას მისი დაკითხვის სურვილი გაუჩნდა, თუმცა ეჭვობს, რომ ამან რაიმე რეალური შედეგი გამოიღოს.

**"2 ივნისს, როდესაც მე სულხან მოლაშვილის წამების ფაქტები გავახმაურე, იმ დღესვე ამიკრძალეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესვლა. უფრო მეტიც, არასამთავრობოებთან თბილისის ყოფილი პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის საგანგებო შეხვედრაზე მხოლოდ მე არ მიმიწვიეს, ანუ, ადამიანი, რომელმაც ეს ფაქტი გაახმაურა. მიმაჩნია, რომ დასაკითხად პროკურატურაში მიწვევა ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის დაინტერესებამ გამოიწვია. სხვა შემთხვევაში, ფაქტია, რომ ხელისუფლებას არ სურდა ამ საქმის გარკვევა,"** - აცხადებს ნანა კაკაბაძე.

ნანა კაკაბაძემ გამოძიებას კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის წამების დამადასტურებელი მასალებიც გადასცა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** უშიშროების სამინისტრომ ტრეფიკინგის ორგანიზების ბრალდებით დააკავა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა მოქალაქე თინა ბურძენიძე. როგორც ხუთშაბათს გამართულ ბრიფინგზე უშიშროების მინისტრის მოადგილემ ბათუ ქეთელიამ განაცხადა, ბურძენიძე აწარმოებდა საქართველოს მოქალაქეების, მანდილოსნების, გადაყვანას თურქეთის ტერიტორიაზე მათი პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით. ქუთელიას ინფორმაციით, მიმდინარეობს მუშაობა ამ ტრეფიკინგის ხელშემწყობი პირების გამოვლენის მიზნით. "ამჟამად სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ორი პირის უკანონოდ თურქეთში გადაყვანის გამო, თუმცა უშიშროების მონაცემებით, უფრო დიდ მასშტაბებზეა საუბარი,"- თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე დღეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს მოინახულებს. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დააკმაყოფილა "მემარჯვენე ოპოზიციის" მოთხოვნა და, რეგლამენტის შესაბამისად, დავით გამყრელიძეს სულხან მოლაშვილის მონახულების უფლება მისცა. აღნიშნული მოთხოვნა "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ სამშაბათს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დააყენა. მისი განცხადებით, სულხან მოლაშვილის მიმართ ხელისუფლება ანგარიშსწორებას ახორციელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ, გვიან ღამით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თბილისში საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მოკლეს. მუცლის არეში დაჭრილი ენვერ გუსოევი მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ერთ-ერთი ვერსიით, ენვერ გუსოევი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოკლეს, როცა ის თავის კოლეგასთან ერთად დამნაშავეთა ჯგუფს აკავებდა. მეორე ვერსიით კი, გარდაცვლილს თავად გაუვარდა იარაღი.

ენვერ გუსოევი პირველი საპატრულო პოლიციელია, რომელიც მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა. **მედია-ნიუსი**

# პოლიცია მხოლოდ ეჭვმიტანილებზე როდი ძალადობს

ზვიად რუაძე

*როგორც ირკვევა, პოლიცია მხოლოდ ეჭვმიტანილებზე როდი ძალადობს. ამბავი, რომელსაც ქვემოთ გიამბობთ, სწორედ ამის ერთ-ერთი მაგალითია.*

თელაველმა ვახტანგ პაატაშვილმა, რაიონის გამგეობაში მას შემდეგ დაიწყო მუშაობა, რაც ახალმა მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა ხელისუფლების ახალგაზრდა, პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება. იგი უკვე მესამე თვეა, რაც თელავის გამგეობის ეკონომიკურ განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად მუშაობს. პაატაშვილი რომ თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, ამის შესახებ მისი კოლეგები ხმამაღლა საუბრობენ. პოლიციასა და ვახტანგ პაატაშვილის შორის მომხდარი ინციდენტი კი, ბევრი თელაველისა და თვით გამგეობის თანამშრომლებისთვის გაურკვეველია. თავად პაატაშვილის ოჯახის წევრების თქმით, იგი პოლიციამ ერეკლეს ძეგლთან ახლოს დააკავა, უფრო სწორად, საკუთარი მანქანიდან იძულებით გადმოიყვანა და უმოწყალოდ სცემა. **"საღამო იყო, ჩემი შვილი მანქანით მიდიოდა ე.წ "ზუზუმბოს" მხარეზე. უცბად მას გვერდით ორი მანქანა ამოუდგა, რომელშიც პოლიციელები ისხდნენ. იგი სამართალდამცველებს დაემორჩილა, მათ მინიშნებაზევე გაჩერდა. იმის მაგივრად, რომ საბუთები წყნარად მოეთხოვათ, მანქანიდან გადმოათრიეს და უმოწყალოდ დაუწყეს ცემა. ვინც ვახომ მაშინვე იცნო, ეს თელავის პოლიციის თანამშრომელი, ვინმე "პუსკაა", რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა, სცემდა და გამგეობასაც უშვერი სიტყვებით აგინებდა. პარალელურად, პოლიციელები მანქანას ჩხრეკდნენ,"** - ამბობს დაზარალებული ვახტანგ პაატაშვილის დედა, დალი პაატაშვილი, რომელიც იმასაც ირწმუნება, რომ პოლიციელები ვახტანგისგან იარაღს ითხოვდნენ, რომელიც, როგორც დალი პაატაშვილი ამბობს, მის შვილს საერთოდ არ ჰქონდა. ამის შემდეგ, ვახტანგ პაატაშვილი პოლიციელებმა თელავის ნარკოლოგიურ სამსახურში წაიყვანეს. მათი დიდი მცდელობის მიუხედავად, პაატაშვილს ნარკოტიკის მოხმარება ვერ დაუმტკიცეს. ამის შემდეგ, შემოწმება ალკოჰოლზე ჩაუტარეს: **"მე არ ვამტკიცებ, რომ ჩემი შვილი ნასვამი არ იყო, მაგრამ ის, რასაც პოლიცია ამბობს, აბსურდია. იგი ისეა ნაცემი, რომ მთელი ხერხემალი დალურჯებული აქვს, წიხლები თავშიც კი ურტყეს,"** - ამბობს ვახტანგის დედა.

ამ ამბის გამო, ვახტანგ პაატაშვილი მობილურით თელავის პოლიციის უფროსთან ბაადურ გულიაშვილთან დაკონტაქტებას ცდილობდა, რადგან იგი თელავის გამგეობაში, სწორედ, გულიაშვილის რეკომენდაციით მოხვდა, მაგრამ მას ძალოვნებმა ტელეფონი წაართვეს. პოლიციისგან ნაცემ-ნაბეგვი ვახტანგი მეორე დღეს სამსახურში მაინც გამოცხადდა. თუმცა მისი მდგომარეობა ძალზე მძიმე აღმოჩნდა და თბილისში გადაყვანის შემდეგ, მას საავადმყოფოში მეტად მძიმე დიაგნოზი, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა და თავის ტვინის დაჟეჟილობა დაუდგინეს. მომხდართან დაკავშირებით დაზარალებულმა ოჯახმა განცხადებით რაიონულ პროკურატურას მიმართა, მაგრამ მათთან ამ უწყებიდან არავინ მისულა.

ამის შემდეგ საქმეში "თავისუფლების ინსტიტუტი" ჩაერთო და სხვადასხვა არასამთავრობოებთან და ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებთან ერთად დებატები გამართეს, რომელსაც თელავის პოლიციის შეფი ბადურ გულიაშვილიც ესწრებოდა. მისი მტკიცებით, პაატაშვილი "გალეშილი" იყო, პოლიციას არ დაემორჩილა, ისინი იძულებულნი გახდნენ კანონით ემოქმედათ და მის მიმართ ფიზიკური ზეწოლა მოეხდინათ: **"პოლიციელები ბალერინები ვერ ვიქნებით, დამნაშავეებს კი დაჭერის დროს ბალიშებს ვერ დავუდებთ, რათა რაიმე არ დაუზიანდეთ. რაც შეეხება მომხდარს, ამ შემთხვევაში ჩემი თანამშრომლები მართლები არიან. თუ რომელიმეს მიმართ პაატაშვილების ოჯახის წევრებს რაიმე მტკიცებულება აქვთ, რომლითაც ისინი ჩემს თანამშრომელს დაადანაშაულებენ, მოვიდნენ და მითხრან. თუ იგი მართლაც ტყუის და უკანონობა ჩაიდინა, მეორე დღესვე დავატოვებინებ სამსახურს. მაგრამ მე აქვე გეტყვით, რომ ვახტანგ პაატაშვილი პოლიციას არ დაემორჩილა, ამის გამო, მათ კანონის ფარგლებში, ფიზიკური იძულებით იმოქმედეს. ამავე დროს, იყო ოპერატიული ინფორმაცია, რომ "ზუზუმბოს" ტერიტორიაზე აღნიშნული მანქანიდან რამდენჯერმე გაისროლეს,"** - აცხადებს ბაადურ გულიაშვილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, თელავში "თავისუფლების ინსტიტუტის" რეგიონების კოორდინატორი თეა თუთბერიძე და სახალხო დამცველის მოადგილე ბაჩო ახალაია ჩავიდნენ. ისინი რაიონის პროკურორს შალვა ცერცვაძეს შეხვდნენ და მომხდართან დაკავშირებით საქმის აღძვრა მოითხოვეს.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყველაფერი პაატაშვილის უფროს ძმას უკავშირდებოდა, რომელმაც ცოტა ხნის წინ, სოფელ ვარდისუბნის მეცხოველეობის სადგომი ბაზარი იჯარით აიღო, რის გამოც იგი რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისგან, გოჩა მამაცაშვილისგან წინააღმდეგობას წააწყდა. თუმცა, ამის შესახებ დაზარალებულის ოჯახის წევრები დუმილს ამჯობინებენ. თელავში კი ხმამაღლა საუბრობენ, რომ პაატაშვილები მამაცაშვილს ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ ჰყავს, რასაც სატელეფონო საუბარში თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, გოჩა მამაცაშვილი კატეგორიულად უარყოფს და ამ ყველაფერს თითიდან გამოწოვილ ჭორს უწოდებს. **"ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემ მიმართ სკანდალურმა ინფორმაციამ არაერთხელ გაიჟღერა. ნუთუ გჯერათ, რომ ჩემი გუნდის წევრს მე ვინმეს ვაცემინებდი და საერთოდ, ჩემთვის გაუგებარია, რაზე მელაპარაკებით,"** - აცხადებს მამაცაშვილი.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

**სახელი, გვარი** ..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..........

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ათი წლისაა

**"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ოფიციალურად 1994 წლის სექტემბერში დაფუძნდა. 80-მდე ახალგაზრდა იურისტი, რომელიც მაშინ ყოფილ პიონერთა სასახლეში შეიკრიბა, რამდენიმე საერთო მიზანმა გააერთიანა. გვინდოდა, ერთმანეთის გვერდში დგომა გვეგრძნო და დინების აღმა ცურვისას ერთმანეთი გაგვემხნევებინა - მაშინ ხომ საზოგადოებრივი ცხოვრება უკანონობის, განუკითხაობის, ძალადობისა და ნიჰილიზმის მიმართულებებით მიედინებოდა. გვინდოდა, ერთმანეთს პროფესიულ დაოსტატებაში დავხმარებოდით - მაშინ ხომ იურიდიულ ფაკულტეტებზე ჯერ კიდევ პოლიციელებს ზრდიდნენ. გვინდოდა, პროფესიული დახმარების ხელი გაგვეწვდინა სხვა აქტიური საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის - მაშინ ხომ სამართლებრივი განათლების დონე საზოგადოების ყველაზე უფრო მოწინავე ჯგუფებშიც კი უკიდურესად დაბალი იყო. გვინდოდა, საფუძველი ჩაგვეყარა იურისტის პროფესიული ეთიკის სრულიად ახალი სტანდარტებისათვის - მაშინდელი სტანდარტები ხომ კორუფციას, მლიქვნელობას, უპრინციპობასა და არაპროფესიონალიზმს ემყარებოდა. ვფიქრობ, ათი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი შევძელით. გვაქვს დანაკარგებიც, მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია..."** - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პირველი თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის ეს ფრაზები, პრაქტიკულად, მთლიანად მოიცავს იმას, თუ რა საქმიანობას ეწეოდა ასოციაცია ათი წლის მანძილზე. ამ ორგანიზაციას შევარდნაძის მმართველობის ხანაში ხან "გრანტიჭამიას" ეძახდნენ, ხან "სოროსის ბარტყს", ხანაც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის სატელიტად მოიხსენიებდნენ. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თითოეულ წევრს მკვეთრად ჩამოყალიბებული პრინციპები და ხედვა ჰქონდა იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფო, რა კუთხით უნდა წასულიყო ამ ქვეყნის განვითარება და რა შეცდომებსა თუ დანაშაულებებს ჩადიოდა ხელისუფლება საზოგადოების წინაშე. ძალიან ხშირად, როცა ამ ადამიანების მოსაზრებები მაშინდელი ხელისუფლების პოზიციებს არ ემთხვეოდა, შევარდნაძის მეხოტბენი ამას იმდენად მტკივნეულად აღიქვამდნენ, რომ მზად იყვნენ, "ახალგაზრდა იურისტების" (ისევე, როგორც მისი პარტნიორი არასამთავრობოების) წინააღმდეგ ყველაზე ბინძური კამპანიაც კი აეგორებინათ.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქმიანობას სულ თუ არ შეწყვეტდა, ბევრ უსამართლობაზე თვალს დახუჭავდა და პირში წყალს ჩაიგუბებდა. თუმცა, რევოლუციიდან მალევე, როცა ახალმა ხელისუფლებამ საქართველოს კონსტიტუციაში საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი ცვლილებების შეტანა განიზრახა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ამგვარ ცვლილებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და ხელისუფლებას დიალოგისკენ მოუწოდებდა.

მნიშვნელოვანია ის, თუ რა იყო ასოციაციის წევრებისთვის ამ ორგანიზაციაში გატარებული ათი წელი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ხომ ბევრი ისეთი საქმე კეთდება, რომლის შესახებაც ფართო საზოგადოება ინფორმირებული, პრაქტიკულად, არ არის. ჩვენ შევეცდებით, წარმოგიდგინოთ ასოციაციის ძირითადი საქმიანობები, ასევე, ის ადამიანები, რომლებსაც ტელეეკრანზე, შესაძლოა, ვერასოდეს ნახულობთ, მაგრამ ისინი მართლაც დიდ საქმეს ემსახურებიან.

**თინათინ ხიდაშელი - ასოციაციის თავმჯდომარე:** "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ჩემთვის არის და ყოველთვის იყო ერთგვარი ნავსაყუდელი, სადაც შეგიძლია, თავისუფლად ისაუბრო ყველაფერზე, სადაც ბევრი ადამიანია, რომელთანაც შეგიძლია, იკამათო, სადაც ამოუწურავი ადამიანური რესურსია შემდგომი განვითარებისთვის, სადაც შეგიძლია, ყველა კითხვაზე გასცე პასუხი, სადაც შენი პიროვნული თავისუფლება და ინდივიდუალურობა გარანტირებულია, სადაც არ არსებობს ტაბუდადებული თემები, სადაც შენს აზრს პატივს სცემენ. ჩვენი წარმატების საიდუმლოც სწორედ ეს არის. ჩვენ არ მივდივართ სამსახურში მხოლოდ იმიტომ, რომ გვევალება, მხოლოდ იმიტომ, რომ პასუხს მოგვთხოვენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვას ვცემთ პატივს. ჩვენ მივდივართ იმიტომ, რომ გვიყვარს და ვემსახურებით საკუთარი პრინციპებისა და შეხედულებების განმტკიცებასა და საზოგადოებამდე მიტანას. კაცობრიობას ჯერ არაფერი მოუგონია იმაზე უფრო ღირსეული და კეთილშობილური, ვიდრე სამშობლოსა და ხალხის სამსახურია. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამას ემსახურება თითოეული ადამიანი, რომელიც საია-ს დიდ ოჯახს მიეკუთვნება და მჯერა, რომ მუდამ ამ პრინციპების ერთგულნი ვიქნებით. ყველაფერი, რაც ასოციაციის კედლებში იქმნებოდა, ხანგრძლივი დებატებისა და ათობით ადამიანის ერთობლივი საქმიანობის შედეგია. ორგანიზაციის დღევანდელი იმიჯი, ის, თუ რას ფიქრობს ხალხი ჩვენზე, როგორ იღებს საზოგადოება ჩვენს ნაბიჯსა და ქმედებას, საია-ს თითოეული წევრის დამსახურებაა".

**- რითი იზიდავს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დამწყებ იურისტებს?**

"შესაძლებლობა მეძლევა, მივიღო ის ცოდნა და გამოცდილება, რასაც ნაკლებად გვაძლევს ჩვენი სასწავლებელი"; "მიმაჩნია, რომ საქართველოში იურიდიული განათლების მხრივ ძალიან დაბალი დონეა. ფაქტობრივად, საია-ს გარდა არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, შეითვისოს პროფესიული ეთიკის ნორმები და აიმაღლოს კვალიფიკაცია"; "საია იმ იშვიათ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც შესაძლებელია, მიიღო შესაბამისი ცოდნა, რათა პროფესიონალი გახდე" - ეს არის ამონარიდები იმ სტუდენტების ჩანაწერებიდან, რომლებიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ალტერნატიულ განათლებას იღებენ.

**თამარ მეტრეველი - საია-ს იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრის დირექტორი:**

- იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში 1997 წლიდან ფუნქციონირებს.

**- რისთვის დაგჭირდათ სწავლების ალტერნატიული ინსტიტუტის ჩამოყალიბება?**

- საქართველოში იურიდიული განათლების რეფორმა, პრაქტიკულად, არ მომხდარა. ძველი სისტემა კი განადგურებულია და ვეღარ ფუნქციონირებს. ახალგაზრდები, რომელთაც სურთ, რომ პროფესიონალ იურისტებად ჩამოყალიბდნენ, თავიანთი სასწავლებლებიდან ვერ იღებენ იმ ცოდნას, რაც მათ პროფესიულ განვითარებას ესაჭიროება. ახალგაზრდა იურისტებისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ცოდნის ამაღლების ერთადერთი გზა თვითგანათლება და განათლების მიღების ალტერნატიული საშუალებების გამონახვაა. დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება ცენტრის მიერ განხორციელებულ სასემინარო საქმიანობაზე. იგი სტუდენტებისთვის ალტერნატიული განათლების მიღების კერად გადაიქცა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საღამოს 7 საათისთვის უკვე დაღლილი 100-150 სტუდენტი ფეხაჩქარებული მოისწრაფის სწავლების ცენტრში და 9-10 საათამდე მისთვის საინტერესო სემინარებში იღებს მონაწილეობას. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ცენტრში აღზრდილ კადრებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო იურიდიული სტრუქტურებიდან. მრავალწლიანმა გამოცდილებამ, ასევე, შესაძლებელი გახადა, რომ ცენტრში მრავალპროფილიანი საქმიანობა გაგვეშალა. გარდა სტუდენტებისა, ჩვენ მიერ ორგანიზებული სემინარებით სარგებლობენ მოსამართლეები, ადვოკატები, ჟურნალისტები, ნოტარიუსები, პედაგოგები, მცირე ბიზნესით დაინტერესებული პირები და ა.შ."

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტუდენტებს, რომლებიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალტერნატიული განათლების პროგრამით სარგებლობენ, შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ სპეციალიზებული ბიბლიოთეკით, რომელიც ასოციაციაში 1996 წლიდან ფუნქციონირებს.

**ირმა ალადაშვილი - საია-ს ბიბლიოთეკის დირექტორი:**

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული ბიბლიოთეკა ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალიზებულ ბიბლიოთეკად საქართველოში. ბიბლიოთეკას მოეწოდება ბეჭდვითი გამოცემები ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა: COLPI, ABA, Law Society of England and Wales, UNHCR, SOROS, SWISS FEDERAL ASSAMBLY და ა.შ. ამჟამად, საქართველოს მასშტაბით, ფუნქციონირებს 4 რეგიონალური ბიბლიოთეკა: ქუთაისში, გორში, რუსთავსა და ბათუმში. ბიბლიოთეკის საწიგნო ფონდი, რეგიონების ჩათვლით, 9 000 ერთეულს ითვლის. ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნები ქართულ, ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

**- რამდენად აქტიურად სარგებლობენ სტუდენტები თქვენი ბიბლიოთეკით?**

- მომხმარებელთა რაოდენობა დღეში საშუალოდ 65-85 ადამიანს შეადგენს. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია არა მარტო საიას წევრს, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. მომხმარებელთა შორის გვხდებიან ადვოკატები, პედაგოგები, ჟურნალისტები, ექიმები, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები. საია, ასევე, ახორციელებს სახელმწიფო სამსახურებისათვის იურიდიული ლიტერატურით დახმარების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც უზენაეს სასამართლოს, თბილისის საოლქო სასამართლოებს, თბილისისა და კახეთის რეგიონალურ პროკურატურებს, ქუთაისის საქალაქო და საოლქო სასამართლოებს, ჭიათურის რაიონულ სასამართლოს საჩუქრად გადაეცათ მათთვის საჭირო ლიტერატურა. ამ ეტაპზე გათვალისწინებულია დაახლოებით 10 სასამართლოს დახმარება".

საია-ს ბიბლიოთეკაში, გარდა სხვადასხვა გამოცემებისა, შეხვდებით თავად ასოციაციის მიერ გამოცემულ არაერთ მნიშვნელოვან წიგნსა თუ ალმანახს. ასოციაციის გამომცემლობა 1996 წლიდან ფუნქციონირებს.

**ირაკლი სესიაშვილი - საია-ს ყოფილი რედაქტორი:** "გამომცემლობის შექმნის მთავარი მიზანი იყო ის, რომ ახალგაზრდა იურისტები დაინტერესებულიყვნენ იურიდიული ლიტერატურით, ასევე, სადმე გამოექვეყნებინათ საკუთარი სტატიები, გამართულიყო პოლემიკა და საფუძველი ჩაყროდა მრავალფეროვანი ქართული იურიდიული ლიტერატურის არსებობას. თავიდან გამოვცემდით ჟურნალ "ალმანახს", რომელიც დამწყებ იურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აქ ამ ადამიანებს საკუთარი სტატიების გამოქვეყნება შეეძლოთ. ამ ხნის განმავლობაში გამოცემულია 22 ალმანახი. გარდა ამისა, როცა ჩვენ დავინახეთ, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურას საკმაოდ ფართო მკითხველი ჰყავს და მოთხოვნილება დიდია, ჩვენ დავიწყეთ სხვა გამოცემებზე მუშაობაც. დღეს, პრაქტიკულად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასოციაცია ლიდერია ქართული იურიდიული ლიტერატურის გამოცემაში. ასოციაციამ ქართულ ენაზე გამოსცა საერთაშორისო დოკუმენტები, დაწყებული საყოველთაოდ აღიარებული დეკლარაციიდან, შესაბამისი კონვენციებით დამთავრებული. გარდა ამისა, სერიულად გამოიცა ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ასევე, სერიულად გამოიცა სხვადასხვა ნაშრომები სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით. მაგ: სამეწარმეო სამართალი, საავტორო უფლებები, საგადასახადო სამართალი, საკონსტიტუციო სამართალი. ყველა ამ წიგნზე იმხელა მოთხოვნილება იყო, რომ ჩვენ მიერ უფასოდ დარიგებულ წიგნებს ზოგჯერ წიგნის გამყიდველთა დახლებზეც კი ვაწყდებოდით ხოლმე".

## ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - ერთადერთი იმედი სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისის პირველ სართულზე ყოველდღიურად წააწყდებით რიგში მდგომ ადამიანებს, რომლებიც საიას იურისტების დახმარებას საჭიროებენ. სწორედ აქ არის განლაგებული საია-ს უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი, რომელიც ყოველდღიურ მომსახურებას უწევს სოციალურად დაუცველ ფენებს. ასოციაცია, პრაქტიკულად, ამ საქმის ნოვატორია. ათი წლის განმავლობაში ორგანიზაციაში მოსულ ადამიანებს ხვდებათ პროფესიონალი კონსულტანტები, რომლებიც ცდილობენ, მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ ყველას, ვისაც მათი მომსახურება სჭირდება. საია-ში მოსულ ადამიანებს ზოგჯერ არც კი სჯერათ, რომ შესაძლებელია, არსებობდეს მაღალპროფესიული ორგანიზაცია, რომელიც ყოველგვარი საფასურის გარეშე მათი პრობლემების გადაჭრაზე იზრუნებს. ხშირად ისეც ხდება, რომ მოხუცებულ ქალბატონებს, პატივისცემის ნიშნად, ხან ერთი ფილა შოკოლადი მოაქვთ, ხან ხილი, ხანაც ძველისძველი ზანდუკიდან ასევე ძველისძველ, საბჭოთაიარლიყიან ქვედაკაბას იღებენ და "მათი მხსნელისთვის" სასიამოვნო საჩუქარს ამზადებენ... აბა, მაშინ იწყება საია-ს კონსულტანტების ბრძოლა, რომ "საჩუქარი" ისედაც გაჭირვებულ პენსიონერებს როგორმე უკან გაატანონ...

**ბესო აბაშიძე - საია-ს იურიდიული დახმარების პროგრამის ხელმძღვანელი:** "ცენტრი მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის უფასო იურიდიულ მომსახურებას ეწევა. იურიდიული დახმარების პროგრამა მომსახურებას უწევს ათეულ ათასობით ადამიანს როგორც თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში. იგი წარმოადგენს იურიდიული მომსახურების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ცენტრს საქართველოში. წარმოიდგინეთ, ყოველ 9 წუთში 1 კონსულტაცია გაიცემა. ცენტრის კონსულტანტები ეწევიან როგორც სატელეფონო, ისე პირად კონსულტაციებს. სატელეფონო კონსულტაციები მიმდინარეობს ყოველდღე კვირის გარდა 11.00-დან 17.00-მდე. დღის საშუალო მაჩვენებელი 55 კონსულტაციაა. რაც შეეხება პირად კონსულტაციებს, 2001 წლის გაზაფხულიდან მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. თუ მანამდე დღის განმავლობაში გაიცემოდა საშუალოდ 4-5 კონსულტაცია, 2003 წლის იანვრიდან პირადი კონსულტაციების საშუალო მაჩვენებელმა დღის განმავლობაში 12-15 კონსულტაცია შეადგინა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირადი კონსულტაცია საშუალოდ თხუთმეტი წუთიდან ნახევარ საათამდე გრძელდება, დღის განმავლობაში 12-15 კონსულტაცია მაქსიმალური მაჩვენებელია. გარდა ამისა, 2001 წლის ბოლოდან ასოციაცია ახორციელებს წარმომადგენლობას სასამართლოში, ადმინისტრაციულ წარმოებასა და წინასწარ გამოძიებაში. ყოველთვიურად ხორციელდება დაახლოებით 15 წარმომადგენლობა. 2003 წლიდან განსაკუთრებით გაძლიერდა მობილური იურიდიული კლინიკის მიმართულება, ანუ გასვლითი შეხვედრები საქართველოს ცალკეულ რაიონებში მოქალაქეთათვის უფასო იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით. წინასწარ შერჩეულ იქნა 4 რაიონი, სადაც ხორციელდებოდა გასვლითი კონსულტაციები. ამ პერიოდის განმავლობაში მთლიანად დაფარულ იქნა ამ ოთხი რაიონის ყველა სოფელი. ქმედითი სამართლებრივი დახმარება იქნა გაწეული მოქალაქეებისათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების აღებისა და საპენსიო საკითხების გადაწყვეტის საქმეში."

**ქეთევან ხუციშვილი - სამართლებრივი სახელმწიფოს ხელშეწყობის პროექტის დირექტორი:** "ეს პროექტი მოიცავს თითქმის მთელ საქართველოს. ეს არის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა თბილისში, თელავში, გორში, დუშეთში, რუსთავსა და ოზურგეთში. პროექტი ითვალისწინებს როგორც მოსახლეობასთან უშუალო მუშაობას მათი სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლების მიზნით, ისე მუშაობას ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, რომლებიც უშუალოდ პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესრულებაზე ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროსა თუ რეგიონში. გარდა ამისა, ჩვენ ვეწევით სტრატეგიულ სამართალწარმოებას. ეს გულისხმობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შესაბამისი საქმეების წარდგენას. სამართლებრივი დახმარება, გარდა სტრატეგიულისა, ვრცელდება სისხლის სამართლის საქმეებზეც. ძირითადად, ეს არის სახელმწიფოს უკანონო ქმედებები სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში, იქნება ეს პოლიციის, პროკურატურისა თუ სასამართლოს მხრიდან არაკანონიერი ქმედებები. უპირველესი და განმსაზღვრელი ფაქტორი, ისევ და ისევ, არის ის, რომ ადამიანს, რომელსაც ვიცავთ, უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ფენიდან, რომელსაც თვითონ ადვოკატის დაქირავება არ შეუძლია. ეს არის ძირითადი კრიტერიუმი, მაგრამ არა აბსოლუტური. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს მხრიდან ადგილი აქვს ადამიანის მიმართ განსაკუთრებულ გულგრილობას და შესაბამისი პროცედურული ნორმების დარღვევას, ამასთან, ვთვლით, რომ ჩვენი ჩართვა საქმეში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქმეს მნიშვნელოვნად გამოასწორებს, ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა დასაცავ მხარეს ადვოკატის დაქირავების საშუალება, ჩვენ საქმეში ვერთვებით."

**ბესო ბოხაშვილი - საია-ს ხელმძღვანელი ადამიანის უფლებების საკითხებში:** "ასოციაციაში მოვედი 2004 წლის მარტის დასაწყისში. ვიცოდი, რომ გამოცხადებული იყო ვაკანსია, რომლის დაკავების შემთხვევაშიც დამეკისრებოდა ისეთი პასუხისმგებლობები, როგორიც სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაა. ეს გულისხმობს ამ ადამიანთა სარჩელების მიღებასა და შემდგომში მათ წარდგენას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. ბოლო ხანს ადამიანთა რიცხვი, რომელიც ჩვენ მოგვმართავს, სულ უფრო იზრდება. ეს ალბათ, გამოიწვია, ერთი მხრივ, იმან, რომ ადამიანებისთვის ცნობილი გახდა, რომ შესაძლებელია საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართო სტრასბურგის სასამართლოს და მეორე მხრივ, იმან, რომ ხალხმა იცის, რომ არსებობს ორგანიზაცია, სადაც კვალიფიციურად დაწერენ მის სარჩელს და ამ მომსახურებისთვის არ უწევს არანაირი საფასურის გადახდა.

**- საქმის შერჩევა რა კრიტერიუმებით ხდება?**

- პირველ რიგში, ეს კრიტერიუმები სარჩელის არსიდან გამომდინარეობს. ჩვენ არანაირი შეზღუდვა ქონებრივ თუ არაქონებრივ, ცნობილ თუ არაცნობილ ადამიანებზე არ გვაქვს. თუ ადამიანი ჩვენს წინაშე წამოაყენებს ისეთ საკითხს, რომელიც აკმაყოფილებს სტრასბურგისა თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის კრიტერიუმებს, მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანი ცნობილია თუ არა, განაცხადი შეგვაქვს. ბოლო ხანს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საქმე სტრასბურგის სასამართლოში ნანა ლეჟავას საქმეა. თუმცა, ცნობილ საქმეებზე მეტი იმ ადამიანების საქმეებია, რომელთაც საზოგადოება საერთოდ არ იცნობს".

## ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეგიონული ოფისები

დღეისათვის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობა მხოლოდ თბილისით არ შემოიფარგლება. ამჟამად საია-ს ოფისები ფუნქციონირებს ბათუმში, გორში, დუშეთში, თელავში, რუსთავსა და ოზურგეთში. აქაც, თბილისის ოფისის მსგავსად, პრიორიტეტი სოციალურად დაუცველი ფენებისთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაა.

**მარინე მესხი - რეგიონული განვითარების პროექტის დირექტორი:** "ასოციაციის სტრატეგიული მიზანი - რეგიონული სექტორის გააქტიურება განისაზღვრება იმით, რომ რეგიონების მოსახლეობა მოკლებულია სამართლებრივ ინფორმაციას და მნიშვნელოვნად ჩამორჩება საკანონმდებლო სიახლეებს. ნაკლებია რეგიონებში დასახლებულ პირთა სამოქალაქო აქტივობა, მათთვის ნაკლებად არის ცნობილი უფლებათა დაცვის მექანიზმები. ხოლო რეგიონში მოქმედი მექანიზმები ბიუროკრატიზმის, პოლიტიკური ზეწოლისა და ინტერესების გავლენით ნაკლებად ეფექტურია. ადგილობრივი მმართველობის ზედმეტი ცენტრალიზაციის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მოხალისე იურისტთა ჯგუფების საქმიანობის ხელშეწყობა. ასოციაციის მიზნებიდან და რეგიონული პრობლემებიდან გამომდინარე, რეგიონებში შექმნილია ახალგაზრდა იურისტთა ჯგუფები, რომელთა ნაწილი წლების განმავლობაში ახორციელებდა, ხოლო ნაწილს კი - სურთ საია-ს პრინციპების განხორციელება და დანერგვა რეგიონებში. ვთვლი, რომ საია-ს ფილიალებსა და ოფისებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა რეგიონული საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის, მათი ადგილმდებარეობისა და ქვეყნის დანარჩენი ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გამო. ასოციაციის ყველა ოფისი ეწევა უფასო იურიდიულ დახმარებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას. ქმნის იურიდიულ ბიბლიოთეკას, ეწევა საგამომცემლო საქმიანობას. მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, ახდენს არჩევნებში მონაწილეობის პროპაგანდასა და ატარებს შემდგომ მონიტორინგს".


თინათინ ხიდაშელი.


თამარ მეტრეველი.


თამარ კორძაია.


ქეთევან ხუციშვილი.


ანა დოლიძე.


დავით უსუფაშვილი.


ზურაბ ბურდული.


ბესო ბოხაშვილი.

**დღეისათვის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ათასამდე წევრი ჰყავს. მათი რიცხვი თანდათან იზრდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ასოციაციის ათწლიან მოღვაწეობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. სხვათა შორის, წლების წინ, როცა ასოციაცია საქმიანობას იწყებდა, უფასო იურიდიული დახმარების ცენტრში კონსულტანტებად მუშაობდნენ: ზვიად კორძაძე, კობა დავითაშვილი, ნონა წოწორია, ირაკლი ოქრუაშვილი, გია გეწაძე და სხვები. ეს ადამიანები დღემდე ასოციაციის წევრები არიან. მათ საკუთარი საქმიანობა სწორედ აქედან დაიწყეს. როგორც ჩანს, ახალგაზრდა იურისტებისთვის ყველაფერი, მართლაც, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან იწყება...**

"ზამთარია... სიცივეა..."

ცნობილი სიმღერის უცნობი ვერსია პაატა ბურჭულაძის შესრულებით



B2

შავი ზღვის ბატონები



B5

კიდევ ერთხელ ილიას მკვლელობაზედ



B6

ნომრის სტუმარი

# დღეს ჩვენი კულტურა სიამოვნებისადმია განწყობილი

## კრიტიკული ილია იყო და ისიც მოკლეს

მაია ჭალაგანიძე

*დარტმუნდის (აშშ) კოლეჯის პროფესორი, ცნობილი თეატრალური მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი ახლა თბილისშია და ყოველთვის ასეა, თუ მსოფლიოს რომელიმე თეატრში დიდ პროექტზე არ მუშაობს. "შეიძლება, ჩემი ხელობა უმთავრესი არ არის..." - ასე ამბობს ბატონი გოგი, მაგრამ თეატრის მხატვრობა უნიკალური პროფესია იმით არის, რომ შეიძლება იყო სამშობლოდან შორს, მაგრამ მაინც ქმნიდე საკუთარი ქვეყნისთვის.*
*...მაშინ სამხატვრო აკადემიაში სხვა რექტორი იყო. გოგი ალექსი-მესხიშვილი მივიდა მასთან და უთხრა - არც ფული მინდა თქვენი, არც წოდება, სახელოსნოსაც მე დავაფინანსებ, ოღონდ მომეცით კურსი, 3-წლიან პროგრამას შევქმნი, რომ ვასწავლო ის, რაც მინდაო. აკადემია დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია ამ შეთავაზებას. პროგრამა არა 3-წლიანი, არამედ 6-წლიანი უნდა ყოფილიყო. 6 წელი კი დიზაინისთვის სიბერეს ნიშნავს... მაშინ ისიც კი უთხრეს - ცნობა ჩამოიტანე, რომ ნამდვილად ამერიკაში ასწავლიო...*



ბესო გულაშვილის ფოტო

**- განსხვავებული დეტალები აინტერესებთ თქვენს ამერიკელ და ქართველ სტუდენტებს?**

- დიდი ხანია, აქ არ მისწავლებია და აქაურ ვითარებაში დეტალურად ჩახედული არ ვარ. დარტმუნდის კოლეჯში კი სწავლასა და განათლებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ კოლეჯში მოხვედრა რეიტინგებით ერთ-ერთი ყველაზე რთულია, ასიდან ერთს იღებენ; ამიტომაც, როცა იქ სტუდენტი ხვდება, სწავლობს. ლექტორი ასწავლის ისე, როგორც თავად თვლის საჭიროდ. ახლა ზამთარში მეწყება ლექციები და აქედან გავუგზავნე პროგრამა, რითიც უნდა ვასწავლო. სტუდენტები სახელოსნოებში მუშაობენ, არაფერს თაკილობენ და ძალზე ორგანიზებულები არიან. ლექციების გაცდენა სირცხვილად ითვლება, რადგან სტუდენტმა იცის, რომ მისი მომავალი მხოლოდ და მხოლოდ ცოდნაზეა დამოკიდებული. წლის ბოლოს სტუდენტები ლექტორის დახასიათებას წერენ. ამიტომ სწავლების მაღალი ხარისხით ლექტორებიც დაინტერესებულნი არიან და სტუდენტებიც.

**- ხელოვნებას ეროვნება არ გააჩნია, მაგრამ, ალბათ, სხვადასხვა ქვეყნების კოლეჯებში სხვადასხვაგვარი ესთეტიკური აღქმაა...**

- ასე გამოკვეთილი კუთხური მიდგომები არ არსებობს. ჩვენ სხვაგვარად ვმუშაობთ - როდესაც სამუშაოდ პიესებს ან ოპერებს ვარჩევთ, სტუდენტი, პირველ რიგში, საფუძვლიანად იკვლევს ამ ნაწარმოებებს - ოპერის ისტორიას, ავტორის ისტორიას, შემოქმედებას, ეპოქას... ამ დროს ისეთ ზოგად განათლებას იღებს, რომ თეატრის მხატვარი რომც არ გამოვიდეს, განათლება მუდმივად გამოადგება, ინტელექტუალურად საინტერესო ხდება.

კოლეჯში ორი სცენა გვაქვს - დიდი და პატარა. სცენის მუშიდან დაწყებული, სტუდენტები არანაირ შავ სამუშაოს არ თაკილობენ, არავინ გაჩვენებს, რომ მდიდრის შვილია ან რაიმეთი არის განსხვავებული სხვებისგან, ლექციებზე გაპრანჭული მოსვლა იქ სირცხვილია, საკუთარი ხელით უვლიან შენობას...

სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, სხვადასხვა გემოვნების სტუდენტს ვასწავლი. ვცდილობ, გამორჩეულს დავეხმარო. კოლეჯში ცხადდება სტუდენტური პრემიებიც. გარდა ამისა, ლექტორებს ურიგებენ ე.წ. ცისფერ ქაღალდს, რომელსაც საუკეთესო სტუდენტებს აძლევენ. 8 წელია, იქ ვასწავლი და მხოლოდ 3-4 სტუდენტისთვის მიმიცია. ეს "ცისფერი ქაღალდი" მიდის სტუდენტის პირად საქმეში, იმ ქალაქში, საიდანაც არის.

**- მრავალი ქვეყნის სცენაზე, განსხვავებული კალიბრის რეჟისორებთან გიმუშავიათ. მაყურებლის აპლოდისმენტებში რამდენია მხატვრის წილი?**

- ვერ გამოვყოფ, ეს გუნდური მუშაობის შედეგია.

**- მსახიობები ამბობენ, რომ რეჟისორი დიქტატორია. თქვენთვისაც?**

- ზოგიერთმა დიდმა რეჟისორმა ზუსტად იცის, რა სურს და რას ითხოვს. თუკი შედეგი კარგია, ამგვარ მომთხოვნელობას დიქტატურას ვერ დავარქმევ. არიან მუშაობის სხვაგვარი სტილის რეჟისორებიც. მაინც საბოლოო პროდუქტია მთავარი, თორემ მუშაობის პროცესი ყველა რეჟისორს ერთი ვერ ექნება. პატარა დასში იმპროვიზაცია დასაშვებია, ოპერას სულ სხვა სპეციფიკა აქვს, იმპროვიზაცია აბსოლუტურად გამორიცხულია.

მსოფლიოს უდიდეს თეატრში, "მეტროპოლიტენ ოპერაში" ყველაფერი ისეა აწყობილი, რომ გამორიცხულია რაიმეს დამატება. შიგნით პატარ-პატარა ცვლილებები შეიძლება, მაგრამ მთლიანობაში ეს აწყობილი უნდა იყოს. რეპეტიციები 2 წლით ადრე იგეგმება, უდიდესი ფული იხარჯება. ისეც ხდება, რომ 2 წლით ადრე მოწვეული რეჟისორი, ან მხატვარი, ან მომღერალი მუშაობას იწყებს, მაგრამ მეორე დღეს უშვებენ... ძალიან სიმკაცრეა. არა მარტო მომღერლისა და რეჟისორის პროფესიონალიზმს ექცევა დიდი ყურადღება; მკერავი, ჩამცმელი, დეკორატორი, დურგალი - ყველა უმაღლესი კვალიფიკაციის ხალხია.

**- ამ ჩარჩოების გამო შემოქმედებითი თავისუფლება არ იზღუდება?**

- პირიქით, როცა იცი, რას აკეთებ და იცი, რომ გარს პროფესიონალები გახვევიან, არ იზღუდები. ხომ არ შეიძლება, მომღერალი ელოდოს, როდის და რას მოიფიქრებს მხატვარი? ეს ხომ პატარა თეატრი არ არის? მილიონიან ბიუჯეტთან გვაქვს საქმე, სადაც ყოველი ცენტი მკაცრად არის გაწერილი და ამას მომზადებული უნდა შეხვდე.

**- არის რაღაც, რაც სხვაში არ მოსწონთ პროფესიონალებს. თქვენ რა გაბრაზებთ სცენაზე?**

- თუ ნიჭიერი ადამიანი მუშაობს, ყოველთვის ნახავ რაიმე საინტერესოს. მუშაობ პროფესიონალებთან და უფლება არ გაქვს, მერყევი იყო. შეიძლება, დისკუსია გაიმართოს, მაგრამ ძალიან ზუსტად უნდა იცოდე, რას აკეთებ. პროფესიონალიზმის დონე ძალზე მაღალია და კონკურენცია დიდია.

**- ბოლო დროის თქვენი ყველაზე თამამი ექსპერიმენტი?**

- რეჟისორს გააჩნია. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორთან, ცნობილ რეჟისორთან სერბასთან ვმუშაობდი. ის წმინდად იმპროვიზაციის რეჟისორია და მასთან მუშაობა რთულია. არიან ისეთებიც, რომლებმაც ზუსტად იციან, რას აკეთებენ. ყურადღებას უფრო იმას ვაქცევ, საბოლოო ჯამში, რას წარმოადგენს სპექტაკლი და არა აქვს მნიშვნელობა, დიდ თეატრში იდგმება ის თუ პატარაში.

**- თქვენთვის რომელი უფრო საინტერესოა?**

- ეს დამოკიდებულია რეჟისორზე, მსახიობზე, მომღერალზე. არ ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში რაიმე პირადულით უნდა ვაფასებდე. თუ ერთ აზრზე ხართ და რეჟისორიც საინტერესო პიროვნებაა, შეთანხმდებით.

**- ამერიკული და ევროპული თეატრები სტრუქტურითა და ესთეტიკით განსხვავდებიან?**

- პროფესიონალიზმი ევროპაშიც ძალიან მაღალია. ფული იქაც იხარჯება. დეკორაციების და კოსტიუმების დამზადებაზე ტენდერი ცხადდება. შარშან საფრანგეთში თემურ ჩხეიძესთან ვიმუშავე, "მეფის ასული" დავდგით. დიდი საკარნავალო სცენისთვის ნიღბები გვჭირდებოდა. სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ ადამიანი, რომელიც ტყავის არაჩვეულებრივ ნიღბებს აკეთებდა. მისი ნახელავი ტექნიკურ დირექტორს ვაჩვენე, შეუკვეთეს და არჩვეულებრივი ნიღბები გააკეთა. მართალია, დიდ თეატრებში სპექტაკლებისთვის დიდი ბიუჯეტია, მაგრამ მაინც ეძებენ, ვინ შეკერავს უფრო ხარისხიანად და უფრო იაფად. პროფესიონალიზმი ყველაფრის შემადგენელი ნაწილია.

**- ალბათ, უფრო განმსაზღვრელი... იმ დიდი თეატრებიდან ჩვენი თეატრები როგორ მოჩანს?**

- ჯერ ერთი, რომ ყველა თეატრში რემონტია და ეს ძალიან კარგია. ქართველი ბიზნესმენების დიდი სირცხვილია, რომ თითქმის ყველა თეატრს - რუსთაველს, მარჯანიშვილს, მოზარდ მაყურებელს, სამხატვრო აკადემიას და ვინ იცის, კიდევ რას - მხოლოდ ივანიშვილი არემონტებს და ისიც სახელის აფიშირებას ერიდება..

ძალიან ცუდია, რომ თეატრებს კულტურული ურთიერთობების, ფესტივალებში მონაწილეობის საშუალება არა აქვთ. ფესტივალი შედარებისა და განვითარების საშუალებას იძლევა. ურთიერთობების დეფიციტის გამო თვითშეფასების უნარიც იზღუდება. როდესაც სხვას ნახავ, ხვდები, რომ შენც რაღაცას იძენ და იმასაც ხვდები, რომ მეტის გაკეთება შეგიძლია. კარგია, რომ თეატრებს აკეთებენ, მაგრამ დასები არ მუშაობენ, რეპერტუარს არ ამზადებენ, ფორმას კარგავენ.

**- სახელმწიფოსა და საზოგადოების კულტურით დაინტერესებაზე რას იტყვით?**

- ვფიქრობ, რომ საზოგადოება ოდნავ დაბალი დონისა გახდა...

**- მიაწერთ თუ არა ამ კრიზისს იმას, რომ პოპულარული გახდა ანდერგრაუნდი, პატარა სცენები, შეზღუდული სივრცეები?**

- ასეთ სცენებზე მიმუშავია და ჩემთვის ეს ძალზე საინტერესოა. ოღონდ, ჩემთვის საინტერესონი არიან ადამიანები - შენობის სიდიდეს მნიშვნელობა არა აქვს, შენობა არ ქმნის თეატრს, პიროვნება ქმნის, ადამიანები, ვისაც საინტერესო იდეები აქვს.

თავისუფალი ექსპერიმენტული თეატრი, ისეთი, როგორიც მთელ მსოფლიოშია, ჩვენთან, პრაქტიკულად, არ არსებობს. დარტმუნდის კოლეჯში სტუდენტურ სპექტაკლებში ერთად მუშაობენ გამოცდილი პედაგოგები და სტუდენტები. აქ ასე არ ხდება და შეიძლება, უახლოეს მომავალში პროფესიონალიზმი ნელ-ნელა დაეცეს.

**- ფიქრობთ, რომ ამ გარემონტებულ თეატრებში ნაკლები ხალხი მივა?**

- არ ვიცი. უკანასკნელ წლებში დიდი თეატრალური მოვლენა ვერ დავინახე. იხსნება თეატრები, სარდაფის ადრეული სპექტაკლებიც ვნახე. დასში სხვადასხვა თეატრების მსახიობებს იწვევენ, ნიჭიერი ადამიანები მოღვაწეობენ, ახალგაზრდები რაღაც თავისის გაკეთებას ცდილობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდ მსახიობებსა და მსოფლიო დონის რეჟისორებს (რისი ტრადიციაც ჩვენთან მუდამ არსებობდა) ვერ ვხედავ. არიან კი ასეთები ჩვენს ოპერასა და თეატრებში? ვერ ვხედავ საინტერესო დრამატურგიას, საინტერესო რეჟისურას, თუნდაც ისეთს, რომელიც კამათსაც გამოიწვევდა. ყველაფერი შოუბიზნესის დონეზეა.

კრიზისს კი არა მხოლოდ თეატრი, არამედ საერთოდ კულტურა განიცდის. მართალია, ურთულესი წლები იყო, მაგრამ ვერ დავინახე ახალგაზრდების მცდელობა, შეეფასებინათ და ღრმად ჩაეხედათ მიმდინარე მოვლენებში.

**- დღეს არტისტული საზოგადოება სახალხოობას და პოპულარობას ესწრაფვის. ამ მხრივ თქვენ პასიურობთ. რამდენად საჭიროა ხელოვანისა და საზოგადოების პირისპირ ურთიერთობა?**

- მიმაჩნია, რომ საჭირო არ არის. არც თეატრი და არც ლიტერატურა ჭკუის მასწავლებელი არ უნდა იყოს. ფიროსმანი ელაპარაკებოდა ვინმეს და ჭკუას ასწავლიდა? ის ხატავდა და ერმა ისწავლა ამ მხატვრისგან, მისი გმირები არქეტიპები გახდნენ. შეიძლება, ხელოვნება ერს მორალურად ეხმარება, მაგრამ ჭკუის სწავლება ხელოვნების საქმე არ არის.

**- როდესაც ქვეყანაში გამუდმებული პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისია, ავტორიტეტული სიტყვა საჭირო არ არის?**

- რა თქმა უნდა, ილიასავით პიროვნებები ჩვენს პატარა ერს ჭირდება. ახლა ბევრი "მოძღვარი" გვყავს, მაგრამ მაინცადამაინც არავისი მჯერა. რაც ჩემს ქვეყანაში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მოხდა, თითოეული ჩვენგანის ბრალიც არის, მაგრამ მოცარტი ან ბეთჰოვენი ერის მოძღვარი იყო? ისინი იყვნენ გენიალური პიროვნებები, რომელთაც სულიერი საგანძურები შექმნეს. პოლიტიკური პუბლიცისტიკა, ჟურნალისტიკა სხვა არის და ნამდვილი მწერლობა - სხვა.

**- საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთაგან ბევრს უნდა, რომ გამოადგეს თავის ქვეყანას. გრძნობს თუ არა ეს ხალხი, რომ ქვეყანას ნამდვილად სჭირდება?**

- იმის მიუხედავად, რომ საქართველოში არ ვმუშაობ, აქ ბევრი სპექტაკლი გავაკეთე. ამის საშუალებას ჩემი პროფესია იძლევა. რაც შეეხება აკადემიაში სწავლებას...

**- ან - თეატრალურში...**

- თეატრალურიდან ასეთი სურვილი ჯერ არ გამოუთქვამთ. გია ბულაძემ კი შემომითვალა, შევხვდეთ, დავილაპარაკოთო... აქ 6-წლიანი პროგრამით მუშაობენ, ეს კი ჩემი პროფესიისთვის გამოუსადეგარია. 3 წელიწადი საკმარისია იმისთვის, რომ მოამზადო ადამიანი, რომელიც პრაქტიკულ მუშაობას შეძლებს. ჩემს დარგში პრაქტიკული მუშაობის გარეშე არაფერი გამოვა.

ჩემს ხელობაში შთაგონებისა და ფანტაზიის გარდა ბევრი შავი სამუშაოა. გაუნათლებელი თეატრალური მხატვარი არ შეიძლება არსებობდეს. მუშაობა გვიწევს დირიჟორებთან, მუსიკოსებთან, დეკორაციის მხატვართან - პროფესიული საუბრისთვის სათანადო დონე უნდა გქონდეს. რუსეთში და საზღვარგარეთ მაღალი სასაუბრო დონეა. აქაც - სტურუასთან, ჩხეიძესთან, მიშა თუმანიშვილთან იყო...

**შენობა არ ქმნის თეატრს, პიროვნება ქმნის, ადამიანები, ვისაც საინტერესო იდეები აქვს.**

**ვერ ვხედავ საინტერესო დრამატურგიას, საინტერესო რეჟისურას, თუნდაც ისეთს, რომელიც კამათსაც გამოიწვევდა. ყველაფერი შოუბიზნესის დონეზეა. კრიზისს არამხოლოდ თეატრი, არამედ საერთოდ კულტურა განიცდის.**

**ფიროსმანი ელაპარაკებოდა ვინმეს და ჭკუას ასწავლიდა? ის ხატავდა და ერმა ისწავლა ამ მხატვრისგან, მისი გმირები არქეტიპები გახდნენ. ჭკუის სწავლება ხელოვნების საქმე არ არის.**

ზოგი სტუდენტი ოჯახიდან მოდის განათლებული, ზოგი - რაიონიდან არის და ამის საშუალებას მოკლებულია, მაგრამ დიდი ნიჭი აქვს. ასეთს დახმარება უნდა, სხვაგვარად უნდა მიუდგე...

**- დღეს მსოფლიო ამერიკელი და ევროპელი სტუდენტებისთვის უფრო გახსნილია...**

- სწორედ ამიტომ უნდა მოვინდომოთ ისეთი ცოდნის მიღება, რომელიც იქ გამოდგება. დარტმუნდის კოლეჯში ორი შესანიშნავი ადამიანი, მეცნიერი ცოლ-ქმარი გავიცანი. ლტოლვილები არიან სოხუმიდან, ომის შემდეგ კოდორის ხეობით გადმოვიდნენ. მათ თავისი ნიჭითა და შესაძლებლობებით მიაღწიეს ყველაფერს და დღეს მთელ მსოფლიოში დადიან - გრანტები აქვთ, კონფერენციებში იღებენ მონაწილეობას.

**- ყოველ ჩამოსვლაზე რა ცვლილებებს ატყობთ ადამიანებს?**

- ყოველთვის ჩამოვდივარ, თუ დიდი პროექტი არ მაქვს. ჰო, ყველაფერი იცვლება. არც პესიმისტი ვარ და არც გამოუსწორებელი ოპტიმისტი, მაგრამ ვხედავ, რომ საქმე უკეთესობისკენ მიდის. რევოლუციის შემდეგ ბევრი წინააღმდეგობაა. იმედია, რომ ჩვენი ქვეყანა რალაცნაირად გამოვა მდგომარეობიდან. ჩვენს ერს გახლეჩა ისტორიულად ახასიათებს. ვისაც გულით უნდა, რომ გვეშველოს, მხარში უნდა ამოუდგეს ქვეყანას - არა ტაშის კვრით, არამედ კრიტიკით.

ყველამ რაღაც უნდა გაიღოს. ლუჟკოვი საერთოდ არ მესიმპათიურება, მაგრამ მოსკოვში ვინც კი ბიზნესის დაწყება დააპირა, ყველას დაავალა, ან ქუჩისთვის მიეხედა, ან თეატრისთვის, ან ეკლესიისთვის.

თბილისში ყველაზე საშინელი და თვალშისაცემი - სიბინძურეა. კუს ტბაზე ბავშვობიდან დავდივარ, სუფთა იყო, მოვლილი. დღეს საშინელება ხდება. ამ საინტერესო ისტორიის ქალაქს მოვლა უნდა. ულამაზესი ქალაქია, რამდენი ცნობილი ადამიანი გავიდა აქედან?! ასეთი ლამაზი ქვეყანა და ასე მოუვლელი?

**- იცით, რა უნდა ასწავლოთ სტუდენტებს უახლოესი სამი წლის განმავლობაში. ქვეყნის განვითარების სამწლიანი პროგრამა რომ დაწეროთ, როგორი იქნება?**

- რა გითხრათ? ამ დარგის სპეციალისტი არ ვარ და საერთოდ ვფიქრობ, არ ვარგა, როდესაც ყველამ ყველაფერი იცის.

ვაშინგტონში ტელევიზიით საქართველოსადმი მიძღვნილი გადაცემა აჩვენეს. მონაწილეობას იღებდნენ ელჩები, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ვისაც საქართველოში უმუშავია და ჩვენს ქვეყანას პურმარილებით არ იცნობს. მათ თქვეს, რომ რეგიონები უნდა წამოიწიოს და ხალხს ნორმალური შემოსავლის წყარო უნდა გაუჩნდეს (არა ისეთი, სიგარეტს და სნიკერსს რომ ყიდიან. ქუჩაში).

მეორე საკითხი განათლებაა. გაუნათლებელი ერი დაღუპულია. როცა ადამიანი უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად ფულს იხდის, ის უკვე გარყვნილია და არაფერი ეშველება. ამიტომ, განათლების ისეთი სისტემა უნდა შეიქმნას, რომ ფული არ ჭრიდეს. და რაც მთავარია - ჩემი აზრით, მთავრობამ და ხელისუფლებამ წესიერების მაგალითი უნდა აჩვენოს.

**- თქვენ რუსეთშიც მოღვაწეობთ. ამ ქვეყანასთან, ტრადიციულად, კარგი კულტურული ურთიერთობები გვქონდა. დღეს რა ვითარებაა?**

- ამას წინ ჟირინოვსკი ჰყავდა მოწვეული ერთ ტელევიზიას. ასეთი ხალხი არ უნდა მოიწვიო და თუ მაინც მოიწვევენ, ტელევიზორი უნდა გამორთო. ვინ არის ჟირინოვსკი? ის მთელ მსოფლიოში კლოუნად არის ცნობილი.

**- როგორც ამბობენ, კრემლს ახმოვანებს...**

- თუ ეს ასეა, კრემლის მდგომარეობა ნათელია და ეს მათი პრობლემაა.

რაც შეეხება ინტელიგენციას - ჩემი აზრით, ისინი დაშინებულები არიან. როცა უჭირდათ, ყველა აქ ჩამოდიოდა და დღემდეც ასეა, მაგრამ არავინ იღებს ხმას იმაზე, რასაც რუსეთი საქართველოს უკეთებს. შეშინებულები არიან – ყველას საკუთარი თეატრი აქვს, ან სხვა რამ და პრობლემების შექმნა არავის სურს. მაგრამ რუსეთი დიდი ქვეყანაა და იქ არაჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობს. დიდი კულტურა, მწერლობა აქვთ და არ შეიძლება, ასე მოწყდე.

ჩემი თეორია მაქვს რუსეთ-საქართველოს შესახებ - მათ საქართველოსადმი დაკარგული სამოთხის, დაკარგული საყვარლის კომპლექსი აქვთ.

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთში საშინელი პიარია. კულტურის წარმომადგენლებს შევხვდი და წუწუნებდნენ - რა ცუდია, რომ ურთიერთობები გაგვიფუჭდაო... ხელი და ფეხი მოგვაჭერით და არც დავიჩივლოთთქო? თუმცა, ბევრი რამ ჩვენი ბრალიც არის - აფხაზებსა და ოსებს თანასწორად უნდა მოვეპყროთ...

**- როგორ ფიქრობთ, გაჭრა რუსი ჟურნალისტების საქართველოში ჩამოყვანამ?**

- ეს საშინელება იყო. ჯერ ერთი, ჟურნალისტები არაფერს წყვეტენ. მეორეც - თუ ჩამოიყვან, უნდა აჩვენო ლტოლვილების მდგომარეობა, უნდა წაიყვანო ოსეთში, აჩვენო ციფრები... თქვენს ხარჯზე უფასოდ ჩამოიყვანეს და ალბათ, ყუთებით გაატანეს ღვინოები. წინანდალში ქეიფს ისინი არ იმსახურებენ. ჭავჭავაძეების მამული ჩვენთვის უძვირფასესი ადგილია და პირში მწვადით არ უნდა გველაპარაკებოდნენ. არა მგონია, რომ ამ ქეიფით ჩვენ მიმართ რუსების პოლიტიკა შეიცვლება.

როგორც ვხედავ, დღეს ჩვენი კულტურა სიამოვნებისადმია განწყობილი. ილია იყო კრიტიკული და მოკლეს კიდეც.

**- რას შეძლებს საქართველოში ნინო ანანიაშვილის სიდიდის ხელოვანი?**

- ნინო ბრწყინვალე ადამიანია. არ არსებობს ადამიანი, ვინც იცნობდეს და არ უყვარდეს. დიდი ბალერინაა და ქართული ბალეტისთვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მას დიდი სახელი აქვს მსოფლიოში და ის ჩამოიყვანს უამრავ ქორეოგრაფს, პედაგოგს. ოპერა და ბალეტი რომ გაიყო, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ნინოსთან ერთად უნდა იყოს ჯანო კახიძის დონის დირიჟორი (რომელიც დღეს არ არის), უნდა იყვნენ მომღერლები, უნდა იდგმებოდეს სპექტაკლები, უნდა იყოს დაინტერესება. იგივეს გაკეთება შეიძლება ოპერაშიც. არ ვიცი, მათ რა გეგმები აქვთ, მაგრამ, რაც ოპერაში ხდება, არ მომწონს.

საფრანგეთში, ბორდოში ვმუშაობდი. "მეტროპოლიტენთან" შედარებით მათ სასაცილო ბიუჯეტი აქვთ და გრანდიოზულ დადგმებს ვერ ახორციელებენ, მაგრამ ამ მცირე ბიუჯეტით პატარა და გემოვნებიანი სპექტაკლები იდგმება.

ბევრი მუსიკოსი, კონცერტმაისტერი, პედაგოგი წავიდა საზღვარგარეთ და თავისი ნიჭის წყალობით მშვენივრად მოეწყო. ეს ხანმოკლე პროფესიაა და თუ განვითარების საშუალება გაქვს, აუცილებლად უნდა გამოიყენო. ალბათ, ყველა ჩამოვა, მაგრამ პატრიოტიზმის გარდა მათთვის რაღაც უნდა იყოს მიმზიდველი. ქვეყნის სიყვარული ლოზუნგი არ არის, საქმის კეთება და მოქმედებაა.

საქართველოში ყველაფერია იმისთვის, რომ ბედნიერი ქვეყანა იყოს. მეზობლებისგან ზეწოლაც არის, შიდა წინააღმდეგობებიც, მაგრამ თუ შენი ქვეყანა გიყვარს, ამას უნდა გაუმკლავდე.



# აფიშა

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
კონცერტი-აქცია მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად
ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე და ნატალია
ფასი: 8-20 ლარი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პრემიერა
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
პრემიერა
"მოჩვენებები"
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
რევაზ კლდიაშვილი
"მარტოობის ბინადარი"
კითხულობს სოფიკო ჭიაურელი.
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"ოცნება და სინამდვილე"
რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
ახალგაზრდების შემოქმედება
გურამ ბრეგაძე
კარლოს გოროსტისა
"სუპერ მელოდია"
(თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტის სადიპლომო სპექტაკლი)
დას: 16:00 სთ.

**ტრაგიკომედიის თეატრი**
"VENCEREMOS ანუ ჩვენ გავიმარჯვებთ"
რეჟისორი: ვახტანგ ანდიაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 18:00 სთ.

## ცირკი

რუსეთის საცირკო პროგრამა.
ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 15:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ქალი კატა"
დას: 19:30; 22:00 სთ.

"ფარენჰეიტი 911"
დას: 14:00; 16:30 სთ.

**რუსთაველი**
"მეფე არტური"
დას 14:30; 17:00; 19:30 სთ.

"ევროტური"
დას: 12:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**ძველი გალერეა**
დავით მელიქიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**TMS**
ფოტოგამოფენა "ჩინეთი 55"

**"ქარვასლა"**
"რისკიანი მოგზაურობა - ქართველი მიგრანტები ნიდერლანდებში"
ფოტოგამოფენა

**ვერნისაჟი**
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# "ზამთარია... სიცივეა..."

## ცნობილი სიმღერის უცნობი ვერსია პაატა ბურჭულაძის შესრულებით

მადი სერებრიაკოვა



ბასო გულაშვილის ფოტო

პაატა ბურჭულაძემ მშვენივრად იცის თავისი საქმე და კომპრომისებზე ამ მხრივ იშვიათად მიდის. ესტრადის მომღერლის ამპლუაში, ან ესტრადის მომღერლების გვერდით, სახელგანთქმული ბანი არასოდეს ჩნდება, "სამი ტენორის სინდრომი" არ აწუხებს და ყურადღების ამ მეთოდით მიქცევა არ სჭირდება. თუმცა, არსებობს გამონაკლისები, რომელიც, ალბათ, ისევ და ისევ, წესს ადასტურებს. გუშინ, სატელევიზიო პროექტ "მემკვიდრეობის" ინიციატივით, ცნობილი ქართული სიმღერის "ზამთარია... სიცივეა"-ს ახალი ვიდეოკლიპის პრემიერა შედგა. თამაზ ჯორბენაძის ამ პოპულარულ სიმღერას, რომელიც ბევრს ხალხური ჰგონია, სწორედ პაატა ბურჭულაძე ასრულებდა.

სატელევიზიო პროექტი "მემკვიდრეობა" "უსახელოდ დაკარგულ" ნიჭიერ ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ბევრი მათგანი, ზემოხსენებული სიმღერის არ იყოს, ისედაც პოპულარულია და წარდგენა არ სჭირდება. "ზამთარია... სიცივეა"-ს თავის დროზე შესანიშნავად ასრულებდა "ცისფერი ტრიო", შემდეგ ესტაფეტა ირაკლი ჩარკვიანმა გადაიბარა. თუმცა, უამისოდაც, გიტარასთან დამღერებულ ამ სიმღერას თითქმის ყველა ქართულ მუსიკალურ ოჯახში მოისმენდით. ბევრმა არ იცოდა, რომ იგი არცთუ სახელგანთქმულ კომპოზიტორს თამაზ ჯაფარიძეს ეკუთვნოდა. სიმღერას - ახალი სიცოცხლე, ხოლო მის შემქმნელს - უნებლიეთ დავიწყებული ავტორობა - კომპოზიტორის ქალიშვილმა თეონა ჯაფარიძემ დაუბრუნა. მან 2003 წელს სტუდია "ავტოგრაფი" დააარსა და მხატვარ დავით აფციაურთან და ოპერატორ დავით გოგილაშვილთან ერთად, მამის მუსიკაზე ვიდეოვერსიების შექმნა დაიწყო.

პაატა ბურჭულაძე ასეთ, ერთი შეხედვით, ავანტიურას თავდაპირველად მხოლოდ თამაზ ჯაფარიძესთან პირადი მეგობრობის ხსოვნის პატივისცემით დასთანხმდა. მას შემდეგ, რაც კომპოზიტორი გარდაიცვალა, მან უარი ვერ უთხრა მის ქალიშვილს ძველი მეგობრის სიმღერა შეესრულებინა. ბორის გოდუნოვის დიდებული ინტერპრეტატორი ამ ექსპერიმენტის შედეგით კმაყოფილი დარჩა: **"მე და თამაზი ერთად ვსწავლობდით კონსერვატორიაში, მეგობრები ვიყავით. მაგრამ თავიდან ამ სიმღერის შესრულება მაინც არ მინდოდა, კარგად ვიცი, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ თამაზის ქალიშვილს უარი ვერ ვუთხარი. ახლა კი ძალიან კმაყოფილი ვარ."**

"ზამთარია... სიცივეას" ბურჭულაძისეული ვერსიით და ახალი ვიდეოკლიპით კმაყოფილებას ვერც ჩვენ დავფარავთ. სახელგანთქმული ბანის საესტრადო დებიუტი სრულიად მოულოდნელი სიფაქიზით, სევდითა და გულშიჩამწვდომი უბრალოებით გამოირჩეოდა. ჩვეული და ყველასთვის ნაცნობი "ნახშირივით შავი" ბანისგან ძალზედ განსხვავებული ტემბრისა და საშემსრულებლო მანერის მიუხედავად, ბურჭულაძე მაინც არავის დატოვებს გულგრილს. პაატა ბურჭულაძე გიტარით ხელში - მართალია, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თურმე ასეც ხდება. სიმღერას ბურჭულაძე მხოლოდ აკუსტიკური გიტარის თანხლებით ასრულებს. პარტნიორობას მას ცნობილი გიტარისტი კაკო ვაშალომიძე უწევს.

"ზამთარია... სიცივეა"-ს ახალი ვიდეოვერსიაც საინტერესო და გემოვნებით შესრულებულია. განსაკუთრებულ ვიდეოეფექტებს აქ ვერ შეხვდებით, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში სიმებს მაინც შეგირხევთ. კლიპის სცენარი კომპოზიტორის ქალიშვილს ეკუთვნის.

სტუდია "ავტოგრაფმა" გუშინდელ საღამოზე კიდევ ერთი ვიდეოს პრემიერა შემოგვთავაზეა. თამაზ ჯაფარიძის უცნობ სიმღერას "საშობაო", თამრიკო ჭოხონელიძე, მისი ქალიშვილი მარიამ როინიშვილი, პატარა კატო ჯაფარიძე, უნივერსიტეტის ვაჟთა ანსამბლი და ცნობილი მსახიობი თენგიზ არჩვაძე ასრულებდნენ. კლიპიცა და სიმღერის არანჟირებაც უფრო ქართული ესტრადის ტრადიციებში იყო შესრულებული, თუმცა მასაც თავისი დამფასებელი ჰყავს. თამრიკო ჭოხონელიძემ დიდი გულისტკივილით ისაუბრა ქართული სიმღერის ტრადიციის დაკნინებაზე და სულ ცოტა ხნის წინანადელი ამბავი გაიხსენა: **"ერთი ცნობილი ჯგუფის ჩაწერაზე ვიყავი. ოთხი მომღერალი დიდხანს წვალობდა და ხმებში სიმღერას ვერ ახერხებდა. მე და ჩემმა მეგობრებმა, კოლეგებმა ვაჩვენეთ ოთხ ხმაში სიმღერა, როგორ უნდა შეესრულებინათ. მათ კი აბუჩად აგვიგდეს: "ბებიაჩემის დროინდელი იშხნელების ჟღერადობა გამოვიდაო"**.

როდის აქეთ გახდა იშხნელები სალანძღავი სიტყვა - ეს არავინ იცის, თუმცა სიმღერა რომ მართლაც ბევრს დაავიწყდა ქართულ ესტრადაზე - ამას წყალი არ გაუვა. იმ "მოწინავე" ქართულ ჯგუფს (რომლის სახელის დასახელება თამრიკო ჭოხონელიძემ, კოლეგიალობის ეთიკიდან გამომდინარე, არ ისურვა) შეუძლია რამდენიმე ხმაში სიმღერის გაკვეთილი პაწაწინა კატო ჯაფარიძისგანაც მიიღოს. "საშობაოში" ის თავის უფროს კოლეგებს ძალზედ ღირსეულად ედგა მხარში.

პრეზენტაციაზე კიდევ ერთი სიმღერის პრემიერა შედგა. ამჯერად უკვე ცოცხალი შესრულებით. "იასამნის ბაღში" თამრიკო ჭოხონელიძემ . სტუდია "ავტოგრაფის" წარმომადგენლები ამ სიმღერის ირგვლივ მოლაპარაკებებს ცნობილ ახალგაზრდა შემსრულებლებთან ქეთი მელუასა და ნუცა შანშიაშვილთანაც აწარმოებენ. უახლოეს მომავალში კი თამაზ ჯორბენაძის კიდევ ერთი სიმღერის - "ისევ მახსენდება"-ს აღდგენასაც აპირებენ. მას შვეიცარიელი სოპრანო ელენა იანსონი და ანსამბლი "თბილისი" ქართულ ენაზე შეასრულებენ.

"ავტოგრაფი" ვიდეომუსიკალური საქმიანობის გარდა, საგამომცემლო საქმესაც ეწევა. გუშინ, მათ გარდაცვლილი მწერლის ბესიკ მაღლაკელიძის მოთხრობების, ლექსებისა და პუბლიცისტური წერილების კრებული წარმოადგინეს. გეგმავენ, ასევე, სამამულო ომში დაღუპული 25 უცნობი პოეტის კრებულის გამოცემასაც.

# ქართველი მწერლების სამაგიდო წიგნები

ნანა ბასილაშვილი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*იმის გარდა, რომ დამსწრე საზოგადოებამ ნუგზარ შატაიძისგან საყვარელ წიგნებთან დაკავშირებით, ბევრი საინტერესო და შთამბეჭდავი ისტორია მოისმინა, მწერლის სულ ახალ მოთხრობასაც გაეცნო*

უკვე მეორე წელიწადია "წიგნის სახლი", ყოველ ხუთშაბათს მწერალ ზაალ სამადაშვილის ციკლს წარმოგიდგენთ. ამ ხნის განმავლობაში, "ხუთშაბათობამ" საკუთარი აუდიტორია შეიძინა, რომლებიც ერთგულად, ყოველ ხუთშაბათს "წიგნის სახლისა" და ზაალ სამადაშვილის სტუმრები არიან. არც ეს უკანასკნელი ღალატობენ პირობას, ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი მოვლენების დროსაც კი. "ახალი განზომილება" შარშან გიორგობისთვეშიც აქტიურად მოღვაწეობდა. მთელი წლის განმავლობაში ვის არ შეხვდებოდით და გაესაუბრებოდით ამა თუ იმ საინტერესო თემაზე. ზაალის მიერ მოწვეული მწრლები, პოეტები, რეჟისორები, მხატვრები, მოკლედ ხელოვნების თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლები, "წიგნის სახლის" აუდიტორიას მათთვისვე სასურველ თემებზე, საკმაოდ თბილ და სასიამოვნო ატმოსფეროში, სულ ცოტა, ერთ საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ.

წლევანდელ "ხუთშაბათობებზე" მსმენელი თავისთავად, მაგრამ სტუმრებიც, ალბათ, არაერთხელ განმეორდებიან. მხოლოდ შარშანდელისაგან განსხვავებით, მასპინძლის გადაწყვეტილებით, თითოეული მათგანი ერთსა და იმავე თემაზე ისაუბრებს. ასე რომ, ამიერიდან თუკი თქვენთვის საინტერესოა ამა თუ იმ მწერლის, პოეტის და ა.შ. (ჩამონათვალით თავს აღარ შეგაწყენთ) სამაგიდო წიგნების ნუსხა, ზაალ სამადაშვილის - "ჩემი სამაგიდო წიგნები", თქვენს ინტერესს სწორედ ამ კუთხით დააკმაყოფილებს.

"თუ რას მოიცავს ჩვენი ახალი ციკლი - "ჩემი სამაგიდო წიგნები", ამას, ალბათ, განმარტება არ ესაჭიროება. და მაინც ეს ის წიგნებია, რომლებსაც არაერთხელ ვუბრუნდებით და შეძლებისდაგვარად ხშირად ვკითხულობთ. თუ რატომ ავირჩიე ეს თემა, მიზეზი მარტივია; ვფიქრობ, მკითხველი ამ გზით უკეთესად გაიცნობს მწერალს, აღმოაჩენს ახალ წიგნებს, ან ნაცნობ წიგნებში სიახლეს. ამას გარდა, მწერლები უმეტესად გადამდებად საუბრობენ ლიტერატურაზე, აბა, რა სჯობია იმას, თუკი ამა თუ იმ წიგნის სიყვარული გადაგედება. გამოგიტყდებით, დღევანდელი და მომავალი შეხვედრები პირადად ჩემთვისაც ძალზედ საინტერესოა", - ახალი ციკლის პირველ საღამოზე კი, ზაალ სამადაშვილმა მწერალი ნუგზარ შატაიძე მოიწვია.

იმის გარდა, რომ დამსწრე საზოგადოებამ ნუგზარ შატაიძისგან საყვარელ წიგნებთან დაკავშირებით, ბევრი საინტერესო და შთამბეჭდავი ისტორია მოისმინა, მწერლის სულ ახალ მოთხრობასაც გაეცნო, თანაც "ცოფი" (ასე ეწოდება შატაიძის ახალ მოთხრობას) თავად ავტორმა წაიკითხა, რაც იმ სასიამოვნო ემოციას, რომ უნებლიეთ მწერლის ნაწარმოების პირველი შემფასებელი გახდი, კიდევ უფრო ამძაფრებდა ის, რომ იგი თავად ავტორისგან მოისმინე. თუმცა, ეს საღამოს ბოლო აკორდი იყო. რომელიც ნუგზარ შატაიძემ აუდიტორიისა და მასპინძლის დაჟინებული თხოვნის შემდეგ შეასრულა, - "ხუთი გვერდია და დაიღლებითო"...

მანამდე მწერალმა დაპირებული, თუ დათქმული თემის ირგვლივ ისაუბრა. საყვარელი წიგნებისა და მწერლების მთელი ნუსხა ჩამოთვალა. მათ შორის იყვნენ ქართველი, რუსი, ინგლისელი, თუ ამერიკელი მწერლები. "ალბათ, პირველყოვლისა, ჯერ მაგიდა უნდა გქონდეს, რომ მასზე საყვარელი წიგნი დადო. მე ყოველთვის საკუთარი მაგიდის პრობლემა მქონდა. ბოლო დროს, როგორც იქნა, ეს საგანიც გაჩნდა, მხოლოდ ამასობაში, არაერთხელ შეიცვალა საყვარელი წიგნების სია, რადგანაც ყველაფერს, ალბათ, თავისი დრო აქვს", - როგორც თავად განაცხადა, წიგნებით არცთუ ისე განებივრებული თაობის წარმომადგენლის ბავშვობის დროიდან მოყოლებული საყვარელი მწერლები ჯეკ ლონდონი, ალექსანდრე დიუმა, ერნესტ ჰემინგუეი, ჩეხოვი, ტოლსტოი, რეზო ინანიშვილი (და ა.შ.) ყოფილან. დროთა განმავლობაში საყვარელი წიგნების სია იცვლებოდა. უცვლელი სამაგიდო წიგნი კი ნუგზარ შატაიძისთვის სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონა" გახლავთ, - "ალბათ იმიტომ, რომ სწორედ სიტყვაა ის ერთადერთი მასალა, რომლის წყალობითაც შემდგომში ჩემს პატარა ქოხებს ვაგებ. ამ წიგნში კი იგი შეგიძლია დაუსრულებლად აღმოაჩინო".

"ბოლო დროს მხატვრულ ლიტერატურას გულს ველარ ვუდებ. ჩემს ინტერესს დოკუმენტური, ისტორიული და მემუარული ჟანრის წიგნები აკმაყოფილებს. ალბათ, ესეც დროებითია", - ასე დაასრულა საყვარელ წიგნებზე საუბარი ნუგზარ შატაიძემ და იქვე შემდეგი სტუმრის ვინაობით დაინტერესდა. "ეს სადღეგრძელოსავით არის, როცა წამოდგები, მაშინ გაფიქრდებაო", - ასეთი იყო პასუხი. თუ ვინ იქნება შემდეგი, ზაალ სამადაშვილმა ერთი კვირით ადრე თავადაც არ იცოდა. სტუმრის ვინაობა თუ არა, ის კი ნამდვილად ცხადია (და ალბათ, დამეთანხმებით), რომ ლიტერატურაზე, მწერლებსა და წიგნებზე საუბარი უინტერესო ნამდვილად არ იქნება. ასე რომ, მომავალ ხუთშაბათამდე.

# ხუთ დღეში შექმნილი ფერწერის ზღაპრული სამყარო

## ფერთა და სტილთა თამაში თანამედროვე ხელოვნების გალერეაში

სალომე კიკალეიშვილი

"ერთი ამოსუნთქვით შექმნილი ექსპოზიცია" - ასე აფასებს "თბილისურ შემოდგომას" მისი ორგანიზატორი, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ბატონი გია ჯანბერიძე. გამოფენა თანამედროვე ხელოვნების გალერეაში 10 ნოემბრამდე უმასპინძლებს დამთვალიერებელს. ხუთ დღეში შეკრებილი, 26 მხატვრის ასამდე ნამუშევარი. პორტრეტები, პეიზაჟები, ხედები... ერთიანდება ერთი თემის, იმპროვიზაციის გარშემო - "თბილისური შემოდგომა". სათანადო განწყობა, სიუჟეტით, შინაარსით, ფერითა თუ კომპოზიციით; სტილთა, მიმდინარეობათა, ავტორთა თაობის აბსოლუტური მრავალფეროვნება: კალანდაძე, ნიჟარაძე, ძაძამიძე... სუთიძე, გუგუშვილი, მოსეშვილი... ბევრი ნაცნობი, ბევრი კი ჯერ კიდევ შეუმშრალი, მოლბერტიდან პირდაპირ თანამედროვე ხელოვნების გალერეაში მოხვედრილი ტილოები. ასეთია გია მირზაშვილის სპეციალურად ამ გამოფენისთვის, ერთ ღამეში, ღამის ფერებში შექმნილი კომპოზიცია, ედმონდ კალანდაძის "ტბა"...

გასაოცარი ექსპოზიცია, თავისი მასშტაბურობით, მრავალფეროვნებით, თითოეული ავტორის, ინდივიდუალური "თხრობის" ენით. ხელწერათა, მანერის თუ სტილის კალეიდოსკოპური ცვლა, არა თუ დისონანსს, პირიქით საოცარ ჰარმონიულობასა და ორგანულობას აღწევს, თავისებურად გითრევს ფერთა და სტილთა ამ "თამაშში", სადაც ნებისმიერი გემოვნების დამთვალიერებელი აღმოაჩენს თავისთვის საინტერესო, საყვარელ ტილოს. იქნება ეს ედმონდ კალანდაძის ჰაეროვანი, "თავისუფალ" სივრცეში შექმნილი "ნათელი" პეიზაჟები, გია გუგუშვილის აბსტრაქცია - ფერით მიღწეული გრძნობა, გივი თოიძის "ფერადი", თბილი, თბილისის ხედები თუ ალექს ბერდიშევის "პირქუში", გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით შექმნილი კომპოზიციები. ამაში დარწმუნება კი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც თავად ესტუმრებით ხუთ დღეში შექმნილ ფერწერულ სამყაროს, თავად იმოგზაურებთ ხელოვანთა, ოსტატთა სივრცეში. ძნელია "მოყვე" კარგი გამოფენის შესახებ, რადგან ეს თავად უნდა ნახო, იგრძნო, განიცადო, თვალით "შეეხო". ექსპოზიციის ოთხი დარბაზის დათვალიერების შემდეგ, ისევ გიპყრობს სურვილი თავიდან ჩამოუარო თოთოეულ მათგანს, კიდევ ერთხელ შეხედო მერაბ აბრამიშვილის გასაოცარ ტექნიკას, შალვა მატუაშვილის "ლიკა გიორგაძეს", ზურაბ ნიჟარაძის "ნიუს".

სანამ გავაგრძელებდე, მინდა ცოტა ხნით მოგწყვიტოთ ფერწერას და ორიოდე სიტყვით, კინოს სამყაროში გადავიდეთ, უფრო სწორად, კინოსა და მხატვრობის ურთიერთგავლენას შევეხო, რადგან ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ აუცილებლად იგრძნობთ იმ ასოცირებულ პარალელებს, რომელიც ამ ორ ხელოვნებას აკავშირებს. კინოენის კავშირი მხატვრობასთან გაცილებით ღრმაა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით მოჩანს - რა უნდა აკავშირებდეს ახლად "გამოჩეკილ" კინემატოგრაფს საუკუნოვან მხატვრობასთან? ადამიანს ხატვის, შექმნის სურვილი ჯერ კიდევ მაშინ გაუჩნდა, როცა ორ ფეხზე სიარული და იარაღის გამოყენება დაიწყო, როცა პირველად გაჩნდა სურვილი აესახა რეალობა, თავისი რეალობა - გამოქვაბულის ბნელ კედლებზე ამოეკაწრა მსხვერპლი და იარაღიანი მონადირე, საკუთარი თავი. დაეფიქსირებინა, გვერდიდან შეეხედა, აღებეჭდა, უკვდავეყო. არა მგონია, ჩვენი პრიმიტიული წინაპარი ისეთ ფასეულობებზე ფიქრობდა, როგორიც თუნდაც დროთა წარმავლობაზე გამარჯვება და საკუთარი თავის მარადიული უკვდავყოფაა, და ამ გზით "ცოცხალთა სამყაროში" დარჩენა, რასაც ტილოს, მომავალში კი ფოტოს, კინოფირის, საშუალებით შეძლებს. საუკუნეების მანძილზე რეალობის ვიზუალური ამსახველი, "დროში მუმიფიცირებული" (როგორც ამას ფრანგი კინოთეორეტიკოსი და კინოკრიტიკოსი ანდრე ბაზენი უწოდებდა), იყო მხატვრობა, ვიდრე მე-19 საუკუნემდე, როდესაც მას ეს ფუნქცია, ნაწილობრივად ახალმა გამოგონებამ, ფოტოგრაფიამ "ჩამოართვა". გაცილებით მარტივი, იოლი, და უნდა ითქვას, იაფი საშუალება რეალობის აღსაბეჭდად, საკუთარი მეს უკვდავსაყოფად. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც რჩებოდა "უმოძრაოდ", "მკვდრად", და აი, იმავე საუკუნეში ადამიანი ქმნის გაცოცხლებულ ფოტოგრაფიას - სინემატოგრაფს. ის ევოლუციის ჯაჭვი, რომელიც დღესაც აგრძელებს განვითარებას ვიზუალური ხელოვნების ახალ სფეროებში, უკვე ვირტუალურ სამყაროში.


ონიანი - "ჯანრი კაშიას პორტრეტი"

ეს კავშირი ამ ორ ხელოვნებას შორის, პირადად ჩემთვის (შეიძლება იმიტომ, რომ პროფესიით კინომცოდნე ვარ), განსაკუთრებით გამოიკვეთა ექსპოზიციის რამოდენიმე ავტორის ნამუშევრების დათვალიერებისას, რასაც ბატონი გია ჯანბერიძის მიერ, პრინციპულად ასე განლაგებული, კარგად "დამეზობლებული" ნამუშევრები იწვევდა. განსაკუთრებით კი მეოთხე დარბაზში - "მე მინდოდა, აქ გამომეფინა კონტრასტული ნამუშევრები, თითოეული მხატვრის ორ-ორი ტილო, რომ რაღაც "ლაქასავით" დამჩნეოდა დარბაზის თეთრ კედლებს, უფრო გამოკვეთილიყო თითოეულის ინდივიდუალიზმი" - განაგრძობს ბატონი გია. ეს ეფექტი უდავოდ მიღწეულია, ასეთია გია გუგუშვილის ორი კადრით, ორი ფერით შექმნილი განწყობა, ნარინჯისფერი "სურვილი" და შავი "ყვავილი და ბროწეული", საერთო შტრიხებით, შეიძლება საერთო კომპოზიციით. სადაც ნარინჯისფერი ფერის ტონთა საოცარ გრადაციას აღწევს ავტორი. ირაკლი სუთიძის "დევის ცოლი" ხომ ნამდვილად "კინოა". სადღაც შორეულ ადგილებში, თუნდაც გამოქვაბულში "აღმოჩენილი" გასაოცარი ტილო, ნახევრად მოშიშვლებული, პირდაპირ თვალებში მომზირალი, წამოწოლილი დევ-ქალი, მეორე კადრში (ტილოზე) კომპოზიცია იცვლება, ის აქ სრულიად შიშველია, თან აღარც გიყურებს, თითქოს ვიღაცამ დაუძახა, იქით გაიხედაო. ომარ კაჭკაჭიშვილის "გარიყულა" და "სიჩუმე" - აქ თითქოს კამერის "თვალით" უყურებ ოდნავ ფოკუსარეულ, გადაშლილ პანორამას, თუმცა ყოველგვარი ქაოტურობისა და ქაოსის გარეშე, საოცარი სიმშვიდით და სიდინჯით. უბრალოდ, პატარა ბურუსია, და თითქოს თავად იწყებ კამერის ამ პატარა ხარვეზის გასწორებას, უშუალო მონაწილეობას იღებ საინტერესო ნახატის დასრულებაში.

ექსპოზიციის მესამე დარბაზს "ზღაპრულ სამყაროს" დავარქმევდი. სწორედ აქ არის წარმოდგენილი ლეოპოლდ ძაძამიძის "პორტი". ეს მხატვარი, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, არც ისე ნაცნობია საზოგადოებისათვის. მაგრამ ის უდავოდ დაგამახსოვრებინებთ თავს, თავისი საინტერესო ნამუშევრებით. "ქუთაისში", სადაც აბსოლუტური მოძრაობის ეფექტია მიღწეული, ხედავ, როგორ მოედინება, შმაგობს, ამღვრეულია მდინარე, აქაფებს ტალღებს... თუმცა, ამ შფოთს, უმალ გიქარწყლებს უკანა ხედზე, მოშორებით მწვანე ფერის იდილია, ხეები, აბიბინებული ბალახი. ჩვენ "პორტი" ვახსენეთ. აქ ამ თემაზე ორი ნამუშევარია წარმოდგენილი, ერთი შედარებით ახლო ხედით დაჰყურებს ზაფხულის ცხელ დღეს პორტში მოფუსფუსე ადამიანებს, ათასი ფერით, ათასი წერტილით, რაღაცით ახლოს პუანტერიზმთან. მეორე უფრო ცივია, შორიდან უმზერს თეთრი თოვლით გადაპენტილ უმოძრაო პორტს. სადღაც აქვეა "გაგრაც" დიდი ხეების ჩრდილში მოსეირნე ხალხით. ძაძამიძეს გვერდს ორი დიდი ოსტატი უმშვენებს, ზურაბ ნიჟარაძე, ლაქათა მსუბუქი თამაშით "ნიუ", რომელიც ავტორის ბოლო ნამუშევრებია, და ედმონდ კალანდაძის პეიზაჟები. ძალიან ახლოს ისინი, ხელის ერთი მოსმით, უხეშად მოქნეულ ზეთით შესრულებულ კონტრასტულ ფერთა სქელი ფენაა, მაგრამ შორიდან... გასაოცარი სიმსუბუქე და ექსპრესია, "ნათელი" სამყარო, პოეტური სათაურებით: "ნისლი წამოვიდა კოჯრიდან", "სარდიონისფერი ფერწერა", საოცარ სილამაზეს გაზიარებს. აქვე წარმოდგენილია ავტორის სრულიად ახალი, მოლბერტიდან ჩამოხსნილი "ტბა". საოცარი გამჭვირვალობა, რომელსაც ზეთში შესრულებულ ნახატში აღწევს - "ეს თითქმის შეუძლებელია, რომ ზეთის საღებავებით აკვარელის ეფექტს მიაღწიო. თითქოსდა ფენა-ფენად დადებულ ნახატში, ასეთ გამჭვირვალობას მიაღწიო" - განაგრძობს ბატონი გია. სრულიად საპირისპიროა ჯემალ კუხალაშვილის მრავალფენოვანი, რთული ფერწერის მანერით შესრულებული "ქორწილი კანაში", "ღამის ქორწილი". მრავალფიგურიანი, თითქოს "გადატვირთული" ნახატები აუცილებლად "თავისუფლდება" უკანა ხედში: სივრცით, აქა-იქ ჩადგმული კოშკებით, მოშორებით მოფუსფუსე ადამიანებით, რაც შენ თავში სიუჟეტის განვითარებაზე, მის იქითა განზომილებაზე გაფიქრებს. კადრების ცვალებადობის ეფექტს ქმნის ზაალ ბაჩანაშვილის აბსტრაქციულ ტილოებში მოქცეული ესმა ონიანის და რადიშ თორდიას პოეტური ნამუშევრები, გაერთიანებული პოეტური ქალის თემატიკით: ქალი ქოლგით, ყვავილით.

ექსპოზიციის ოთხი დარბაზიდან მეორე ოთახს გია ჯანბერიძემ ამოსასუნთქი, გარდამავალი სივრცე შეარქვა. მართლაც, გაოცებს ნახატების ერთგვარი სიმსუბუქე და სინაზე, ათ სერიანი "ნიუ" ვანო აბულაძის გრაფიკა, ერთი მოსმით მოხაზული შიშველი ქალის კონტურები, შალვა მატუაშვილის გუაშით შესრულებული "ლიკა გიორგაძე" - ცოცხალი თვალებით და რენუარისეული "სევდიანი", "გახუნებული" ფერებითა და გამომეტყველებით. აქვე გაოცებს მერაბ აბრამიშვილის შესრულების ტექნიკა, მისი სირთულე და გრაციოზულობა, სრულიად ახალი "შავი ავაზა", "გვიმრა", და "კუმაონის კაციჭამია", რომელიც ძველებურ, ხელით ნაქარგ, ძვირფას ტილოებს უფრო ჰგავს. გასაოცარ ეფექტს ახდენს დამთვალიერებელზე, თავისი აღმოსავლური "სულით", ზღაპრული ანიმალიზმით.

ძნელია და თითქმის შეუძლებელია, შეეხო, თითოეულ ავტორს, ექსპონატს. ძნელია, არ ახსენო მამუკა ცეცხლაძის "ჰარლემი" თავისი შორეული, თბილი ყვითელის საოცარი ტონით შექმნილი ტილო, მშფოთვარე "კორსიკა", ბესიკ არბოლაშვილის "სიშიშვლე შეპარული" ქალთა პორტრეტები, ოთარ მეგრელიძის კოლაჟური პრინციპით შექმნილი პატარ-პატარა კომპოზიციები. გასაოცარ ეფექტს ესმა ონიანის პირველი ეტიუდები, სამი პორტრეტით, სამი კადრით ქმნის. იმპრესიონისტული მანერით შესრულებული, ახალგაზრდა ჯანრი კაშიას პორტრეტი. ის თითქოს დაღლილია, ერთი წამით დაუდევრად ჩამომჯდარა სკამზე, ძლიერი, ლამაზი, ვაჟკაცი. წამით ჩამომჯდარს ერთი ამოსუნთქვით, ერთ წამში, უცებ "გადაუღეს ფოტო". თითქოს ავტორმა მოასწრო, რადგან მამაკაცი ეს-ესაა ადგება, წავა.

შეუძლებელია "მოყვე" კარგი გამოფენის შესახებ. ის უნდა ნახო, თვალით "შეეხო", განიცადო. მე, უბრალოდ, შევეცადე, გადმომეცა გამოფენის შემდეგ ჩემი გრძნობები - სრული თავისუფლების, სიმსუბუქის, სილაღის...


ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სხვაში აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:
შეავსე ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
2 მისამართი
3 საკონტაქტო ტელეფონის ნომერი
4 დაბადების თარიღი
5 სკოლა
6 კლასი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი


ნინია კაკაბაძის სვეტი

# რომელი საათია?!



**გამგებელი.** ყველას ეგონა, რომ ახლა ამგვარი ჟესტების გაკეთება, "რა თქმა უნდა, ძლიერ ვგიანა", მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. სად იყო და სად არა, თბილისის მერმა, საჩუქრად გადმოცემული ძვირად ღირებული საათი, პატრონს საჯაროდ უკან დაუბრუნა და ამის გამო თანამდებობიდანაც გათავისუფლა. ზურაბ ადამიას "გულში, რომ "მწუხარებამ ღამე გათია", ეს ფაქტია. მისი სურათი თუ სახე-ხატება სულ თვალწინ მიდგას, ზის და თავის თავს ესაუბრება, ალბათ: "მაინც არ მასვენებს მწარე სინანული", ვინ მეკითხებოდა "რომელი საათია, რომელი საათია?" ეჰ, ბატონო ზურაბ, გეტყვით, ახლა რომ დგახართ ფანჯარასთან, და ღამე არ იცლება, და თითქმის მთელი შემოდგომა თავზე დაგათიათ, საათი თქვენ აღარ გაქვთ და ვინ იცის, რომელი საათია, რომელი საათია, შეიძლება მხოლოდ სამი იყოს ან სამის მესამედი, მაგრამ თქვენთვის ახლა, მაინც ნუგდიადია - ზუსტად არც მე ვიცი, რომელი საათია, მე არა - უბრალო მოკვდავი ვარ, მაგრამ აი, შარლ ბოდლერმა ზუსტად იცის, ახლა რისი დროა: "მწარე და ძვირფასი, თრობის საათია, ღვინის საათია!" - ბატონო ზურაბ! თანაც იმასაც ვერ მივდევენ თვალი, ბოლოს და ბოლოს, ეს საათი თქვენ დაგიბრუნდათ, თუ სადმე მიმოიკარგა, ვერც საათი დავზუერე კარგად, მხოლოდ ყუთი დავინახე (ლამაზი და ძვირფასი იყო), მაგრამ დარწმუნებული ვარ, გარდა მისი ძვირად ღირებულებისა, საათი ლამაზიც იქნებოდა. მაგრამ, ვინ ელოდა იმ ფინალს, რაც ამ საათს დაატყდა თავს.

**მერი.** წინამდებარე ტექსტიდან გამომდინარე, არ გეგონოთ, ახლა იმ მერზე ვიწყებ საუბარს, იმ ღამის ჯვარს რომ იწერდა. არა, ეს ჩვენი ქალაქის მერია, ზურაბ ჭიაბერაშვილი. პირდაპირ მინდა განვაცხადო: მიუხედავად ზურაბ ჭიაბერაშვილის მისამართით გაგზავნილი პრეტენზიებისა, რომელიც ხან მის გარეგნობას ეხება, ხან მის დიქციას და ხანაც მის გაკეთებულ საქმეებს, და ჩემი საკუთარი პრეტენზიები მეც მაქვს, რომელიც გასულ სეზონს გამოვთქვი, ჩატარებული "ევროპული თბილისობის" გამო, მის მიმართ მაინც არ ვარ ბოლომდე სკეპტიკურად განწყობილი. სადღაც მაინც მჯერა, რომ მას გულწრფელად სურს, ქალაქს საკუთარი სახელი პოზიტიური შინაარსით დატოვოს. ერთი სიტყვით, მგონია, რომ მართლა უნდა, ბევრი თუ არა, რამდენიმე კეთილი საქმის გაკეთება "თბილისისა და თბილისელებისათვის". ამისათვის ხან "კასკით" თავზე დაიარება, ხან ნიჩბით ან ვედრო უჭირავს ხელში, ხან მენაგვის ყვითელ ე.წ. "სპეცოვკა" აცვია და სხვა და სხვა. შესაძლებელია, ეს ჩემი და ჩემნაირების თვალის ასახვევად კეთდება. თუმცა, რეალურადაც ვნახე მისი მერობის პერიოდში გაკეთებული, შესაძლებელია ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეები, მაგრამ ხომ არის: თანამედროვე (ჭყეტელა) შუქნიშნები და განახლებული გზები. თუმცა, არც, ამ ორი ქალაქური კომპონენტის საკითხი შეიძლება ჩავთვალოთ მოგვარებულად. ასეა თუ ისე, სინამდვილეში თუ არა, ეს ადამიანი ნამდვილად ქმნის ილუზიას, რომ ქალაქში რაღაც კეთდება. მაგრამ... (მოგვიანებით)

**პრეზიდენტი.** თავდაპირველად, როგორ მოგვხვდა თვალში მიხეილ სააკაშვილი? ზოგს პარლამენტიდან ახსოვს, ზოგს იქიდან - შევარდნაძეს რომ დაყავდა ხელჩაკიდებული და და სთხოვდა ვაკის ამომრჩევლებს, მათი რჩეული გამხდარიყო, ზოგს პირველად იუსტიციის მინისტრის რანგში მოხვდა თვალში, ერთ-ერთი თანამშრომლის ნათესავისადმი მიწერილი წერილი, რომ ამოიღო სახალხოდ და დამსწრე საზოგადოებას და პრესას მისი შინაარსი გააცნო (ეს უკანასკნელი თავის ნათესავს ორ "შარვალ-კოსტიუმს" და "პრილიჩნი" მობილურ ტელეფონს სთხოვდა). მაშინ ეს უცხო იყო, და ყველას გვიკვირდა და გვიხაროდა - დამნაშავეების გამოაშკარავების პროცესი დაიწყო. ამის შემდეგ, სააკაშვილს საქციელის პლაკატურობაში აკრიტიკებდნენ. ეს სულ რეკლამაა, მეუბნებოდნენ მისი ოპონენტები, იტყუება, მერე ნახავ რასაც იზამს. მაგას პრეზიდენტობა უნდა. მიუხედავად ამისა, მისი საქციელი ჩემს აღშფოთებას მაინც არ იწვევდა. სრულიად ლოგიკური იყო მისი ქმედებაც და მისი კარიერისტული სწრაფვებიც. ასე იყო თუ ისე, ჩემთვის მიხეილ სააკაშვილი თავისი, ასე ვთქვათ, პლაკატური ქცევებითა და ჟესტებით, უკვე გამოკვეთილ, ცხოვრებისეულ კინოგმირად ჩამოყალიბდა, როგორც ნამდვილ კინოში ჩარლი ჩაპლინი. გენიოსთან შედარება ვინმემ პირფერობაში რომ არ ჩამითვალოს, გნებავთ, ცნობილ კომიკოსს ბენი ჰილს შევადარებ, თუმცა სინამდვილეში ის არც ერთია და არც მეორე. მე მხოლოდ მის მხატვრულ სახეს ვგულისხმობ - მის მიხვრა-მოხვრას, ცეკვა-კუნტრუშს თუ ზოგადად საქციელს.

მიხეილ კალატოზიშვილს ჩარლი ჩაპლინმა საკუთარი ტროსტი აჩუქა, მაგრამ კალატოზოვს თავში არ მოსვლია, ისევე ევლო საკუთარ ფილმებში თუ ქუჩაში, როგორც ჩაპლინი დადიოდა. თუკი საქციელს გავიმეორებთ, უფრო ნიჭიერად უნდა გავაკეთოთ, ვიღაცა ისევ მეტყვის, რომ სააკაშვილიც კენედის მიმბაძველიაო. შესაძლებელია, მისი ტაქტიკა აირჩია, მაგრამ, მგონი, მაინც მისი ერთობ არასტანდარტული ინდივიდუალობისგან გამომდინარე, ეს ჩვეულებრივი იმიტაცია მაინც არ არის. ჭიაბერშვილმა საათის უკან მობრუნების აქტი გულწრფელად გააკეთა, ზედმეტი ქულების მოსაპოვებლად, თუ სხვა უფრო სერიოზული მიზნების განსახორციელებლად, არ ვიცი. შესაძლებელია უკვე ჰქონდა კარგი საათი და იფიქრა, ორი რად მინდა, ერთს საქმეს შევწირავო, ჩემი ოფისის თავზე ამხელა საათია და საათში ერთხელ ვიგებ რომელი საათიაო. შესაძლებელია, ასეც ყოფილიყო. თუმცა, ახლა ჩაპლინის ტროსტის არ იყოს, კალატოზოვთან რა მოსატანია და ჭიაბერაშვილსაც აქვს პრეზიდენტის საათი და მომავალში, ვფიქრობ, კიდევ უფრო საფუძვლიანად აითვისებს პრეზიდენტის ილეთებს.

დაბოლოს. ჩემს და არა მხოლოდ ჩემს ეჭვს მხოლოდ ერთი საკითხი იწვევს, რაც იმის უფლებას მაძლევს, ჭიაბერაშვილის გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო. მგონია, ჭიაბერაშვილის "ფიქრებშიც გახვეულა ბნელი ზრახვები, ახალი საათი რომ ვერსად დაატია". რამდენიმე დღე თუ არა, ერთი ღამე მანაც იფიქრა: როდის გათენდება, ღამე საზიზღარი, ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტო, რა ვუქნა ამ საათსო. ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, გადაწყვიტა პრეზიდენტზე ნაკლები რით ვარო და ისეთი ჟესტი გამოაგდო, 5-6 წლის წინანდელი სააკაშვილი გაგვახსენა. მაგრამ, აბა ვინ შეარგო, ჟესტი კი დაუფასეს, და დაასაჩუქრეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ამ კომიკური შოუს მთავარი გმირი მაინც პრეზიდენტი - იგივე, გნებავთ, ჩაპლინი თუ ბენი ჰილი - გახდა. ერთი სიტყვით, საზოგადეობას ახარებს, რომ კორუფციას ებრძვიან, კორუმპირებულები თუ კორუფციის მცდელობები იგმობა, ქალაქის მერი ძვირადღირებულ საჩუქარს არ იღებს, მაგრამ ყველაფერი ეს უფრო გათამაშებული, გააზრებული ნაბიჯის შთაბეჭდილებას ქმნის, ვიდრე გულწრფელის. იმ საათის დაბრუნება მაშინვე შეიძლებოდა და მჩუქებელის თანამდებობიდან გათავისუფლებაც იმ დღესვე და არა, მეორე თუ რამდენიმე დღის შემდეგ სახალხო და საზეიმო ვითარებაში, კარგად მოფიქრებულ, დადგმულ სიტუაციაში. ამიტომ, თუკი პრეზიდენტი ისედაც გვანებივრებს ამგვარი სანახაობებით, მგონი, უმჯობესი იქნება, დანარჩენებმა თავი შევიკავოთ ასეთი ხელოვნური მიმბაძველობისგან და, მარტივად რომ ვთქვათ, საქმეს მივხედოთ!

ღმერთო, როგორ მოხდა წვიმა მოსისხარი, თითქოს შეუწყვეტი კუპრის ნაკადია, და ბატონ ზურაბთან ისევ ნერვიულად რეკავს ტელეფონი, და მას არა აქვს პასუხი მარტივ კითხვაზე, ვინ ეკითხებოდა - რომელი საათია, რომელი საათია?!

**P.S.** ეს ხომ ისედაც იცოდა იმ ღამეს მერიმ.

ქართული ფეხბურთის ლიგა 30 ოქტომბერს გიწვევთ "ლოკომოტივის" სტადიონზე, სადაც გაიმართება საქართველოს ჩემპიონატის მატჩი:

**დინამო (თბილისი) - ტორპედო (ქუთაისი)**

დასაწყისი 20:00 საათზე. ბილეთის ფასი 3 ლარი.

ამ მატჩიდან შემოსული თანხა ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას მოხმარდება.

**ყოველ ჩვენგანზეა დამოკიდებული, აგუგუნდება თუ არა ჩვენი ფეხბური!**

*ჭადრაკი*

## ქართველებმა ჩინური კედელი აიღეს

წარუმატებელი სტარტის შემდეგ ბრწყინვალედ ათამაშდნენ ქართველი ქალები და ოლიმპიადის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მეორე ადგილზე არიან. აღსანიშნავია, რომ მე-12 ტურში მათ ტურნირის ლიდერი, ჩინეთის ნაკრები დაამარცხეს 2:1 და 24 ქულა დააგროვეს. ჩვენს ქალებს ასე რომ ეთამაშათ ტურნირის პირველ ნახევარში, პირველობა უკვე განაღდებული ექნებოდათ, ახლა კი მეორე ადგილისთვის ებრძვიან ამერიკელებს და რუსებს. პირველობა კი გაინაღდა ჩინეთის ნაკრებმა, რომლის მძლეველი ამ ტურნირზე მხოლოდ საქართველოს ნაკრებია. ბოლოსწინა ტურში ქართველთა მეტოქე იყო რუსეთის ნაკრები, რომელიც ჩვენს გუნდს 0,5 ქულით ჩამორჩებოდა.

ცოტა გაიუმჯობესეს მდგომარეობა ვაჟებმა. მე-12 ტურში ქართველთა მეტოქე რუსეთის ნაკრები იყო. ქართველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარეს - 2,5:1,5 მოიგეს, რითაც რუსებს, ფაქტობრივად, წაართვეს ოლიმპიადის მოგების შანსი. სამაგიეროდ, ეს შანსი უბოძეს უკრაინას, რომელმაც უშუალო კონკურენტის მარცხის შემდეგ კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. ბოლოსწინა ტურში ქართველი და უკრაინელი მოჭადრაკეები შეხვდნენ ერთმანეთს. ეს შეხვედრა ყველაზე ადრე დასრულდა და, რაღა თქმა უნდა, ყაიმით - 2:2. ახლა, თუ სასწაული არ მოხდა, უკრაინელებს პირველობას ველარავინ შეეცილება, ქართველებმა კი, საეჭვოა, წინა ოლიმპიადის შედეგი გააუმჯობესონ. ჩვენი ნაკრები მე-7 - მე-8 ადგილებს იყოფს და მესამე ადგილზე მყოფს ორი ქულით ჩამორჩება.

*მოკლედ*

## რანიერის ესპანური პრესა არ ასვენებს



ინგლისური კლუბის "ჩელსის" ყოფილმა და ესპანური კლუბის "ვალენსიას" ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ ესპანელ ჟურნალისტებს განუცხადა: "თქვენ, ჟურნალისტებო, ჩემი განადგურება გსურთ. იმ შემთხვევაშიც კი, როცა თქვენი სტატიებით თითქოს ჩემს მხარდაჭერას ცდილობთ, ბოლოს მაინც იმ აზრით ამთავრებთ, რომ მე მთავარი მწვრთნელის პოსტი უნდა დავტოვო. მინდა იცოდეთ, რომ პრესის კრიტიკა ჩემზე არ მოქმედებს, რადგან ჩემთვის მთავარი თვითკრიტიკაა."

ბოლო დროს "ვალენსიამ" ზედიზედ ხუთჯერ წააგო: ორჯერ - ესპანეთის ჩემპიონატში, ორჯერ - ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში და ერთხელაც ესპანეთის თასზე.

"კლუბში მუშაობის იმედით მოვედი და, წაგებული მატჩების მიუხედავად, გუნდიდან წასვლას მაინც არ ვაპირებ. სიმშვიდეს კვლავაც ვინარჩუნებ, რადგან ვიცი, რომ ასეთი ჩავარდნა ბევრ კარგ გუნდს ჰქონია და კიდეც ექნება. სეზონი კარგად დავიწყეთ, თუმცა, შემდეგ ბევრი მარცხიც ვიწვნიეთ. კარგია, რომ ეს წარუმატებლობა სეზონის დასაწყისში იყო და არა მის ბოლოს", - განაცხადა კლაუდიო რანიერიმ.

## ირანელ ფეხბურთელებს ვარცხნილობის შეცვლა მოუწევთ

ირანის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებმა ფეხბურთელებს წვერისა და გრძელი თმის, ასევე უჩვეულო ვარცხნილობის ტარება სასტიკად აუკრძალეს, რადგან, მათი აზრით, ეს მათ რელიგიას ეწინააღმდეგება.

ასოციაციის წარმომადგენლის განცხადებით, ურჩი ფეხბურთელები აუცილებლად დაისჯებიან, სასჯელში კი ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობის აკრძალვაც შედის. "ჩვენ ტრადიციულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ფეხბურთელები ჩვენი საზოგადოების ფასეულობებს არ უფრთხილდებიან და სხვა ქვეყნის სპორტსმენებისგან უმსგავსო მაგალითებს იღებენ," - ნათქვამია ირანის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებაში.

ჯერჯერობით ორმა პროფესიონალმა ფეხბურთელმა სიტყვიერი გაფრთხილება უკვე მიიღო.

საინტერესოა, რომ ირანის ფეხბურთის ასოციაციის მოსაზრება დაემთხვა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთა სურვილს. უკანასკნელად, ჩეხეთში ჩატარებული ჩემპიონატის დროს, ფედერაციამ უკმაყოფილება გამოთქვა ჰოკეისტთა გრძელი თმის გამო, თუმცა, ირანის ფეხბურთის ასოციაციისგან განსხვავებით, აკრძალვის შესახებ ოფიციალურად ჯერ არ განუცხადებია.

## ბექჰემს ჯენიფერ ლოპესთან ერთად იღებენ

რამდენიმე დღეში ინგლისის ნაკრების კაპიტანსა და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველს დევიდ ბექჰემს "პეპსის" სარეკლამო რგოლში გადაიღებენ. კომპანიამ ფეხბურთელს ათმილიონიანი კონტრაქტი ხუთწლიანი ვადით გაუფორმა. მისი პარტნიორები იქნებიან არა ფეხბურთის ვარსკვლავები, არამედ მომღერლები, მათ შორის, ერთ-ერთი ცნობილი მომღერალი და მსახიობი ჯენიფერ ლოპესი გახლავთ.

*მოამზადა*
*ნინო ტიკარაძემ*

*ფეხბურთი*

# ჩოლარია მოდის და იწყებს

### დანიელებს ჰიმნით და დროშით დავუხვდებით

მიხეილ აბაიშვილი



*ჩოლარიამ ფედერაციის თანამშრომლების რაოდენობა მკვეთრად შეამცირა.*

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე მხოლოდ ახალი ძველი სახე, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია არ უნდა ყოფილიყო მასპინძლის რანგში. მედიის ინტერესი ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიასაც უნდა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ ჟორდანია მისთვისაც მოულოდნელად უეფაში გამოიძახეს და იგი ესპანეთში გუშინ გაემგზავრა.

"მერაბ ჟორდანია უეფას ტექნიკური განვითარების კომიტეტის წევრია. ეს კომიტეტი 27-28 ოქტომბერს მადრიდში მართავს მორიგ სხდომას, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ. დაგეგმილი გვქონდა, რომ დღევანდელი პრესკონფერენცია ერთად ჩაგვეტარებინა, მაგრამ ჟორდანია ჟურნალისტებს მოგვიანებით, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ შეხვდება. ამიტომ დღეს თქვენს შეკითხვებს მე ვუპასუხებ", - განაცხადა ვალერი ჩოლარიამ შეხვედრის დასაწყისში.

რაც შეეხება კომიტეტს, რომელშიც სფფ-ს პრეზიდენტი ირიცხება, ერთობ სოლიდური და წარმომადგენლობითია. თავად განსაჯეთ: ამ კომიტეტის წევრები არიან რინუს მიხელსი, ანხელ მარია ვილარი (ფიფას ვიცე-პრეზიდენტი), მიშელ პლატინი, თრევორ ბრუკინგი, ჯიაჩინტო ფაკეტი, ანგელ იორდანესკუ, ალან სიმონსენი, დრაგან სტოიკოვიჩი, ბერტი ფოგტსი და, მათთან ერთად, მერაბ ჟორდანია. კომიტეტის თავმჯდომარეა ცნობილი ხორვატი სპეციალისტი ვლატკო მარკოვიჩი.

თემები, რომელსაც ეს კომიტეტი მადრიდის შეხვედრაზე განიხილავს, მსოფლიო ფეხბურთის განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ეროვნული ნაკრები გუნდების მომავალი, ამხანაგური მატჩების ორგანიზება, კლუბებისა და ქვეყნის ურთიერთობები, ფეხბურთელთა კონტრაქტები, გუნდში ფეხბურთელთა რაოდენობა, მოქმედი მწვრთნელების განათლება, დაცვა, ინფორმირება, კვალიფიკაცია, ფეხბურთელების განვითარება - ეს გახლავთ იმ საკითხთა არასრული ჩამონათვალი, რომელსაც უეფას ტექნიკური განვითარების კომიტეტი განიხილავს.

თავად ვალერი ჩოლარიაც, რომელიც ოფიციალურად შეუდგა სფფ-ს გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულებას, რამდენიმე დღეში მიემგზავრება უეფაში.

"2 ნოემბერს გავემგზავრები ჟენევაში, სადაც 3 ნოემბერს დაიწყება ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციების გენერალური მდივნების სამუშაო შეხვედრა. შევხვდები უეფას და ფიფას იმ მოხელეებს, რომლებიც უშუალოდ კურირებენ ფიფას და უეფას გრანტების პროგრამებს. ჟორდანია 5 ნოემბერს ჩამოვა შვეიცარიაში და 8 ნოემბერს ერთად დავბრუნდებით საქართველოში", - განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

თანამდებობაზე ჩოლარიას დაბრუნება ბევრისთვის თანამდებობის დატოვების მაუწყებელი გახდა. ახალმა გენერალურმა მდივანმა შტატების ოპტიმიზაციის გადაწყვეტილება მიიღო და სფფ-ში მომუშავეთა რაოდენობა თითქმის 50 პროცენტით შემცირდა.

"ფედერაციაში ჩემს დაბრუნებამდე შტატში 69 კაცი ირიცხებოდა. უეფას და ფიფას დირექტივების შესაბამისად, მათი რიცხვი 38-მდე შევამცირეთ. შემცირება არ შეხებია მწვრთნელთა კორპუსს. ყველა, ვინც თანამდებობაზე დარჩა, პროფესიონალი და გამოცდილი კადრია. ისინი მაღალ დონეზე შეძლებენ ფეხბურთის ფედერაციის ფუნქციონირების უზრუნველყოფას. რაც მთავარია, ეს ცვლილებები განხორციელდა უეფას და ფიფას დირექტივების შესაბამისად", - დარწმუნებულია თავისი გადაწყვეტილების სისწორეში ჩოლარია.

დაბოლოს, მოგაწვდით ინფორმაციას "სეზონის უმთავრესი მატჩის" თაობაზე, როგორც მას უწოდა ვალერი ჩოლარიამ. საუბარია მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშზე, რომელიც 17 ნოემბერს თბილისში გაიმართება და რომელშიც საქართველოს ნაკრები დანიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.

"დანიელები თბილისში 15 ნოემბერს, 16 საათისთვის ჩამოფრინდებიან. ახალგაზრდული გუნდი "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდება, ხოლო ეროვნული ნაკრები - "მარიოტში". კოპენჰაგენიდან მოსული ფაქსის თანახმად, ორივე ნაკრებს ჩამოსვლის დღესვე სურს იმ სტადიონებზე ვარჯიში, სადაც თამაში მოუწევთ. შესაბამისად, ახალგაზრდული გუნდი ეროვნულ, ხოლო ეროვნული ნაკრები "ლოკომოტივის" სტადიონზე ივარჯიშებს. ახალგაზრდული გუნდების მატჩი 16 ნოემბერს, 8 საათზე, ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ამავე დღეს დანიის ეროვნული ნაკრები დახურულ ვარჯიშს ჩაატარებს. ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩი 17 ნოემბერს, 21 საათზე, "ლოკომოტივის" სტადიონზე, დაიწყება", - განაცხადა ვალერი ჩოლარიამ.

უკვე ცნობილია იმ არბიტრების ვინაობა, რომლებიც ამ მატჩებს განსჯიან. ახალგაზრდული გუნდების შეხვედრას სლოვაკ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება მთავარი არბიტრის რიჩარდ ჰავრილას მეთაურობით, ხოლო ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩს სლოვენი მსაჯები განსჯიან. მთავარი მსაჯი იქნება დარკო სეფერინი. მატჩზე მოსულ ყველა გულშემატკივარს უფასოდ გადასცემენ ფურცლებს, რომლის ერთ მხარეს იქნება საქართველოს ეროვნული დროშა, ხოლო მეორე გვერდზე - ეროვნული ჰიმნის ტექსტი.

# "ჩელსის" თავდამსხმელი დაბრმავებას გადაურჩა

ნინო ტიკარაძე

*ბოლო დროს ფეხბურთელის პროფესია საკმაოდ სახიფათო გახდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი გულშემატკივრების მხრიდან გამოვლენილი სისასტიკე და აგრესიულობაა, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, სპორტსმენის სხეულის დაზიანებით, უარეს შემთხვევაში კი მისი სიკვდილით მთავრდება. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ფეხბურთელი, გაურკვეველ მიზეზთა გამო, პირდაპირ მოედანზე კვდება...*




*"ვესტ ჰემის" გულშემატკივრის ნასროლმა მონეტამ კეჟმანს თვალი გაუჭრა.*

ოთხშაბათს დაუდგენელმა პირებმა ერთ-ერთ პარკში მეგობარ გოგონასთან მოსეირნე მოსკოვის "სპარტაკის" კამერუნელი მცველი ლიუკ ზოია უმოწყალოდ სცემეს, თუმცა, ფეხბურთელი სიკვდილს მაინც გადაურჩა. იმავე დღეს ტრაგიკული ამბავი მოხდა ბრაზილიაშიც. "სან-პაულოსა" და "სან-კაეტანოს" მატჩის მეორე ტაიმში, სრულიად მოულოდნელად, "სან-პაულოს" 30 წლის მცველმა სერჟინიომ პირდაპირ მოედანზე დაკარგა გონება - გული გაუჩერდა. ფეხბურთელი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მშვიდად არც ინგლისური კლუბების შეხვედრებმა ჩაიარა. ამის მიზეზი, როგორც ყოველთვის, მათი გულშემატკივრები იყვნენ. არ ვიქნები მაინცდამაინც მკაცრი, თუ ვიტყვი, რომ ფეხბურთის სხვადასხვა ქვეყნის გულშემატკივრებს შორის ინგლისელები განსაკუთრებით გამოირჩევიან აგრესიულობით. განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ, ალბათ, მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის გულშემატკივრებს არ აუტეხავთ იმდენი ჩხუბი და აურზაური საკუთარი ქვეყნის სტადიონსა თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიც მათ.

მოკლედ, სამშაბათს "ლივერპულისა" და "მილვუოლის" გუნდების მატჩის დროს ტრიბუნებზე დაწყებული შეხლა-შემოხლა სტადიონის გარეთაც გაგრძელდა. გულშემატკივრები მხოლოდ ერთმანეთს კი არ დაერივნენ... ისინი ტრიბუნებზე სკამებს გლეჯდნენ და მოედანზე ყრიდნენ. პოლიციამ ძლივს შეძლო მათი დაშოშმინება.

ამ ინციდენტის მეორე დღეს, ოთხშაბათს, "ჩესლისა" და "ვესტ ჰემის" მატჩის დროს იგივე გამეორდა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად "ვესტ ჰემის" გულშემატკივრებმა "ჩელსის" ფეხბურთელებიც დააშავეს. თამაშის დროს ერთადერთი გოლის ავტორს, "ჩელსის" სერბ თავდამსხმელს მატეა კეჟმანს ტრიბუნიდან ესროლეს მონეტა, რომელმაც ფეხბურთელს მარცხენა თვალის ქუთუთო გაუჭრა. საბედნიეროდ, ჭრილობა სერიოზული არ აღმოჩნდა. ამ ინციდენტის მიუხედავად, მსაჯის საფინალო სასტვენისას ფორვარდმა ღიმილით დატოვა მოედანი. მიზეზი, რა თქმა უნდა, მის მიერ გატანილი ის ერთადერთი გოლი იყო, რომელმაც გუნდს "ვესტ ჰემზე" გამარჯვება მოაპოვებინა.

როგორც ჩანს, სიხარულსა და მით გამოწვეულ ემოციას ტკივილის გაყუჩებაც შეუძლია. ეს საზეიმო განწყობა დაშავებულ ფეხბურთელს შემდეგაც გაჰყვა. "უმნიშვნელო ინციდენტი იყო. თავს მშვენივრად ვგრძნობ... რაც შეეხება გოლს, ის ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია. მატჩის დასაწყისშივე ვგრძნობდი, რომ გოლი აუცილებლად უნდა გამეტანა. ასეც მოხდა. დარწმუნებული ვარ, ამას სხვა მრავალი გამარჯვებაც მოჰყვება", - განაცხადა ინგლისული კლუბის სერბმა ლეგიონერმა. მართალია, ასეთი წარმატება მისთვის ნამდვილად არ არის პირველი, მაგრამ ფორვარდი მას მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

მატეა კეჟმანის გარდა, გულშემატკივართა რისხვა დაატყდა თავს ასევე ჯო კოულსა და ფრენკ ლამპარდს (ორივე ფეხბურთელი ადრე "ვესტ ჰემში" თამაშობდა). თუ პირველს ტრიბუნიდან ბოთლი ესროლეს, მეორეს უხვად გადმოაყარეს თავზე მონეტები, მაგრამ მათ მონდომებამ ამაოდ ჩაიარა - ფეხბურთელები დაშავებას გადაურჩნენ.

მატჩის შემდეგ გულშემატკივართა შორის დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა. პოლიციელებმა დააკავეს წესრიგის დამრღვევი თერთმეტი ადამიანი, რომელთაგან რამდენიმე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ უკვე დაიწყო მოკვლევა ინციდენტთან დაკავშირებით, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მას სერიოზული გამოძიება აქვს ჩასატარებელი. მასში ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერის საგულდაგულო შესწავლაც შედის.

რაგბი

# შავი ზღვის ბატონები

პაატა თოთაძე

*ქართველი მორაგბეები და, შესაბამისად, რაგბის მოყვარულები არც საერთაშორისო ტურნირებით და, მით უმეტეს, არც ამგვარ ტურნირებში გამარჯვებით არ არიან განებივრებულნი. ასე რომ, თითოეულ ტურნირში მონაწილეობა უაღრესად მნიშვნელოვანია საერთოდ ქართული რაგბისთვის. ამ დღეებში უკრაინაში გაიმართა შავი ზღვის თასის პირველ გათამაშება, რომელშიც გაიმარჯვა ქართულმა კლუბმა "იმედი L - აკადემია". რა და როგორ ხდებოდა უკრაინაში, როგორ იყო ორგანიზებული ტურნირი და რა პერსპექტივა აქვს მას... ყოველივე ამის შესახებ გვესაუბრება "იმედი L - აკადემია"-ს მენეჯერი გია კუბლაშვილი.*



*"იმედი-L აკადემიას" მენეჯერი გია კუბლაშვილი მოგებული თასით.*

- შავი ზღვის თასის გათამაშება დიდი ხნის პროექტია. მისი ჩატარების იდეა ზაზა ქასაშვილს ეკუთვნის. თავიდან გვინდოდა, რომ ეს სანაკრებო ტურნირი ყოფილიყო, რადგან საქართველოს ნაკრებს, ერთა თასის გარდა, ფაქტობრივად, არც ერთ სხვა ტურნირზე არ უწევს თამაში. გუნდები, რომლებსაც შავი ზღვის თასზე უნდა ეთამაშათ, იყვნენ ჩვენი მეტოქეები ერთა თასზე, მაგრამ მათთან კიდევ ერთხელ თამაში ცუდი ნადვილად არ იქნებოდა. ეროვნულს თუ არა, შესაძლებელი იყო, "ა" ან, თუნდაც, ახალგაზრდულ ნაკრებს ეთამაშა. თანაც, ეს პროექტი ფინანსური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო.

შემდეგ მის განხორციელებას ბევრმა ობიექტურმა მიზეზმა შეუშალა ხელი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია რუმინელთა წინააღმდეგობა. ისინი მუდამ ქედმაღლურად უყურებენ დანარჩენებს. უნდა ვთქვა, რომ ბევრმა ჩვენმა პროექტმა დროს გაუსწრო, ანუ მომწიფებული არ იყო იმ პერიოდისთვის. ასე იყო ამ პროექტთან დაკავშირებითაც. დროთა განმავლობაში, როცა მთელ მსოფლიოში რეგიონალიზმის კონცეფცია განვითარდა, დადგა პერიოდი, როცა ეს პროექტი უნდა განხორციელებულიყო. ამას დაემატა ისიც, რომ ფირა-მ (ევროპული რაგბის მმართველი ორგანო) დაიწყო ევროპის რეგიონთა თასის გათამაშება. ერთი სიტყვით, პროექტის განხორციელების დრო დადგა და შევთანხმდით, რომ პირველი გათამაშება წლეულს უნდა გამართულიყო, თუმცა, არა ეროვნული ნაკრების, არამედ რეგიონების ნაკრების დონეზე.

**- რამდენ გუნდს უნდა მიეღო მასში მონაწილეობა და როგორ უნდა შერჩეულიყვნენ ისინი?**

- წესით, ჩვენთან რეგიონული პირველობა უნდა გამართულიყო და შავი ზღვის თასზე ორ საუკეთესოს უნდა მიეღო მონაწილეობა. ეს შეჯიბრება ვერ გაიმართა. წინა წლების მსგავსად, იქ მონაწილეობის უფლება, პირველ რიგში, მიეცა "ლოკომოტივს", როგორც ქვეყნის ჩემპიონს. აქ კი უკვე უფულობამ იჩინა თავი. შემდეგ რაგბის კავშირმა უკრაინაში გამგზავრება ბათუმელებს შესთავაზა. მათაც უარი თქვეს. ბოლოს ჩვენ გამოვიჩინეთ ინიციატივა და გავემგზავრეთ. რუმინელებმა ისევ იუარეს მონაწილეობა. იდეაში თითქოს თანახმა იყვნენ, მაგრამ ტურნირის ჩატარების ვადებზე მათთან გარკვეული პრობლემები შეიქმნა და ამის გამო უარი თქვეს. თუმცა, მსაჯი მიავლინეს. ვფიქრობ, დაკვირვება უნდოდათ, აინტერესებდათ, რა ხდებოდა, ღირდა თუ არა საერთოდ ტურნირში ჩაბმა. როგორც მივხვდით, ამ მსაჯს რაპორტი უნდა წაეღო. აქვე გეტყვით, რომ ის კმაყოფილი წავიდა უკრაინიდან, თქვა, კარგი იქნებოდა, რუმინელებიც რომ იქ ყოფილიყვნენო. საბოლოოდ მონაწილეთა რაოდენობა ოთხით განისაზღვრა: ორი გუნდი უნდა ჰყოლოდა უკრაინას, თითო - რუსეთს და საქართველოს. იმის გამო, რომ ტურნირის გამართვის ვადებმა გადაიწია და უკრაინის ჩემპიონატის პლეი-ოფს დაემთხვა, ხარკოვის გუნდმა მონაწილეობა ვერ მიიიღო. ამის გამო გათამაშება ცოტა გამარტივებულად ჩატარდა. ჩვენ უნდა შევხვედროდით ოდესის ნაკრებს და ჩვენს შორის გამარჯვებული - ფინალში, მოსკოვის "ფილის". "ფილის" სწორედ ხარკოვთან უნდა ეთამაშა. უკრაინელთა უარის გამო რუსები პირდაპირ გავიდნენ ფინალში.

**- ანგარიშის მიხედვით მასპინძელთა ძლევა არ გაგჭირვებიათ...**

- ოდესელთა დამარცხება ნამდვილად არ გაგვჭირვებია - 43:11. ოდესის შემდეგ "ფილის" ვეთამაშეთ. ახალგაზრდული საკმაოდ კარგი გუნდი იყო, მე ვიტყოდი, ჩვენნაირი. რამდენიმე მოთამაშე ჰყავდათ დამატებული "სლავადან" და "ვვა"-დან. ჩვენთან თამაშობს ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე მოთამაშე და იცნეს რუსები, ანუ მეტოქედ რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეები გვყავდა. ერთი სიტყვით, ტრადიციულ მეტოქეთა ჭიდილი იყო. "ფილი", როგორც რუსებს სჩვევიათ, ფიზიკურად კარგად მომზადებული და სწრაფი გუნდი იყო. მატჩის განმავლობაში ჩვენს ჩათვლის მოედანს დიდი საფრთხე არ დამუქრებია, მაგრამ ბრძოლა მაინც დაძაბული გამოდგა. მოედანიც სველი იყო. როგორც კი ნორმალურ, რამდენიმეფაზიან შეტევას განვახორციელებდით, უმალ ხელთ ვიგდებდით ხოლმე უპირატესობას. ასე რომ, უპირატესობა ჩვენ მხარეს იყო, მაგრამ მისი რეალიზება ბოლომდე ვერ მოვახერხეთ. თანაც, ბევრი ჩვენგანი საერთოდ პირველად თამაშობდა საერთაშორისო ტურნირზე. ასეა თუ ისე, მოვიგეთ 10:3.

**- თავად ტურნირი როგორ იყო ორგანიზებული, როგორ გაართვა თავი ამას უკრაინის რაგბის კავშირმა?**

- საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული. ჩვენ მხოლოდ გზის ფული გადავიხადეთ, დანარჩენი ხარჯები მათ გაიღეს. უკრაინა ახლა იმგვარ სიტუაციაშია, როგორც ჩვენ ვიყავით დაახლოებით რვა წლის წინ. ახალგაზრდები მოვიდნენ იქაური რაგბის სათავეში, თავიანთი პროექტები აქვთ. მონდომებული არიან, ფინანსური საშუალებებიც მეტ-ნაკლებად აქვთ. ასე რომ, მე მგონი, მალე კიდევ ერთი კონკურენტი გვეყოლება, რაც, უდავოდ, სასიკეთოა. უკრაინასთან თამაში გაცილებით იოლია, ვიზები არ გვჭირდება, გაააადგილება ადვილია და კლიმატური პირობებიც კარგია.

**- როგორც ცნობილია, ტურნირს კიდევ ერთი ღირსება აქვს - გამარჯვებული გუნდი რეგიონთა თასზე მეოთხედფინალიდან იწყებს ასპარეზობას...**

- დიახ, ასეა და ეს ძალიან კარგია. ფინანსურადაც მომგებიანია, რადგან მანამდე (მეთექვსმეტედფინალში და მერვედფინალში) უცხოეთში წასვლა არ გვიწევს. ჩვენ მოვიპოვეთ ეს უფლება, მეტოქედ რიგის გუნდი უნდა გვყოლოდა, მაგრამ შავი ზღვის თასის გათამაშების ვადების გადაწევამ ყველაფერი არია. რეგიონთა თასზე ყველა ნახევარფინალისტი გამოვლენილია, ერთის გარდა. ის ჩვენს თამაშს უნდა გაერკვია. მატჩი 6 ნოემბრისთვის იყო დანიშნული. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა. ჩვენი გუნდის ხუთი მოთამაშე ნაკრებშია, ამიტომ ლატვიელებს მატჩის გადატანის თხოვნით მივმართეთ. ესეც რომ არ იყოს, აქ, ფაქტობრივად, არ დარჩა კარგი მოთამაშე, რომელთა დამატებაც შეიძლებოდა, თორემ მათ დავიმატებდით. ლატვიელებისგან უარი მივიღეთ. იქ უკვე საკმაოდ ცივა და ეჭვობდნენ, რომ ყინვის გამო 6 ნოემბერსაც გაჭირდებოდა თამაში, მოგვიანებით კი, ალბათ, საერთოდ შეუძლებელი იქნებაო. ერთი სიტყვით, უარი თქვეს და ჩვენც იძულებულნი ვიყავით, უარი გვეთქვა იქ გამგზავრებაზე. ეს უფლება მოსკოვის "ფილის" გადავულოცეთ, რადგან შავი ზღვის თასზე გამარჯვებულის უარის შემთხვევაში რეგიონთა თასზე თამაშის უფლება მეორეადგილოსანს ეძლეოდა. ვფიქრობ, ეს დიდი ტრაგედია არ არის. მთავარი ისაა, რომ შავი ზღვის თასის პირველი გათამაშება გაიმართა და მისი გამარჯვებული ჩვენ ვართ, "იმედი L - აკადემია".

**- თქვენი აზრით რამდენად პერსპექტიულია ეს ტურნირი?**

- ნამდვილად პერსპექტიულია. მომავალი წლიდან მასში თითო ქვეყნიდან ორ-ორი გუნდი მიიღებს მონაწილეობას, სულ რვა გუნდი. ამის თაობაზე იქ იყო შეხვედრა მხარეებს შორის და ჩვენ თავს უფლება მივეცით, საქართველოს რაგბის კავშირი წარმოგვედგინა. უკრაინელები და რუსები ამ ტურნირს დიდ ყურადღებას აქცევენ. სპონსორთა ნაწილი უკვე მოძებნილია, ტელევიზიებიც ჩართეს საქმეში. გრძელდება სპონსორთა ძიება, რათა გუნდების ხარჯები მინიმუმამდე დავიდეს. ალბათ, რუმინელებიც ჩაერთვებიან, რადგან სიტყვიერი შეთანხმება მათთან უკვე მიღწეულია. მოსალოდნელია, რომ შეიცვლება გათამაშების ფორმატი - ტურნირი მიმოსვლითი იქნება. წინასწარი ვარაუდით, აგვისტოში დაიწყება და 5 ოქტომბრისთვის დასრულდება. კლუბებს მასში მონაწილეობა ან არაფერი, ან ძალიან მცირე თანხა დაუჯდებათ. ყველაფერი სპონსორებზეა დამოკიდებული. თუ ბიუჯეტს მთლიანად სპონსორები შეავსებენ, მაშინ კლუბებს იქ მონაწილეობა არაფერი არ დაუჯდებათ, თუმცა, საუბარია იმაზეც, რომ გუნდებმა 5000-5000 დოლარი დადონ ეგრეთ წოდებულ საპრემიო ფონდში და მთელი თანხა წაიღოს გამარჯვებულმა. გარდა იმისა, რომ ფინანსური დაინტერესება იქნება, ეს პირველ რიგში იქნება იმის გარანტია, რომ კლუბი რეგიონთა თასზე ბოლომდე ითამაშებს, ანუ უფულობის გამო არ მიატოვებს.

**- ახლა ვისაუბროთ თქვენს კლუბზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია საქართველოში...**

- შედეგების მიხედვით ამას ვერ იტყვი, თუმცა, სხვა მხრივ... მე მგონი, ჩვენ მოვლენებს გავუსწარით, სხვა რაღაცების დანერგვა მოვინდომეთ და ამან არ გაამართლა. ფინანსურ ურთიერთობებს ვგულისხმობ. იმ ფინანსური საშუალებებით, რომელიც ჩვენ გვაქვს ჩვენი კლუბის თანამფლობელის, სადაზღვევო კომპანია "იმედი L"-ის საშუალებით, გვინდოდა, კლუბში პროფესიონალური ურთიერთობები აგვეწყო. არ გაამართლა, მოთამაშეები საამისოდ მზად არ აღმოჩნდნენ. გარკვეულწილად, ჩვენი ბრალიცაა, ალბათ, ზედმეტი დავაკისრეთ მათ. ასეთი ურთიერთობები არც ჩვენს ქვეყანაშია, ამას ახლა ვსწავლობთ. ზოგს ჰგონია, რაკი ხელფასს იღებს, ყველაფერი გაილო ამისთვის. ზოგი ფიქრობს, რომ ეს ხელფასი ცოტაა და ასე შემდეგ. ჩვენს კლუბში არიან მოთამაშეები, რომლებსაც უცხოეთში უთამაშიათ და იციან, რა როგორ ხდება. სპორტსმენი ლიმონივით გამოწურო და მერე გადააგდო, ასეთი რამ ჩვენთან არ ხდება. ჩვენთან მეგობრული და ფინანსური ურთიერთობის ცუდი სიმბიოზი იყო, რომელმაც, ცხადია, არ გაამართლა. საქართველოს თასის გათამაშების შემდეგ ეს შევცვალეთ და, ვფიქრობ, ახლა სწორ გზას ვადგავართ. გადაწყვეტილი გვაქვს, აქცენტი გავაკეთოთ ჩვენ აღზრდილებზე. რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში ერთ-ორ მოთამაშეს დავიმატებთ, მაგრამ მაშინაც წინა პლანზე დავაყენებთ იმ მოთამაშის მორალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს და არა სხვას. ვფიქრობ, სწორ გზაზე ვდგავართ და შედეგიც უკვე ჩანს. მერე და მერე უფრო გამოჩნდება. ყოველივე ამის საშუალება კი "იმედი L"-ის მეშვეობით გვაქვს.

დღეს ჩვენს კლუბში დაახლოებით 250 მორაგბე ვარჯიშობს. ისევე როგორც სხვებს, არც ჩვენ გვაქვს ბაზა. თბილისში მოვძებნეთ ადგილი, რომელიც პრაქტიკულად ნაგავსაყრელად არის ქცეული. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ის არავისი საკუთრება არ არის, ანუ ის ქალაქის კუთვნილებაა. ჩვენ წერილობით მივმართეთ ქალაქის მერს, რომ იქ სპორტული კომპლექსი გაგვეკეთებინა - ტერიტორია იძლევა იმის საშუალებას, რომ იქ რამდენიმე მოედანი მოეწყოს. "იმედი L"-ის წყალობით გვაქვს საშუალება, რომ სერიოზულ სპორტულ ბაზად ვაქციოთ. როგორც ვიცი, ამაზე მერის რეზოლუციაც არსებობს, მაგრამ გადაწყვეტილება რატომღაც არ არის მიღებული. სხვა რაღაცებს გვთავაზობენ, მაგრამ ჩვენ არ ვართ თანახმა, რადგან მხოლოდ ერთი მოედნის მოწყობა არაფერია. იქ კი, სადაც ჩვენ გვინდა, ყველაფერის გაკეთება შეიძლება. იმედი მაქვს, რომ ამას როგორღაც მოევლება და ეს იქნება ბოლო ეტაპი, სახლი, რომლის დანგრევა, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, შეუძლებელი იქნება.

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
შეიძინეთ და აჩუქეთ მაღაზია-სალონი სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



# კიდევ ერთხელ ილიას მკვლელობაზედ

დიმიტრი შველიძე



ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიება ორმა სასამართლომ, რამდენიმე სხვადასხვა დროს შექმნილმა კომისიამ და არაერთი თაობის მკვლევარებმა აწარმოეს. მიუხედავად ამისა, საკითხს იმაზე მეტი ნათელი არ მოჰფენია, ვიდრე საზარელი აქტის მეორე დღეს.

ნიკოლოზ მეორის სასამართლომ (1909) მოვლენის მხოლოდ კრიმინალურ მხარეზე გაამახვილა ყურადღება და სამი ტერორისტი სიკვდილით დასაჯა. საბჭოთა სასამართლომ ყველაფერი მეფის სპეცსამსახურს - "ოხრანკას" გადააბრალა (1941-1942).

1987 წელს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ საუკუნის მკვლელობის ჭეშმარიტ გარემოებათა დასადგენად სპეციალური კომისია შექმნა. კომისიამ ფორმალურად სწორი დასკვნა გააკეთა - არ არსებობს სანდო დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებდეს, რომ წიწამურის მკვლელობა უშუალოდ მოაწყო რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ, კერძოდ სოციალ-დემოკრატებმა.

ზოგიერთი ისტორიკოსისთვის, მაგ., შოთა ბადრიძისთვის, რომელმაც სერიოზული გამოკვლევა მიუძღვნა პრობლემას, სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ გაურკვეველი იყო, ვინ ჩაიდინა ეს საშინელება და კითხულობდა - "ბოლშევიკებმა თუ მენშევიკებმა?" კერძოდ, რომელმა პიროვნებებმა? აქ შედგა ქართული ისტორიოგრაფია და სავსებით ბუნებრივადაც, რადგან ისტორია, როგორც მეცნიერება, სიზუსტისაკენ მიისწრაფვის და სათანადო საბუთსაც თხოულობს.

მაგრამ ისტორია ჰუმანიტარული მეცნიერებაცაა. იგი, სანამ მოვლენის დამამტკიცებელი პირდაპირი დოკუმენტური მასალა აღმოჩნდება, იტოვებს უფლებას, დაეყრდნოს მოვლენათა ლოგიკურ განვითარებას, ვარაუდს, ინტერპრეტაციას, არაპირდაპირ მასალას, მოგონებებს, გადმოცემებს, საერთოდ ყველაფერ იმას, რასაც საზოგადოებრივ აზრს ვუწოდებთ. სწორედ ამგვარი მეთოდოლოგიური არჩევანის გზას დაადგა ბატონი გურამ ყორანაშვილი, რომელმაც ახლახანს გამოსცა საინტერესო მონოგრაფია - "წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო." მონოგრაფიაში ნაკლებადაა "ახალი, სენსაციური საისტორიო წყაროები" და "ახალი უტყუარი ფაქტები," - განმარტავს ავტორი. კვლევის მეთოდოლოგიური სტრატეგია, არსებული დიდძალი არაპირდაპირი მასალების, მოგონებების, გადმოცემების, საზოგადოებრივი აზრის, როგორც საისტორიო წყაროსადმი მეტი ნდობის გამოცხადებაში მდგომარეობს. მთავარი კითხვა, რომელიც 97 წელია ქართველ საზოგადოებას აწუხებს, ვიმეორებთ, წიწამურის აქტში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის საკითხია. პირდაპირი დოკუმენტური მასალა ამის შესახებ პასუხს არ იძლევა. მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა წაგვართვას დასკვნის გამოტანის უფლება. სამაგიეროდ, გურამ ყორანაშვილის წიგნში თავმოყრილია უამრავი დღემდე სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული საგაზეთო წერილი, მოგონება, ჩვენება, გადმოცემა, მოსაზრება, ვარაუდი და სხვა არაპირდაპირი ხასიათის მასალა, რომელმაც საბოლოო ჯამში ჩამოაყალიბა ძირითადი საზოგადოებრივი აზრი.

საზოგადოებრივი აზრი კი ჯერ კიდევ 1907 წლის სექტემბრის პირველი დღეებიდან დღემდე ცალსახად სდებს ბრალს ქართველ სოციალ-დემოკრატებს და კერძოდ - ბოლშევიკებს, საუკუნის ამ საზარელ მკვლელობაში. ხოლო თუ არსებობს ამგვარად მტკიცედ დამკვიდრებული აზრი, რატომ არ უნდა ვერწმუნოთ მას? მით უფრო, რომ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაკომპრომეტირებელი მასალისაგან მონდომებით გაანთავისუფლა არქივები და შესაბამისი სიძველეთსაცავები.

ჩვენ ვეთანხმებით ბ-ნ გურამ ყორანაშვილის მიერ შემოთავაზებულ მეთოდს, როგორც კვლევის განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოსაყენებელ საშუალებას. ჩვენ ამგვარად ვსვამთ საკითხს: დღემდე სოციალ-დემოკრატების დანაშაულის დამადასტურებელ პირდაპირ დოკუმენტურ მასალებს ამაოდ ეძებდნენ. დაე, ამის შემდეგ, სოციალ-დემოკრატების უდანაშაულობის დამამტკიცებელი დოკუმენტური მასალა და არგუმენტები იკვლიონ მათ, ვისაც არ დააკმაყოფილებს სამეცნიერო მიმოქცევაში თავმოყრილი დიდძალი მასალები, სოციალ-დემოკრატების საუკუნო დანაშაულზე რომ მიუთითებს.

ხოლო მანამდე კიდევ ერთხელ აღვადგინოთ მოვლენების ჯოჯოხეთურად განვითარების სურათი, რომელსაც ლოგიკურად მოჰყვა წიწამურის ტრაგედია. მოვლენები რამდენიმე ეტაპად ვითარდებოდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საზოგადოება, კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგით ორ ბანაკად გაჰყვეს და მჩაგვრელი თავადაზნაურობისა და მემამულეების თავკაცად ილია ჭავჭავაძე გამოაცხადეს. მის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მთავარი ინსპირატორები იყვნენ: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, პეტრე გელეიშვილი, ფილიპე მახარაძე და სხვანი. მიუხედავად სიმახინჯისა, პირველ ეტაპზე, ილიას წინააღმდეგ მიმდინარე პოლემიკა ასე თუ ისე ინარჩუნებდა იდეური ბრძოლის ნიშნებს და ძირითადად თავსდებოდა მის ჩარჩოებში.



ილიას საკუთარი სახლი თბილისში



ილიას სახლი საგურამოში



ეტლი რომელშიც ილია მოკლეს

მეორე ეტაპი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში დაიწყო. რამდენიმე წლიანი დუმილის შემდეგ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზს უწინდელზე ძალუმად დაუბრუნდა ილია ჭავჭავაძე. რაც მთავარია, ილია ენერგიულად უჭერს მხარს ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ეს გარემოება განსაკუთრებით აღიზიანებს ავტონომიის სასტიკ მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატებს, უპირატესად კი ბოლშევიკებს. ისინი სწრაფად მიმართავენ კონტრზომებს, ილიას ავტორიტეტის გასანეიტრალებლად.

სწორედ ამ მიზნით, 1905 წლის აპრილში ქართველ მენშევიკ-ბოლშევიკთა ერთობლივი ორგანო ჟურნალი "მოგზაური" იწყებს ილიას წინააღმდეგ ცნობილ კამპანიას. მეორე ლაშქრობის ბელადი უკვე ბოლშევიკი ფილიპე მახარაძეა. მის ხელში და მისი წყალობით ილიას წინააღმდეგ იდეური ბრძოლა სწრაფად გადაიზარდა ცილისმწამებლურ, ბინძურ, უღირს კამპანიაში. ილია ჭავჭავაძე ცხადდება გლეხების სასტიკ მჩაგვრელად და ჯაშუშად. ფილიპე მახარაძე წერდა, რომ ილიამ "გლეხები დააბეზღა, ჯაშუშობა გასწია თავისი ნივთიერი ინტერესის გულისათვის," რომ ილია "ადგას სისტემათიურათ ბეზღობის, ცილისწამების და ჯაშუშობის გზას," რომ ილიას "სამწუხაროთ, ჯაშუშობის როლი ზედმიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული."

კამპანია მიზანმიმართული იყო. მიზანი გახლდათ სოციალური მდგომარეობით გამწარებული გლეხური და რევოლუციური მასების თვალში ილიას სახით მტრის ხატის შექმნა და ეს მისია შესანიშნავად შეასრულა ფილიპე მახარაძის თაოსნობით, ბოლშევიკურმა პრესამ და პროპაგანდამ. სავსებით ამომწურავად შეაფასა მახარაძის ქმედება კიტა აბაშიძემ, რომელიც 1913 წელს წერდა: "იმ დროში კაცის ჯაშუშად მონათვლა საკმარისი იყო სიკვდილის განჩინების დასადგენად." პრესის ფურცლებიდან წითელი ტერორისტების ამაზე მეტად წაქეზება წარმოუდგენელი გახლდათ. მაგრამ ილია ვერ შეაჩერა აღვირახსნილმა შეტევებმა. მას ირჩევენ სახელმწიფო საბჭოს წევრად; იგი აქტიურად იბრძვის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის; რაც მთავარია, ილია ჭავჭავაძე ქმნის პოლიტიკურ პარტიას, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა ავტონომიის სახით. ვარლამ ჩერქეზიშვილის თაოსნობით მზადდება ქართველი ხალხის პეტიცია ავტონომიის მოთხოვნით, ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე წარსადგენად. ავტონომისტური მოძრაობა სულ უფრო ძლიერდება და თავისებური კანონზომიერებით თავს იყრის ილიას ავტორიტეტის გარშემო.

ვფიქრობთ, ბოლშევიკების გაღიზიანება იმასაც უნდა გაეძლიერებინა, რომ ილია ჭავჭავაძემ მოახერხა მენშევიკთა ლიდერების განეიტრალება - რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს ქართველი მენშევიკი დეპუტატები, შეთანხმების თანახმად, სათათბიროში საქართველოს ავტონომიის კანონპროექტის წინააღმდეგ არ უნდა წასულიყვნენ. ავტონომია-ფედერაციის მოწინააღმდეგე და რუსეთის იმპერიის განუყოფლობის მომხრე ბოლშევიკები მარტონი რჩებოდნენ და სულ უფრო ირიყებოდნენ საქართველოდან.



მცხეთა - ილიას ცხედრის გადმოსვენება



ილია კუბოში



სამგლოვიარო პროცესია თბილისში

ილიას წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის მესამე ეტაპი სწორედ ამ პერიოდში დაიწყო - მისი ფიზიკური განადგურების მიზნით. სამწუხაროდ, რევოლუციების პერიოდში, როცა მტრის ხატი შექმნილია, ასეთად მიჩნეული პიროვნების მოკვლა ძნელი აღარაა და დროის საკითხს წარმოადგენს. იმხანად ქვეყანაში ათეულობით ტერორისტული ჯგუფი მოქმედებდა. ე. წ. რევოლუციურმა ტერორმა იმდენად დიდი მასშტაბები მიიღო, რომ პარტიები იძულებულნი გახდნენ, ხელი აეღოთ ბრძოლის ამგვარ მეთოდზე, მაგრამ ამაოდ, პარტიების ადგილობრივი კომიტეტები საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებდნენ, არ ემორჩილებოდნენ ცენტრს.კიდევ უფრო თვითნებურად მოქმედებდნენ "ტყის ძმები", პარტიების დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ჯგუფები ან უბრალოდ ტყეში გავარდნილი ყაჩაღები. საკმარისი იყო ამ გამწარებულ-გაბოროტებული ხალხის წაქეზება, რომ მათ მკვლელობა ან ძარცვა ჩაედინათ. წიწამურის მკვლელობა ჩვეულებრივი წაქეზებით არ მომხდარა. მასში რამდენიმე სოციალ-დემოკრატი იღებდა უშუალო მონაწილეობას: ინაშვილი, ბერბიჭაშვილი, "ვიღაც იმერელი".

წიწამურის მკვლელობაში მხოლოდ დეტალებია დასადგენი. საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მკვეთრად მიუთითებს ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის "საეროვნო დანაშაულზე", დუმს ან მერყეობს იოსებ სტალინის შესახებ. არა, იმას არ ვამბობთ, რომ სტალინი რომელიმე თავის თანამებრძოლზე ლოიალური იყო კლასობრივი მტრების მიმართ.

არსებობს რამდენიმე არგუმენტი, რომლებიც უფრო იმაზე მიანიშნებენ, რომ სტალინს არ უნდა მიეღო ან თავი შეეკავებინა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში გარევისაგან. პირველი ის, რომ განსხვავებით სხვა სოციალ-დემოკრატებისაგან, იოსებ ჯუღაშვილს ყველაზე მეტი ადამიანური საფუძველი ჰქონდა, ლოიალურად ყოფილიყო განწყობილი ილიას პიროვნების მიმართ. ისტორიკოსმა ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ცნობილ გარემოებას, რომ "ივერიის" რედაქტორმა ჭაბუკ ჯუღაშვილს საკუთარ გაზეთში ლექსები დაუბეჭდა.

მეორე: ამ ლოიალობაზე მეტყველებს ის უტყუარი ფაქტი, რომ განსხვავებით ჟორდანიას, მახარაძისა და სხვა თანაპარტიელებისაგან - სტალინს არ მიუღია მონაწილეობა ილიას წინააღმდეგ წარმოებულ არც პოლემიკაში და არც ცილისმწამებლურ კამპანიაში - ამ ხნის განმავლობაში მას არ დაუბეჭდია არც ერთი წერილი ილიას წინააღმდეგ. ეს არ შეიძლება შემთხვევითი მოვლენა იყოს, მაშინ როდესაც ცნობილია ამავე პერიოდში სტალინის უმწვავესი პოლემიკური თავდასხმები სხვა იდეური მოწინააღმდეგეების, მაგ., სოციალისტ-ფედერალისტების ან ანარქისტების წინააღმდეგ. მესამეც, სტალინისავე სახელთანაა დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის, როგორც მწერლის და საზოგადო მოღვაწის რეაბილიტაცია. რა თქმა უნდა, საუკუნის მკვლელობასთან დაკავშირებით კვლავ რჩება კითხვები. მართებულად შენიშნავენ ვახტანგ გურული და მერაბ ვაჩნაძე: "ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საიდუმლოების გამოცნობა მოითხოვს პასუხს უამრავ კითხვაზე. საჭიროა ხანგრძლივი და დაძაბული შრომა, დიდი რაოდენობის საარქივო მასალის შესწავლა თბილისში, მოსკოვსა და კიდევ რამდენიმე ქალაქის არქივებში." ამ აზრს, მიუხედავად იმისა რომ პრობლემის შესწავლას უაღრესად საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა, ბ-ნი გურამ ყორანაშვილიც გამოთქვამს: "წიწამურის ტრაგედიის ისტორიასთან დაკავშირებით მრავალი ფაქტობრივი გარემოება ავტორისთვის კვლავ გაურკვეველი რჩება. იმედია, გამოჩნდებიან ისტორიკოსები, რომლებიც შეეცდებიან მათს გარკვევას."

მანამდე კი, სანამ ახალი დოკუმენტები ჩვენს შეხედულებას შეცვლიან, თუ ასეთი რამ საერთოდ მოხდება, არ უნდა მოვერიდოთ და ისტორიოგრაფიაში დავამკვიდროთ საზოგადოებრივი აზრის მიერ აღიარებული შეხედულება. ცნობილი პოლიტიკური ემიგრანტი ალექსანდრე ცომაია ეკითხებოდა თავის თავსაც და თანამემამულეებსაც: "რად მოხდა ეს საშინელი მკვლელობა, რომლის სირცხვილსაც საქართველო ვერასოდეს ვერ ჩამოირეცხავს?" ჩვენ მეტი ოპტიმიზმი გვსურს გამოვიჩინოთ და იმედი გამოვთქვათ, რომ როცა ქართველი საზოგადოება ცალსახად და ყოველგვარი ორმაგი სტანდარტების გარეშე დაძრახავს ილიას მკვლელებს და სამუდამჟამოდ აღმოფხვრის საკუთარ წიაღში ძმათაშორისი სისხლიანი დაპირისპირების საშიშროებას, სწორედ მაშინ განთავისუფლდება საქართველო წიწამურის საუკუნოვანი სირცხვილისაგან.

## ორშაბათი 1.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუ-ცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი "კენედის მკვლელობა" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ნაძირალა" (18) (ლორენცო ლამასი) **02.10** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი არხის პროფილაქტიკა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ხაფანგი თანამდებობის სახით" (გ)

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **13.10** გადაცემა: კიოსკი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** სამოთხესთან უფრო ახლოს. მხ. ფილმი. რეჟისორი ტონი მარშალი 2003. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **22.15** ციხე-სიმაგრეების ისტორია. დოკ.ფილმი. **04.20** ამღვრეული წყალი. ტელესერიალი.

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "სიყვარული და ღალატი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** ერთი ჟურნლისტის მზერა. **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი" (15) (ჯონ ლი მილერი)

### მეორე არხი

**19.00** მულტსერიალი **19.25** სერიალი "კარიბის გული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** კონცერტი **22.45** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ) )

**18.00** მინისერიალი "ხაბაზები" 1-ლი ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "5 წლის ვიყავი, როცა თავი მოვიკალი" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **14.45, 02.35** იმედის მელოდიები **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.25, 02.05** ტვ-მარკეტი **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** საქმე ტ **23.20** "არჩევანი თქვენ" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **01.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფორმაციო დაიცესტი **09.20** სათავგადასავლო ფილმი "როგორც მაიკი" **11.00** მუსიკა **11.10** ისტორიული ფილმი "მეფეთა მეფე" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 23.30** საინფორმაციო გამოშვება **12.50** მუსიკა **13.00** კომედია "სპორტლოტო" **14.45** ბოევიკი "სიკვდილით დაღდასმულნი" **16.15** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.00** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.15** მელოდრამა "დიდი ცუდი სიყვარული" **20.05** დოკ. ფილმი **21.00** კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი "თავისუფალი წყვილი" **22.25** დოკ. ფილმი **00.00** თრილერი "აჩრდილთა წიგნი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сергей Никоненко в боевике **"ШЕСТОЙ" 11.10** "Звучная фамилия Негода, или "Маленькая Вера" **15** лет спустя" **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Роуэн Аткинсон в комедии **"МИСТЕР БИН". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 22.40** "Эскадроны смерти против Пабло Эскобара". **23.40** Ночное "Время". **00.00** "Фабрика звезд". **00.20** Искатели. "Святыня Смутного времени". **00.50** Петр Марченко в программе "Русский экстрим". **01.20** Брекин Мейер в комедии **"ДОРОЖНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ". 02.50** Морган Фримэн в фильме **"МОЛЛ ФЛЭНДЕРС" 04.50** Сериал **"УБОЙНЫЙ ОТДЕЛ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: МАТЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **10.55** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 13.35** Сериал **"ТАКСИСТКА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"СЫЩИКИ-3: Я УБИЛ СВОЮ ЖЕНУ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Наталья Антонова в сериале **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". 22.00** "Страна и мир". **22.40** "Школа злословия". Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.10** Особо опасен! **01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.30** Совершенно секретно **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: жажда жизни".

## სამშაბათი 2.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ნაძირალა" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "ბარსელონა"-"მილანი" **02.20** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ხაფანგი თანამდებობის სახით" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** "მატარებელი" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ლერერის შოუ **15.20** "ანშლაგი" -"ლამარა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **16.30** ისტორიანი **17.00** მულტსერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **17.25** "ამბობენ" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "ხსოვნა" (გ) 1-ლი ს.

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00,** საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00,** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** თეთრი სახლის ბინადარნი. დოკ.ფილმი.**08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **12.15** სამკვდრო-სასიცოცხლოდ. მხ. ფილმი. რეჟისორი რობერტ გედიგიანი. 1995. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. **24.00** არჩევნები ამერიკაში. 2004.

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00** სერიალი "მკრთალი გზა" 1-ლი ს. **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "მოდა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "კაცი, რომელიც ტიროდა" (18) (კრისტინა რიჩი)

### მეორე არხი

**19.00** მულტსერიალი **19.25** სერიალი "კარიბის გული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** ლერერის შოუ **21.40** ანშლაგი - "ლამარა" **22.50** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) 1-ლი ს.

**19.00** სერიალი "უშიშრები" **19.50** მულტსერიალი **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** ლერერის შოუ **21.40** ფრაგმენტები სურათისთვის **22.10** მხ. ფილმი "სპირალი" (გ) 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.00** არხის პროფილაქტიკა **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.25, 03.10** ტვ-მარკეტი **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.45** "პირველები" **23.25** მხ. ფილმი "პოლონელი ლამაზმანი" (15) (ლ. ოლინი) **01.10** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.05** "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) **03.40** იმედის მელოდიები

### აჭარა

